


K 45-684
2



ଶବ୍ଦମୂଳରେ

କୁରୁକୁଳ

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ
ରମେଶ

K45684



ଜ୍ଞାନପଦ୍ଧତି ଏବଂ ବାଚନମାଲା „ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ”
ଟଙ୍କାଟଙ୍କା — 1976



თარგმნა ნ. ჩიგოგიძეს

— 205

D ————— 366 — 76

M 601 (08) — 76

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1976

შ ე ს ა ვ ა ლ ი

გაგრა საქართველოს შავი ზღვისპირა კურორტების თვალმარგალიტია. იგი მდებარეობს ჩრდილოეთ განედის $43^{\circ}19'$ -სა და აღმოსავლეთ გრძელის $40^{\circ}14'$ -ზე, სოჭიდან 70 კმ, სოხუმიდან კი 90 კმ დაშორებით. გაგრის ქედად წოდებული მთიანი მასივი მიბჯენილია ნაპირთან და ვიწრო სანაპირო ზოლს ქმნის. ამ ზოლზე გაშლილია კურორტი; მთების ჯაჭვით გარშემორტყმულ წყნარ ყურესთან ახლომახლო ფერდობებზე შეფენილი აღგილებიც გაგრისაა. ზღვისკენ მიქცეული გაგრის ქედის კალთები ხშირად ჯანლს შემოიხვევს. მის ფონზე გაგრის ყურე, მთის ძირს რომ გარს უვლის ცისფერი ტალღებით, განუმეორებელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

გაგრის ქედი იმდენად ავიწროებს სანაპირო ზოლს, რომ თავის დროზე გზატკეცილის გასაყვანად მთების აფეთქება დასჭირდათ. ქედის ფერდობები ზღვის დონიდან 2200 და მეტ სიმაღლეზე უმდიდრესი ტყითაა დაფარული.

გაგრის ქედი ჩრდილოეთით და სამხრეთისკენ ისეა ორიენტირებული, რომ გაგრას ძალზე ხელსაყრელი მდებარეობა უჭირავს; კურორტი სავსებით დაცულია მატერიკისაგან მონაბერი ცივი ქარებისაგან, ამავე დროს ლიან ზღვიდან წამოსული თბილი ქარებისათვის. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია,

თუ გაგრას შევაღარებთ იქვე მის მეზობლად მდებარე კუ-
 რორტ გუდაუთას. თუ გაგრაში ზამთრის საშუალო ჰაერის
 ტემპერატურა $+7,6^{\circ}$ -ს უდრის, გლდაუთაში იგი $+5,9^{\circ}$ -ია.
 ეს უკანასკნელი იმით აიხსნება, რომ გუდაუთაში მთები, რომ-
 ლებიც აკავებენ მატერიკის ცივ ქარებს, რამდენადმე დაბლაა
 და ნაპირისაგან საკმაოდ მოშორებით აღმართულან. გაგრაში,
 უდავოა, მეტად ხელსაყრელი მიკროკლიმატური პირობებია.
 გაგრა სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ყველაზე თბილი ად-
 გილია, წლიური ნალექი 1271 მმ-ს აღწევს, ესეც შედარებით
 ნაკლები მაჩვენებელია.

კურორტს ეკვრის შავი ზღვის გაგრის ყურე. შავი ზღვის
 წყალი შეიცავს დიდი რაოდენობით მარილებს, მცირე რაო-
 დენობით ლითონის და გაზების ელემენტებს: ოქროს,
 ვერცხლს, როდონს, ბრომს, იოდს და სხვ.

ზღვის წყალი გამოირჩევა სამკურნალო თვისებებით. უანგ-
 ბალით, რაღიაქტიური ნაწილაკებით გაუღენთილი ზღვის ჰაერი
 ძალზე ეფექტურ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმე.

საბანაო სეზონი გაგრაში მაისის შუა რიცხვებიდან იწყება
 და ოქტომბრის ბოლომდე გრძელდება. ამ პერიოდში ზღვის
 წყლის ტემპერატურა 16° -სა და 25° -ს შორის მერყეობს სა-
 ბანაო სეზონის ყველაზე ცივი და ზომიერად თბილი თვეების
 შესაბამისად.

კურორტი გაგრა ულამაზესი ქალაქია. იგი გაშლილია
 ზღვის ნაპირის გასწვრივ 7 კმ-ზე. ქალაქი ამავე დროს გაგრის
 რაიონის ცენტრია. იგი მდებარეობს ვიწრო, სიგანით არაუმე-
 ტეს 2—3 კმ-ის სანაპირო ზოლზე, რომელიც ერთიან მთლიან
 კულტურულ პარკს წარმოადგენს თავისი შადრევნებით; ტბო-
 რებით, მარადმწვანე მცენარეების ხეივნებით. როცა გაგრას

ზღვიდან გახედავთ თქვენ წინ თვალწარმტაცი სანახაობა
 იშლება, მისი ხედის მსგავსი მთელი ზღვის სანაპიროზე არ
 მოიძებნება. თითქოს ნაპირიდანვე წამომართული მაღალი მთა
 დაფარულია საუცხოო, მდიდრული მცენარეული საფარით,
 რომელშიც ჩაფლულია შენობები. სამხრეთიდან ძველი გაგრა,
 სახელდობრ, საკურორტო ნაწილი, უკავშირდება ახალ გა-
 გრას, საღაც ძირითადად თავმოყრილია აღმინისტრაციული
 ნაგებობები, აქვეა რკინიგზის საღგური.

კურორტ გაგრის ისტორია

გაგრა მდებარეობს საქართველოში, ოქროს საწმისის მხარეში, კოლხეთში, მის აფხაზურ ნაწილში. აფხაზეთი საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკაა. კოლხეთი, საქართველოს ზღაპრული მიწა-წყალი, გაცოცხლებულია მრავალ ლეგენდაში, რომელთა სათავე უძველეს ხანაში უნდა ვეძიოთ, ჩვენთვის ჰომეროსს და ლეგენდარულ არგონავტებზე თქმულებას რომ შემოუნახავთ. იგი მდებარეობს ევროპისა და აზიის შესაყარზე, გვერდით ხმელთაშუა ზღვის აუზია, რომელიც დიდი ევროპული კულტურის აღმოცენების, გაფურჩვნის და თავმოყრის აღგილს წარმოადგენს. უძველეს წარსულში, 3 ათას წელზე მეტი ხნის წინათ, კოლხეთში გამოემართა „არგო“, უძველესი ელინების ცივილიზაციის უდიდესი ხომალდი. არგონავტების წინამძღოლი მამაცი იასონი შეიყვარა კოლხეთის მეფის ქალიშვილმა მედეამ და დახმარების ხელი გაუწოდა. ისტორიკოსები დღესაც დაობენ, რომელ აღგილას მოადგა ხომალდი, მაგრამ ჩვენთვის ეს როდია მნიშვნელოვანი. როცა გაგრაში, ევქსინის პონტოს (შავი ზღვის უძველესი სახელწოდება) აფხაზეთის ნაპირებთან დგახარ რომანტიულად განწყობილი, წარმოსახვით შეგიძლია შორეული წარსულის ლანდების გამოხმობა. საოცარ ნაკვალევთა სიმრავლე, უძვე-

ლესი ხანის მინიშნებები, ასახული აურაცხელ არქეოლოგი, გიურ ძეგლებში, ალერსიან სხივებად დაღვრილი ცა-ფირუზი, რომელიც მრავლის მომსწრეა, განსაკუთრებული ბალის სიმწვანეში ჩაფლული უკიდეგანო მხარე ჰეშმარიტად განაწყობს ადამიანს თავი წარმოიდგინოს უძველეს კოლხად. და ალარ გიკვირს, რატომ ისწრაფოდნენ ძველი ბერძნები ამ ალთქმული ქვეყნისაკენ. კოლხეთის ისტორია მრავალ და მრავალ ფურცელზე იწერებოდა, გაგრაც ამ ქვეყნის ისტორიის ერთი ფურცელია.

გაგრის ალმოცენებას მიაკუთვნებენ II ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ბერძენმა კოლონისტებმა დააარსეს მცირე სავაჭრო კოლონია ტრიგლიფი.

ბერძნები შეცვალეს რომაელებმა. ფაქტიურად ისინი იყვნენ ამ ადგილების ბატონ-პატრონნი, თუმცა I ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე იგი პონტოს სამეფოს შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა და მას ფერნაკ II მართავდა.

44 წლის შემდეგ ჩვენს წელთაღრიცხვამდე აბაზგეთი და მისი შემადგენელი ნიწილი ტრიგლიფი მთლიანად რომის გავლენის ქვეშ მოხვდა. II ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე რომაელებმა ტრიგლიფის ნანგრევებზე გააშენეს ნიტიკის კოლონია, სადაც ქრისტიანებს ასახლებდნენ. იგი პირველად მოიხსენია რომაელმა არიან ფლავიუსმა. მანვე გვაუწყა, რომ ნიტიკასა და პიტიუნტს (ამჟამად ბიჭვინთა) შორის მანძილი 150 სტადიით განისაზღვრებოდა, თუ თანამედროვე ციფრებზე გადავიანგარიშებთ 22 კილომეტრი ყოფილა, რაც შეესაბამება ახლანდელ მონაცემებს.

ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი გვაცნობებს, რომ მე-5 საუკუნეში აქ უკვე ადგილობრივი აბაზგების ტომებს აუგიათ



მძლავრი ციხე-სიმაგრე უცხოელი დამპყრობლებისაგან თავის
დასაცავად.

XI საუკუნემ შემოგვინახა იმის დამადასტურებელი ცნო-
ბები, რომ ეს ციხე-სიმაგრე აღგილობრივ ტომებსა და ბიზან-
ტიის ჯარებს შორის უმკაცრესი შეტაკებების სარბიელი გამ-
ხდარა. იგივე პროკოფი კესარიელის მონაცემებით, შევიწრო-
ებულ აბაზებს გადაუწყვეტიათ ბიზანტიის ულელის გადა-
გდება, საიდუმლო კავშირი დაუმყარებიათ სპარსელებთან და
აჯანყებისათვის დაუწყიათ მზადება, მაგრამ ბიზანტიელებს
დაუსწრიათ აბაზებისათვის.

გაუვალ აღგილებში, რომელსაც პროკოფი კესარიელი
„ტრაქეიას“ უწოდებს, რაც ბერძნულიდან ითარგმნება რო-
გორც „გაუვალი, კაუკვანი აღგილები“, მტრები ერთმანეთს
შეხვდნენ. აბაზები ვაჟკაცურად იცავდნენ ციხე-სიმაგრეს,
მაგრამ რიცხობრივად ჭარბმა და ტექნიკურად უკეთ შეიარა-
ლებულმა ბიზანტიელებმა სძლიეს, ციხე-სიმაგრეს ცეცხლი
წაუკიდეს. უმრავლესობა ცეცხლში დაიწვა ან მტერს ჩაუ-
ვარდა ხელთ. მხოლოდ მცირე ჯგუფმა უშველა თავს გაქცე-
ვით. ბიზანტიელებმა ნაცარტუტაზ აქციეს თავისუფლებისმო-
ყვარე ტომების დასახლებული აღგილები.

შემდგომი საუკუნეების მატიანეებში არავითარი ცნობა
არ გვხვდება უძველესი გაგრის შესახებ, მაგრამ, უეჭველია,
იგი არსებობდა. ამის დამადასტურებელია მე-6—7 საუკუნეში
აშენებული უძველესი ქართული ეკლესია—აფხაზეთის საკულ-
ტო ნაგებობა.

X ს. მიწურულს და უფრო გვიან, კიევის რუსეთთან ურ-
თიერთობის დამყარებასთან დაკავშირებით, გაგრა ხდება და-
მაკავშირებელი რგოლი საქართველოსი, ერთი მხრივ, და

კიევის რუსეთის, თმუთარაყაენის სამთავროსი, მეორე მხრის
მე-14 საუკუნის დასაწყისში გენუელებმა აქ დააფუძნეს
სავაჭრო ფაქტორია. აქედან მოყოლებული გაგრა პირველად
გაჩნდა იტალიის რუკებზე ჯერ „კაკარის“ (1308), ხოლო უფ-
რო მოგვიანებით შედგენილ რუკებზე — „ჰაკარის“ სახელ-
წოდებით.

გაგრის თანამედროვე სახელწოდება, ზოგიერთის აზრით,
უკავშირდება გაგას ძველ აფხაზურ გვარს; ეს საგვარეულო
ამ ადგილებში სახლობდა თურმე.

საშუალო საუკუნეებში და ბევრად მოგვიანებით გაგრა
მოინახულა ურიცხვმა მოგზაურმა და მრავალმა სტუმარმა.
მათ დაგვიტოვეს ცნობები მოსახლეობის იმდროინდელ მდგო-
მარეობაზე. მაგალითად, მაშინდელი გაგრის ბრწყინვალე აღ-
წერა ეკუთვნის თურქ მოგზაურს ევლია ჩელების, რომელმაც
იმოგზაურა კავკასიაში 1641 წელს. მან მოიხსენია ნავსაღუ-
რი, ღირსშესანიშნაობები, აღწერა შესანიშნავი ბალები, გვი-
ამბო აფხაზურ ტომზე — მთიელ ჸანდებზე, რომლებიც მე-
ზობლებთან ერთად დახლოებით 15 ათას კაცს შეადგენდნენ.
ევლია ჩელები გაგრას „ნავსაღურ კაკურს“ უწოდებს.

გაგრის ნაირგვარ სახელწოდებებში ასახულია მისი ის-
ტორია. ეს სახელები მიგვანიშნებს მის თავს დამტყდარ უბე-
დურებეზე, სხვადასხვა ჯურის კოლონიალისტების ექსპან-
სიურ მისწრაფებებზე. აბა სხვას რა უნდა ნიშნავდეს ბერძნუ-
ლი „ტრიგლიფი“, რომაული „ნიტიკი“, ბიზანტიური „ტრა-
ქეი“, „კაკარა“, „ჰაკარი“, ვენეციური „კონტეზი“ (ნავსაღ-
ური), „ასკური“, სპარსული „დერბენტი“ (რკინის ჭიშკარი),
თურქული „ბალადაგ“ (მასლა მთა).

გაგრა სრულიად გაჩანაგდა და დაეცა, როცა ქვეყანას

თურქეთის სულთანი დაეპატრონა. უნდა აღინიშნოს გავრცელებული კლდეკარის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა, სწორედ ამის გამო ადარებდა ფრანგი მოგზაური ლიუბუა დე მონპერე მას თერმოპილის ხეობას. ვინც ამ კარებს ფლობდა, მასზე იყო დამოკიდებული ჩრდილო-დასავლეთის კავკასიის ხალხების ბედი. აი რატომ ულვიძებდა მადას ეს ადგილები თურქეთის სულთანს. 1810—1878 წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში, გაგრა ხელიდან ხელში გადადიოდა. რუსეთის ჯარი სოხუმში შევიდა 1810 წელს, მაგრამ გაგრის ციხე-სიმაგრე მხოლოდ 1830 წელს დაიკავეს და გაგრის გასასვლელი გადაკეტეს. რუსებმა გადააკეთეს და ახლებურად აღჭურვეს ციხე-სიმაგრე იმდროინდელი საფორტიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, იმ წლების გაგრა განწირულთა ადგილებად, „რუსეთის გარნიზონის სამარედ“ იქცა, ასე ხატოვანად უწოდა მას მწერალმა-დეკაბრისტმა ა. ა. ბესტუჟევ-მარლინსკიმ თავის „წერილებში გაგრიდან“. 1830—1833 წლებში, ე. ი. 3 წლის განმავლობაში 650-კაციან ბატალიონში 550 დაიღუპა. იკვებებოდნენ ლპობაშეპარული დამარილებული ხორცით. ჯარისკაცები ვერ უძლებდნენ სურავანდს და ციებ-ცელებას, ცოცხლად იყვნენ დამარხულნი ქვის ტომარაში — ციხე-სიმაგრეში, რომელსაც გავარვარებული სამხრეთული მზე უწყალოდ აცხუნებდა.

ა. ა. ბესტუჟევ-მარლინსკის მოწმობითვე, „სიტყვა გაგრა და სიკვდილის მისჯა ერთიდაიგივეს ნიშნავდა“. გაგრაში ყოფნისას ციხე-სიმაგრეს ეწვია ნიკოლოზ I, მთიელების დაუძნებელი მტერი, ჩრდილო-დასავლეთის კავკასიის ხალხების წინააღმდეგ გამანადგურებელი ბრძოლის ინიციატორი. მთიელები შეიჭრებოდნენ ხოლმე მდინარე უოეკვარას ხეობაში და

ციხე-სიმაგრე გამუდმებით ალყაშემორტყმული ჰქონდათ,
მთის კალთებზე ტყე მთლიანად გაჩეხეს, ხოლო გადასასვ-
ლელზე 1841 წელს ამოაშენეს გოდოლი რიყის ქვისაგან, რო-
მელსაც „ბესტუშევ-მარლინსკის გოდოლი“ უწოდეს. დღეს
იგი მხოლოდ ნაწილობრივ არის გადარჩენილი. გაგრის ციხე-
სიმაგრეში იმ წლებში მსახურობდა პოდპოლკოვნიკი დანზასი,
ა. ს. პუშკინის ახლო მეგობარი და სეკუნდანტი. მასაც მიუღია
მონაწილეობა გოდოლის მშენებლობაში.

1854 წელს, ყირიმის ომის პერიოდში, რუსეთის გარნი-
ზონმა შიატოვა ციხე-სიმაგრე და ააფეთქა იგი. მხოლოდ 1857
წელს კვლავ დაიკავა რუსეთის ჯარმა გაგრა და აღადგინა
ციხე-სიმაგრე. 1877—1878 წლების ომის დროს გაგრა ისევ
თურქეთის ხელში აღმოჩნდა. რუსეთის არმიის საბოლოო და
სრული გამარჯვების შემდეგ გაგრამ, როგორც სამხედრო სი-
მაგრემ, შეწყვიტა არსებობა.

გზატკეცილის მშენებლობასთან დაკავშირებით 1891 წელს
გაგრა თითქოს გამოცოცხლდა, მაგრამ იქვე ჩაკვდა. ამ დროი-
სათვის გაგრის მიწები შეათვალითვალეს ახალი ათონის ბე-
რებმა, რომლებიც აღინთნენ სურვილით აეგოთ აქ ბერების
მონასტერი. მაგრამ ამაოდ, მათზე უფრო ყოჩალმა მეტოქემ,
გავლენიანმა და მეფის მარჯვე ნათესავმა ოლდენბურგის პრინ-
ცმა დაასწრო. მიიღო რა მეფის კურთხევა და დიდალი ფუ-
ლადი საჩუქარი, პრინცი გაემგზავრა „გაგრის ასათვისებლად“
მრავალრიცხოვანი ამალისა და თვალსაჩინო სპეციალისტების
თანხლებით. აღრე გაგრის წარჩინებული სტუმარი, ახლა უკვე
მისი ბატონ-პატრონი პრინცი გულმოდგინედ შეუდგა თავისი
მოვალეობის შესრულებას. გაგრა, პრინცის ჩანაფიქრით, უნ-
და ქცეულიყო მაღალი საზოგადოების კურორტად, მაღალი

წრის უქნარების თავშესაფარად, „ნიკას“ რუსულ ვარიანტზე
პრინცის სურდა ამით თავიდან აეცილებინა რუსეთის კაპიტა-
ლის გატანა საზღვარგარეთის კურორტებზე. ავანტიურის და
სპეცულაციის ატმოსფეროში, ძალზე გაბერილი რეკლამის
ფონზე წარჩინებული ჩინოვნიკების თანდასწრებით 1903
წელს გაიხსნა გაგრის კლიმატური სადგური. მაგრამ, მიუხე-
დავად ამისა, ახალი საკურორტო „ელდორადო“ ჩაიშალა. არ
დასკალდათ ხელისუფალთ ბოლომდე დამტკბარიყვნენ თავშექ-
ცევით მეფის სიძესთან საიდუმლო თავშესაფარში, ერთგვარ
„მონრეპოში“. უსახსროდ დარჩენილ, ნამდვილად დაავადე-
ბულ ხალხს არ შეეძლო აქ ემკურნალა. მეფის კარის მიერ
ნაკურთხი და მისი ხელშეწყობით ჩატარებული აფერა შხო-
ლოდ ლენინურმა „ისკრამ“ ამხილა. აფხაზების დასაშოშმი-
ნებლად მოწვეულ იქნა ორი ქვეითი ასეული. ახირებული პრინ-
ცი შეეცადა აქაურობა „ეგზოტიკურ“ სანახაობად ეჭირა, მო-
აწყო ტბორები, ადგილები მიუჩინა მაიმუნებსა და თუთიყუ-
შებს. აიშენა საოცარი სასახლე (ახლა დასასვენებელი სახლი
„ჩაიკა“), ააგო დროებითი სასტუმრო და რესტორანი (ახლა
სასტუმრო და რესტორანი „გაგრიფში“). საკურორტო ბუმი
სამარცხვინოდ დაიშალა, „ეგზოტიკა“ არ გამართლდა, გუბუ-
რებში ბაყაყები აყიყინდნენ და კოლოები გამრავლდნენ, თუ-
თიყუშები ქორებმა იმსხვერპლეს. მაიმუნები ახალ ჰავას ვერ
შეეგუენ და დაიხოცნენ. სასტუმროსა და ცალკე სახლებში
ვირთებმა დაიდეს ბინა. სათანადო აგრონომიული მოვლის
გარეშე ვერც სანაპირო პარკში დარგულმა ძვირფასმა და იშ-
ვიათმა ჯიშის ხეებმა გასძლო.

სახალხო ფული პრინცის უინის დასაკმაყოფილებლად, დიდ-
გვაროვანი სტუმრების დროსტარებისათვის, რეკლამებისათვის,

„ეგზოტიკისათვის“ თუ ბრწყინვალე ცალკე სახლების აგებისათვის იფლანგებოდა. და მაინც მდიღრები, ძალზე უხალისოდ ჩამოდიოდნენ კურორტზე, უბრალო ხალხს კი აქ აბა ვინ შეუშვებდა! რუსეთის „ნიკამ“ არ გაამართლა. აქ, ეთნოგრაფ ტანბოგორაზის თქმით, „იმდენს კი არ მკურნალობდნენ, რამდენსაც ფიქრობდნენ, რომ ციება არ შეჰქოდათ“. თანდათან გაგრის კლიმატური საღგური დაცარიელდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის პერიოდში გაგრაზე რიგ-რიგობით პრეტენზიას აცხადებდნენ ქართველი მენშევიკები და რუსი თეთრგვარდი-ელები. აქ დაბანაკდა ვრანგელის ხროვა.

1921 წლის 23 თებერვალს წითელმა არმიამ გაათავისუფლა გაგრა. ამ დროიდან გაგრა ნამდვილ სახალხო კურორტად იქცა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ამოაშრო ჭაობები, გაატარა მალარიის საწინააღმდეგო ოონისძიებები, მოახდინა ცალკე სახლების ნაციონალიზაცია, გაგრა ხალხისათვის ხელმისაწვდომი გახდა. პრინც ოლდენბურგის სასახლე უკვე 1924 წლიდან სანატორიუმად გადაკეთდა. გარემონტდა და მოდერნიზებულ იქნა სასტუმრო „გაგრიფში“, სანატორიუმები „რიწა“, „უოეკვარა“ და სხვ. მოგვარდა კურორტზე დამსვენებელთა სამედიცინო მომსახურება. გაიხსნა კურორტის პოლიკლინიკა. გაკეთდა სამედიცინო პლაჟი, აშენდა წყალსამკურნალო ზღვის თბილი წყლის აბაზანებით.

1931 წლის 31 ოქტომბრის საკ. კპ (ბ) ცკ დაღგენილების შუქზე ენერგიულად გაიშალა საკურორტო მშენებლობა. მოკლე ვადებში აშენდა სანატორიუმი „უკრაინა“, საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს სანატო-

რიუმი, ჩელუსკინელების სახელობის სანატორიუმი, დასა-
სვენებელი სახლი „ჩაი გრუზია“, საზღვაო ფლოტის სა-
მინისტროს სანატორიუმი, სანაპირო ვოგზალი, აიგო ქვის სა-
ნაპირო, ალდგა და გაფართოვდა სანაპიროს პარკი და ა. შ.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ მშენებლო-
ბითი სამუშაოები გაგრაში კვლავ განახლდა. კაპიტალურად
შეაკეთეს ძველი წყალსადენი, ააგეს ახალი. კურორტის საზღვ-
რებში დააბეტონეს მდინარე უოეკვარას ნაპირები. ზევით ხეო-
ბაში ააშენეს ნარიყშემკავებელი კაშხალი, რათა მდინარის
წყალუხვობის დროს არ დაიტბორის კურორტის ტერიტორია.
ძველი გაგრის სამხრეთით გაშენებულმა ახალმა გაგრამ (90-იან
წლებში), რომლის მოსახლეობა შედგებოდა ადგილობრივი
მცხოვრებისაგან და სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსახლებული
ლარიბი ფენებისაგან, მკვეთრად იცვალა სახე. მის რაიონში
სანაპიროს გარშემოევლო ნაპირგასამაგრებელი კედელი, მდი-
ნარები უოეკვარა და გაგრიფში ლამაზი ხილებით დაუკავ-
შირეს ერთმანეთს. 50-იან წლებში სარეკორდო ტემპით გა-
შენდა სსრ კავშირის შინაგან სამინისტროს, სსრ კავშირის
გზათა სამინისტროს, სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის
სამინისტროს, სსრ კავშირის ელექტრომრეწველობის სამინის-
ტროს ახალი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები.

1956 წლისთვის გაგრა ითვლიდა 23 სანატორიუმს და
დასასვენებელ სახლს. პარტია და მთავრობა კვლავაც დიდ
ყურადღებას უთმობს კურორტის განვითარებას.

70-იან წლებში მშენებლობა არნახული ტემპით ხორცი-
ელდება. გაგრა დღითიდლე მშვენდება და კეთილმოწყობილი
ხდება. იგი არაჩვეულებრივად პოპულარულია ჩვენი ქვეყნის
მშრომელთა ფართო მასებს შორის, გაგრა ნამდვილად საერ-

თო-სახალხო ჯანმრთელობის სამჭედლოდ იქცა. გაგრისკენ ჩა-
წრაფიან მშრომელები ჩვენი ვრცელი სამშობლოს ყველა
კუთხიდან. ასეთია მოკლედ რომანტიკული ტრიგლიფის საუ-
კეთესო საბჭოთა კურორტ გაგრად გარდაქმნის მრავალსაუკუ-
ნოვანი ისტორია:

კურორტისა და მისი მიღამოების პლიმატი

კურორტი გაგრის კლიმატი უნიკალურია. იგი მიეკუთვნება
ნოტიო სუბტროპიკულს, რომელიც დამახასიათებელია სა-
ქართველოს შავი ზღვის სანაპიროსათვის. გარდა საერთო თა-
ვისებურებებისა, რომლითაც ამ ტიპის კლიმატები ერთმა-
ნეთს ჰგავს, გაგრა თავისი ადგილობრივი მიკროკლიმატური
დეტალებით ხასიათდება, რითაც იგი განსხვავდება საქართვე-
ლოს შავი ზღვის სანაპიროს მეზობელი კურორტებისაგან.
ჭერ კიდევ რევოლუციამდელ რუსეთში, გაგრას დიდი საკუ-
რორტო მომავალი უწინასწარმეტყველა პროფესორმა
ფ. მ. პასტერნაკიმ. იგი წერდა: „გაგრამ თავისი დრო მოსჭა-
მა, როგორც სიმაგრემ. მას თავისი ბუნებრივი ხელსაყრელი
კლიმატური პირობების გამო სხვა დანიშნულება არა აქვს, თუ
არა გახდეს კლიმატური კურორტი, საბანაო და საერთოდ სა-
მკურნალო ადგილი, და ნამდვილ რუსულ „ნიკად“ იქცეს.“.

განვიხილოთ რა თავისებურებები ახასიათებს გაგრის კლი-
მატს? შესავალში გაკვრით მოვიხსენიეთ, ახლა დაწვრილებით
შევჩერდეთ ამაზე. გაგრაში ნოტიო, თბილი ზღვისპირა კლი-
მატია. მისი კლიმატის ფორმირებაში დიდი მნიშვნელობა აქვს
გაგრის ქედს, რომელიც ორიენტირებულია ჩრდილოეთიდან

სამხრეთისაკენ. იგი არ უშვებს კონტინენტის ცივ ქარების კუ-
რორტის ტერიტორიაზე და უზრუნველყოფს უფრო მაღალ-
საშუალო წლიურ, მით უმეტეს ზამთრის, ტემპერატურას მე-
ზობელ, უფრო გაშლილ კურორტებთან შედარებით. ამასთან
გაგრის ქედი წარმოშობს უდგილობრივ ფიონებს. ამ ქარების
წარმოშობის მიზეზია მთების ჯაჭვში არსებული ატმოსფერუ-
ლი წნევის მნიშვნელოვანი სხვაობა ქედის პირიქითა და პირ-
აქეთ მხარეში. ფიონები ტემპერატურის მაჩვენებელს ზრდის,
ათბობს კლიმატს და დაბლა სწევს ტენიანობის მაჩვენებელს.
ისინი მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფენ კურორტის
ზამთრის მაღალ ტემპერატურას. მათი გავლენა განსაკუთრე-
ბით საგრძნობია ზღვისპირა გაგრის ნაწილში. ხეობები, რომ-
ლებიც შეჭრილია გაგრის ქედის სამხრეთ ზღვისმხრივ ფერ-
დობამდე, კურორტის ვენტილაციას ახდენს და ატმოსფერუ-
ლი წყლების დრენაჟს აწარმოებს. ზღვა, რომელიც კურორტს
აკრავს, ააქტივებს აორთქლების პროცესს და არბილებს სი-
თბოს რეჟიმს განსაკუთრებით თბილ თვეებში.

დღე-ლამის განმავლობაში არათანაბრად ხურდება ხმე-
ლეთი და ზღვა, ამ კონტრასტის გამო წარმოიქმნება ნაპირის
ქარები ბრიზების სახელწოდებით. დღე უბერავს ნოტიო
ბრიზი ზღვიდან ხმელეთზე იმიტომ, რომ დღე-ლამის ამ დროს
ზღვა გახურებულ სანაპიროზე უფრო გრილია და შესაბამი-
სად ზღვის ჰაერის უფრო გრილი მასები გადაინაცვლებს ხმე-
ლეთის მიმართულებით. ამ ქარებს ზაფხულის ცხელ თვეებში
მოაქვთ სანატრელი სიგრილე. ღამით ქრის მშრალი თბილი
ბრიზები ზღვისკენ იმიტომ, რომ დღე-ლამის ამ დროს ზღვა
უფრო თბილია ღამის განმავლობაში სწრაფად გაციებული
ხმელეთზე. ბრიზები თანაბარზომიერად უკეთებენ ვენტილა-

ცის გაგრის სანაპიროს გაზაფხულიდან შემოდგომამდე. მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბრიზების მოქმედება უფრო თავს იჩენს მის გაშლიდი ადგილებში, ე. ი. ახალ გაგრაში. ძველ გაგრაში, კურორტის დახურულ ნაწილში, მათი მოქმედება ნაკლებადაა გამოხატული. ჩვეულებრივ ქარის სიჩქარე არ აღემატება $2,5$ მ/სეკ, საშუალო წლიური მონაცემებით, 2 მ/სეკ.

გაგრა სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ყველაზე თბილი ადგილია. ზამთრის მაღალი ტემპერატურის მიხედვით, გაგრას პირველი ადგილი უკავია ჩვენს ქვეყანაში. გაგრის მეზობელ რაიონებში კი, რომლებიც ან სამხრეთით ან ჩრდილოეთით ჭრიან განლაგებული, საშუალო წლიური ტემპერატურა დაბალია. შეადარეთ: გაგრა $+15,1^{\circ}$, სამხრეთით სოხუმი $+14,7^{\circ}$, ჩრდილოეთით სოჭი $+14^{\circ}$. გაგრაში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა: ზამთარში $+7,6^{\circ}$, გაზაფხულზე $+13,6^{\circ}$, ზაფხულში $+23,1^{\circ}$, შემოდგომაზე $+16,6^{\circ}$.

გაგრაში ყველაზე თბილი თვეა აგვისტო, ყველაზე ცივი — იანვარი. ამასთან აქაური იანვარი ყველაზე თბილია საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებთან შედარებით. აი რა ხელსაყრელი კლიმატური პირობების შეხამება უწყობს ხელს გაგრას ითვლებოდეს განსაკუთრებულ საზაფხულო და ზამთრის კურორტად. ყინვები გაგრაში იშვიათი მოვლენაა. ყინვა ყოველ ზამთარს როდია და თუ მაინც არის, წელიწადში $10—12$ დღეზე მეტხანს არ გრძელდება, ამასთან გასტანს რამდენიმე საათს და ჩვეულებრივ, როგორც მთელ აფხაზეთის სანაპიროზე, დილის საათებში იცის. მკაცრი ზამთარი ძალზე იშვიათია და კაზუისტიკურ გამონაკლისად ითვლება არა მარტო გაგრისათვის, არამედ მთელი შავი ზღვის სანაპიროსათვის, გათბობის

სეზონი გაგრაში დაახლოებით 3,5 თვე გრძელდება, მრავალი დად დეკემბრიდან მარტის ჩათვლით, ამ პერიოდში საშუალო საღლელამისო ტემპერატურა + 10° ქვემოთ ჩამოდის.

გაგრაში საშუალოდ წელიწადში 1300 მმ ნალექზე მეტი არ მოდის, უმთავრესად ზამთრის თვეებში. ყველაზე მეტად მშრალი ამინდებია გაზაფხულზე, ზაფხულში და ნაწილობრივ შემოდგომაზე.

თბილი თვეების ხანმოკლე წვიმა დაღებით გავლენას ახდენს, აგრილებს იქაურობას, მეზობელ კურორტებზე გაგრასთან შედარებით უფრო მეტი რაოდენობის საშუალო წლიური ნალექია მოსალოდნელი. შევადაროთ ეს ციფრები:

სოხუმი საშუალოდ 1390 მმ წელიწადში

ბათუმი „ 2418 მმ „

სოჭი „ 1399 „ „

ამრიგად, გაგრაში ამაზე მეტი ინტენსიური კონდენსაცია არ ხდება, თუმცა იგი მაღალ მთებშია მომწყვდეული და ზღვის მხრიდან გაშლილია. გაგრაში წვიმის წყალი მაშინვე ჩაედინება ზღვაში, ადგილის დახრილობის, ნიაღაგის პირობების და მცენარეული საფარის გამო. ამიტომ კურორტს დაჭაობიანების საფრთხე არ ემუქრება.

ჰაერის საშუალო წლიური შედარებითი ტენიანობა რამდენადმე მაღალია (73%), მაგრამ ასეთ მცირე განსხვავებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ზაფხულობით ძველ გაგრაში უფრო იგრძნობა ტენიანობა, საღაც ნაკლებია ბრიზების გავლენა, ვიდრე ახალ გაგრაში, საღაც ბრიზების მოქმედება უფრო მეტადაა გამოხატული. შემოდგომაზე და ზამთარში გაგრაში უფრო მშრალი ამინდებია და უფრო მეტად თბილა, ვიდრე მეზობელ სოჭაში, რაც ზამთრის პერიოდში ავადმყოვნილობა და გამოიყენება მაგრამ არ არის მარტივი.

ფების თბოშეგრძნებას ზრდის. გაგრაში ქარები სუსტი სიჩქარით ქრის, ზამთრობით უპირატესად ჩრდილოეთის, ზაფხულის პერიოდში დასავლეთის. ძლიერი ქარები ძირითადად ზამთარში იცის. ისინი თან ახლავს ზღვაზე ამოვარდნილ ქარიშხალს. მისი ხანგრძლივობა წელიწადში 20 დღეს არ აღემატება. მზე გაგრაში დღე-ღამეში 7—8 საათი აცხუნებს. განსაკუთრებით ეფექტურია მზის აბაზანები დღის პირველ ნახევარში, რაღაც ატმოსფეროს წყლით ნაკლებ გადატვირთვის გამო დღე-ღამის ამ მონაკვეთში მზის სხვის რადიაციის ძალა იზრდება. დეკემბერში, განსაკუთრებით იანვარში, გაგრაში მზიანი დღეები უფრო მეტია, ვიდრე ყირიმის სამხრეთ ნაპირზე და გაცილებით მეტი შავი ზღვის სანაპიროს სხვა ნებისმიერ კურორტებთან შედარებით. საჭიროა მკაფიოდ გავმიჯნოთ სეზონები: თბილი ზაფხულის და ცივი ზამთრის. ზაფხულის პერიოდი იწყება შუა ივნისს და გრძელდება სექტემბრის შუა რიცხვებამდე. ივლისსა და აგვისტოში აღინიშნება ყველაზე ცხელი დღეები, რაც მაღალ ტენიანობასთან ერთად იწვევს ორგანიზმის გადახურებას, მკვეთრად აქვეითებს მის სითბოგაცემას. ამ პერიოდში უნდა რამდენადმე შევამციროთ მზის აბაზანების დოზირება. შემოდგომა გაგრაში შუა სექტემბრიდან ნოემბრის შუა რიცხვებამდე გრძელდება და წლის საუკეთესო დროდ ითვლება. ჭარბობს თბილი ნათელი დღეები და სიცხე ნაკლებ აწუხებს აღამიანს, რაც კლიმატორაპიის ყველა სახეობის გამოყენების საშუალებას იძლევა.

∴ ზამთრის პერიოდი დგება ნოემბრის მეორე ნახევრიდან და აპრილის პირველ ნახევრამდე გასტანს. ზამთარი ყველაზე თბილი და რბილია არა მარტო საბჭოთა კავშირის სხვა. რაიონებთან, არამედ კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს ყველა სხვა

კურორტებთან შედარებით. ტემპერატურა მინუსამდე იშვია-
 თად დაღის და უფრო გამონაკლისია. ზამთრის მაღალი ტემ-
 პერატურა საშუალებას იძლევა მზის აბაზანები მივიღოთ
 ზღვის ნაპირთან ლია სუფთა ჰაერზე. ზამთრობით არც თუ
 იშვიათია წვიმა.

გაზაფხული აპრილის პირველი ნახევრიდან ივნისის პირ-
 ველ ნახევრამდე გასტანს. იგი საკმაოდ გრილი და ხანგრძლი-
 ვია ზღვის გამაგრილებელი გავლენის გამო, ზღვისა, რომე-
 ლიც შემოდგომა-ზამთრობით კარგავს სითბოს და გაზაფ-
 ხულს გაციებული ხვდება. გაზაფხულზე წვიმა და ამინდის
 ხშირი ცვალებადობა იშვიათი როდია.

მით უმეტეს წლის განმავლობაში აქაური კლიმატი ხა-
 სიათლება მაღალი ბარომეტრული წნევით, მცირე ტემპერა-
 ტურული მერყეობით სეზონის მიხედვით, მზის სხივების ხან-
 გრძლივი მოქმედებით და ჰაერის თავისუფალი მოძრაობით.
 კრთი სიტყვით, გაგრა არის ზღვისპირა კურორტი, სადაც ნო-
 ტიო თბილი კლიმატია მნიშვნელოვანი თანაბარზომიერი სა-
 შუალო წლიური. ტემპერატურით, აქ ზამთარი თბილია, ძალზე
 იშვიათია. თოვლიანი დღეები, იცის ხანგრძლივი თბილი და
 უღრუბლო შემოდგომა: წელიწადის ამ დროს მზიანი დღეები
 უხვადაა, ეს განსაკუთრებით ზაფხულის თვეებზე ითქმის,
 მტვერს კი საერთოდ ვერ ნახავთ.

ანალი გაგრიდან 6 კილომეტრის დაშორებით 1878 მეტრ
 სიმაღლეზე აღმართულია მამზღიშხას მთა, რომლის ფართობი
 2876 ჰექტარია. მამზღიშხას პერსპექტიული განვითარების
 შემდეგ გაგრა არა მარტო ზღვის კურორტად იქნება მიჩნეული,
 არამედ მთის კურორტადაც იქცევა კლიმატის მიხედვით.
 ზღვიდან პირდაპირი სწორი ხაზით მანძილი 6კმ იქნება. ეს კი

უზრუნველყოფს კლიმატის საოცარი კონტრასტების უფრო მოყენებას. ორი კლიმატი ხომ ერთმანეთის მკვეთრ თავისებურებებს არბილებს. კურორტოლოგიის ფუძემდებელმა აფხაზეთში, პროფესორმა ა. ლ. გრიგოლიამ, რომელიც დიდხანს სწავლობდა ამ მთის საკურორტო ფაქტორებს, აღნიშნა, რომ იგი უურადლების ღირსია, რაღან მთის კურორტის ყველა უპირატესობა გააჩნია: უხვად მზის სხივები, სუფთა განმუშაული ჰაერი, რომელიც დაოზონიანებულია ტყეებიდან ფისიანი ანაორთქლით, გემრიელი სასმელი წყალი. მრავალი წლის განმავლობაში თოვლის საფარის მდგომარეობასა და სისქეზე სისტემატური მეტეოროლოგიური მეთვალყურეობის საფუძველზე შეიძლება რეკომენდაცია მივცეთ მთაზე აშენდეს უნიკალური სამთო-სათხილამურო ბაზა. კლიმატის მიხედვით მამზრიშხა სახელგანთქმულ ევროპულ დავოსზე უკეთესია.

ძალზე ეფექტური იქნება არაბიკის ზეგანის მთის კლიმატის გამოყენება, არაბიკისა, რომელიც გაგრის ქედს აღმოსავლეთით ესაზღვრება. იგი გამოირჩევა შესანიშნავი მიკროკლიმატით, ნალექის სიუხვე უზრუნველყოფს თოვლის საფარველის საკმარის დონეს, ამიტომაც მიზანშეწონილია სამთო-სათხილამურო ბანაკი — პანსიონატის აგება.

გაგრიდან 60 კმ მანძილზე რიწის ტბა — აფხაზეთში ყველაზე ლამაზი სანახაობა. იგი მოთავსებულია მთებში 750 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ტბა ზამთრობით შედარებით თბილია და ყოველთვის როდი იყინება. ტბის რაიონში ზამთარი გამოირჩევა ხანგრძლივობით და დიდთოვლობით, აგრეთვე ყინვებიც დიდხანს გასტანს ხოლმე. შემოდგომა წაზე უფრო თბილია, ვიდრე გაზაფხული. ზაფხული გრილია. აგვისტოში ჰაერის ტემპერატურა საშუალოდ 18° -ს უთანაბრ

დება. მზე ზამთრობით 169 საათს ანათებს, გაზაფხულზე — 377 საათს, ზაფხულობით — 481 საათს, შემოდგომაზე — 325 საათს.

რიწიდან 16 კმ-ზე, მაღლა მთებში, 1650 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან მდებარეობს ავადპირა — მთის კურორტი, საღაც აღმოაჩინეს ბორჯომის ტიპის მინერალური წყაროები.

გაგრიდან 22 — 30 კმ-ზე, გინდა ზღვით, გინდა შარავზით ჰიადგებით ბიჭვინთის კონცეს, რომელიც ცნობილია თავისი რბილი კლიმატით. მან სახელი გაითქვა აგრეთვე უნიკალური რელიქტური ნაძვის წარაფით. ბიჭვინთის კლიმატი გაგრის კლიმატის ანალოგიურია, გაუღენთილია და დაოზონებულია ფისით.

შავი ზღვის სანაპიროზე არსად არ არის ისეთი გამა, ერთ-მანეთში გარდამავალი კლიმატი და ტემპერატურა, როგორც გაგრასა და მის შემოგარენში.

• კურორტისა და მისი უამოგარენის ფლორა და ფაუნა

გაგრის ზღვისპირა პარკს 14 ჰა ჰექტარი უკავია. კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე იგი ყველაზე ლამაზად ითვლება. პარკს ძველი გაგრის ვაკე აღგილები უჭირავს. ამჟამად იგი ჰეშმარიტად დიდებულია.

პარკი გაშენდა ჯერ კიდევ 1902 — 1905 წწ. არქიტექტორ შერვინსკის პროექტის მიხედვით. რევოლუციამდე პარკი საცოდავ სანახაობას წარმოადგენდა. მის მაშინდელ „ძირითად ფონდს“ აღვა და მურყანი შეადგენდა. შემოტანილმა სათუთ-

მა ტროპიკულმა და დეკორატიულმა მცენარეებმა ვერ გაიხარეს, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ზრუნვა და გარჯა არ დაუკლიათ მებალეებსა და მუშებს. ამაში დამნაშავე იყო ბიოლოგიური მეცნიერების დაბალი დონე, მებალეობის პრაქტიკის არასრულფასოვნება, მეურნეობის გაძლოლის არასაკმაო ცოდნა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გაითურჩქნა პარკი. გარდა ადგილობრივი სახეობებისა, აქ იზრდება ნაირნაირი დეკორაციული მცენარეების იშვიათი ჯიშები: ფინიკის პალმები ჭანარის კუნძულებიდან, მარაოსებრი — ჩანეთიდან, ქოქოსის — სამხრეთ ამერიკიდან; სირიული ბალბა, ამერიკული მაგნოლიები, ჰიმალაის კედარი და ა. შ.

აუზების წყლის სარკეზე მოცურავე გედები, შინვეულ-მოხვეული ხეივნები, საღაცთავი ამაყად აულერებიათ ცისარტყელის შვიდფრად მოხატულ ფარშევანგებს, მართლაც რომ ზღაპრული პარკია. ორიგინალურია პარკის წყალსატევების სისტემა — მცირე და დიდი გუბურების მონაცვლეობით, რომლებიც ერთმანეთთან განსაკუთრებული ნაკადულებით არიან დაკავშირებული. ძველი ზღვისპირა პარკიდან ახალი გაგრისაკენ ზღვისპირა ხეივანია გადაჭიმული, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1949 წელს არქიტექტორ ს. ნ. ცინცაბაძის და პროფესორ ა. ვ. ვასილიევის პროექტით. ზემოხსენებული პარკისა და ხეივნების გარდა, საინტერესოა პალმების პარკი სასტუმრო „გაგრიფშტან“, საღაც შეხვდებით პალმების უზარმაზარ ეგზემპლარებს, და სანატორიუმ „უკრაინას“ დატერასებულ პარკს, საღაც კედლის ვარდნილი შადრევნები შთამბეჭდავ სანახაობას ქმნის. შადრევნები მოწყობილია ანდრეევის, შტეინბერგისა და კოლესნიკოვის პროექტით.

მთების კალთები, რომლებითაც გარშემორტყმულია გაგ-

რა, უმთავრესად დაფარულია წიფლის ტყეებით. ამ ფოთლოვან ტყეში ხშირად გვხვდება ზღვისპირა ნაძვი. გაგრასთან მიმდებარე ტყეებს ეწოდება „გაგრის ტყის აგარაკი“, რომლის ფართობი 15 — 17 ჰექტარს აღწევს. მისი ფლორა საოცრად მრავალფეროვანია და დამოკიდებულია აღგილის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ქვემო სანაპირო ზოლში იზრდება დაფნა, ზეთისხილი, ლელვი, ყურძენი, მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, ბზა, ზღვისპირა ნაძვი. დიდ სიმაღლეებზე ზღვის დონიდან ალპური ფლორა გვხვდება. კიდევ უფრო ზემოთ თოვლი, რომელიც წელიწადის ცხელ დროსაც კი არ დნება.

სიმაღლის მიხედვათ ზღვის დონიდან ჯიშების სიჭარბის გათვალისწინებით გაგრის ტყის მასივი შეიძლება 3 ჯგუფად დაიყოს:

1. მუხა, ნეკერჩხალი, რცხილა და სხვა ფოთლოვანი ჯიშები გვხვდება 350 მეტრამდე ზღვის დონიდან.

2. უმთავრესად წიფელი სხვა ფოთლოვან ჯიშებთან შერეული — 380-დან 900 მეტრამდე ზღვის დონიდან.

3. ძირითადად სოჭი, აქა-იქ შერეული ნეკერჩხალთან, წიფელასთან, თელასთან, იფანთან, ურთხმელთან, 900 მეტრზე ზევით.

500 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, მაგრამ არა უფრო ზემოთ, ბუჩქნართან შერეული სახით გვხვდება უიშვიათესი რელიქტური მცენარე — ბზა, რომელიც ძვირფას და გამძლე მერქანს იძლევა. მისი ხვედრითი წონა გაგრის მასივის სხვა ტყის ჯიშებს შორის არაუმეტეს 0,2%-ს შეადგენს.

ნიაღაგ-ქვენიაღაგის პირობები (დაბლობ აღგილებში — თიხნარი, სველი, ციცაბო ფერდობებზე — კირიან-ლორლიანი)

ნოტიო კლიმატთან შეხამებით უზრუნველყოფს მცენარეული
 სწრაფ ზრდას.

რევოლუციამდელი რუსეთის ცნობილი მეტყევე ი. ს. მედ-
 ვედევი აღნიშნავდა, რომ „ზრდის ძალა ამ თბილ, ნოტიო და
 ოთქლით სავსე ქვეყნებში საოცარია.“ აი, გაგრის ტყის მა-
 სივების შესახებ რევოლუციამდელი წლების ნაამბობი, რო-
 მელიც გ. პანფილოვმა დაგვიტოვა: „ბილიკიდან გვერდზე გა-
 დახვევა, თუ ცული არ იხმარე, თითქმის შეუძლებელია, იმი-
 ტომ რომ ცალკეული მერქანისა და ბუჩქის ჯიშები, რომელ-
 თაგანაც ტყე წარმოსდგება, ტროპიკული ტყეების მსგავსად
 ხვიარა ხეებისა და ბუჩქნარების უფორმო მასად ქცეულა-
 ისინი ეტმასნებიან არა მარტო ხეებს, არამედ თავიანთი გრძე-
 ლი და მოქნილი შტოები იქვე გვერდით მდგომი ეგზემპლარე-
 ბისკენაც გაუწვდენიათ. ხან ბარდებად გაბარჯლულან და გი-
 განტურ ქეჩად დაფენილან, ხან კი ხეებიდან ჩამოშვებულ
 თეჯირისა და ფარდის სახით გზას გვიღობავენ“. შემდეგ პან-
 ფილოვს მოჰყავს ი. ს. მედვედევის საოცარი აღწერა, სადაც
 ნათლად დასურათხატებულია ტყის ძალზე სწრაფი აღდგენა-
 განახლების პროცესი.

1835 წელს ბიჭვინთა და გაგრა ერთმანეთს დააკავშირეს
 ტყეში გაჭრილი ფართო გზით. „იმ დღიდან 1841 წლამდე 6
 წელმა განვლო, ჩვენ ბარკასით ვმოგზაურობდით და
 წადილმა დაგვძლია გვენახა ის ადგილები, სადაც ამდე-
 ნი შრომა და გარჯა ჩავალიეთ, და მერე რა ვნახეთ?“
 გზა მსხვილი, მაღალი ხეებით გადახერგილიყო, რომლებიც,
 აღბათ, დარჩენილი ფესვებიდან ამოზრდილიყვნენ. ყველა-
 ფერი ეკლებში გაბურდულიყო. გაგრის სანახები საოცრალ
 მიმზიდველია. მისი მიღამოები ზღვისპირა ზოლიან კონტ-



რასტს ქმნიან. ნაირფერი ყვავილებით გადაბიბინებული მატე-
ლიშეას ალპური მდელოები ხასხასა ბალახის ფონზე თვალის-
მომჭრელ მხატვრულ ხალიჩებს მოგვაგონებს. წელიწადის
თბილ დროში არაბიკის მასივიც აგრეთვე ყურადღებას იპყ-
რობს ნოუიერი ალპური მდელოების სიუხვით“.

განსაკუთრებით ეფექტურია რიწა-ავადჰარა. იგი მდი-
დარია მცენარეულობით. ამ რაიონისათვის დამახასიათებელი
მერქნის ჯიშის გარდა, აქ დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან
მეცნიერების მიერ აკლიმატიზებული და კულტირებულია ზო-
გიერთი ფოთოლმცვენი, მარადმწვანე, ფოთლოვანი და წიწ-
ვიანი ჯიშები, აგრეთვე ადგილობრივი სახეობები, რომლებიც
რიწაში ზღვისპირა ზოლიდან გადარგეს და ახარეს.

ფოთოლმცვენი დეკორატიული მცენარეებიდან აქ კულ-
ტივირებულია ბერძნული თხილი, ალმოსავლური და დასავლუ-
რი ჭაღარი, წვრილყვავილა ცაცხვი, კატალპა, იფნისფოთოლა,
ნეკერჩხალი, ეკლის ხე, პუესარია, ბალის ჰორტენზია; მარად-
მწვანე მცენარეებიდან — იაპონური კამელია, ჯიქა, კვიდო;
წიწვიანი ჯიშებიდან — თეთრი და ზღვისპირა ფიჭვი, გიგან-
ტური ტუია, ჰიმალაური კედრი, ცისფერი მჩხვლეტავი ნაძვი;
ხილ-კენკროვანიდან — ვაშლი, მსხალი, ალუბალი, ქლიავი,
ხურტკბილა, უოლო და სხვ. ტბაში იცის კალმახი, ტბის
ნაპირებზე ბინადრობენ თოხიტარები, შაკები, გარეული იხ-
ვები, შვლები, მთხივები, წავები, სინდიოფალება, ციყვები,
ძილისგუდა.

რიწა-ავადჰარის ტყის მასივი წარმოდგენილია წიფელა-
სოჭის, წიფელას და წმინდა სოჭის ტყეებით.

ა. ვასილიევის მიხედვით, ამ ტყეების ძირითადი ჯიშები
წარმოდგენილია სხვადასხვა დასახელებით. მათ შორის

გვხვდება ძალზე ძვირფასი ჭიშები, მაგალითად, კავკასიური დიოსკურია. მისგან ამზადებენ ძვირფას სამკურნალწამლო პრეპარატს დიოსპონინს ათეროსკლეროზის სამკურნალოდ. რიწის გზაზე, იუფშარას ხეობაში, შეიძლება შეგვხვდეს კავკასიის ფაუნის ძალზე განსხვავებული წარმომადგენლები: სევერცოვის ჭიხვი, კავკასიური არჩვი, კავკასიური ირემი, კავკასიური შველი, გარეული ღორი, კავკასიური მურა დათვი, ტურა, მგელი, კავკასიური მთის მელა, კავკასიური კვერნა — თეთრყელა და ყვითელყელა, გარეული კატა, ამიერკავკასიური მაჩვი, ალმოსავლური ბულბული, შავი შაშვი, ჩხიკვი, შოშა, ჩეულებრივი ჩხიკვი, წიწკანა, კავკასიური შურთხი, კავკასიური ხოხობი, მთის არწივი, შევარდენი, ბუ, ყვავი.

ბოლოს უნდა აღინიშნოს გაგრის მეორე მეზობელი — ულამაზესი ბიჭვინთა. ბიჭვინთის სიამაყეა ცნობილი რელიქტური ნაძვის წარაფი ზღვის ნაპირას, რომელსაც 180 ჰექტარზე მეტი უკავია. რელიქტური გრძელწიწვიანი ნაძვი უძველესი პონტოს ფლორის უნიკალური წარმომადგენელია. იგი შემოჩენილია მესამეული პერიოდიდან. იზრდება მხოლოდ კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე, მისი რთული ეგზემპლარები გვხვდება შემდეგ ზოლში. საღვურ ვარვარკის ჩრდილოეთით ანაპის ახლოს ბიჭვინთისა და მიუსერის კონცებამდე სამხრეთით. მაგრამ მხოლოდ ბიჭვინთაში შემორჩა ასეთი უზარმაზარი ტყის მასივი.

გაგრისა და ბიჭვინთის ნაპირებს ერტყმის შავი ზღვა, რომლის ფაუნასა და ფლორას სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, თევზების 180 სახეობიდან ზოგიერთი სამრეწველო მნიშვნელობისაა, მაგალითად, სვია, თართი, ქაშაყი, ქაჯშია, კეფალი, ქამბალა, სტავრიდულა. შავი ზღვის ფლორა

250 სახეს ითვლის, მაგალითად, აქაურ ზღვის კომპოსტის
დიდი სამრეწველო დანიშნულება აქვს.

კურორტისა და მისი მიღამოების სამსახურისი ადგილები

გაგრა და მისი გარეუბნები, მისი შორეული და აწყობ „ედემია“ ტურიზმის, გასეირნების, ექსკურსიების მოყვარულებისათვის. თითოეული კუთხე იმდენად წარმტაცი, იმდენად ინდივიდუალურია, რომ სამუდამოდ რჩება მეხსიერებაში. დავუყვეთ ზღვის ნაპირების გასწვრივ.

ასეული მილიონი წლის წინათ ხმელთაშუა, მარმარილოს, შავი, აზოვის, კასპიისა და არალის ზღვების ნაცვლად გადაჭიმული იყო ერთადერთი ოკეანე ტეტისი, 13 მილიონი წლის წინათ ოკეანე მთებით გაიყო დასავლეთ ნაწილად, რომელიც წარმოგვიდგა ხმელთაშუა ზღვად, და აღმოსავლეთ ნაწილად, რომელმაც მოიცვა შავი, კასპიის, აზოვის, არალის ზღვები. ფსკერის დაწევამ გამოიწვია ის, რომ 8 — 10 მილიონი წლის წინათ აღმოსავლეთ ნაწილიდან გამოიყო პონტოს ზღვა, რომელიც აერთიანებდა შავ და კასპიის ზღვებს. ხმელეთის შემდგომმა ამოწევამ თავის მხრივ პონტოს ზღვა დაჰყო 2 ნაწილად — კასპიის და შავ ზღვებად. პირველი მტკნარი დარჩა, მეორე, რომელიც ხმელთაშუა ზღვას შეუერთდა, მარილიან გახდა, წარსულში ზღვას ევქსინის პონტო ეწოდებოდა, რაც ბერძნულად სტუმართმოყვარეს ნიშნავს, შემდეგ უბრალოდ ეძახოდნენ პონტოს ან რურულს.

შავი ზღვის თანამედროვე სახელწოდების ეტიმოლოგია საღისკუსიოა. სხვადასხვა ჰიპოთეზა ძირითადად ერთში თან-

ხმდებოდა, რომ დროდადრო ზღვის ფერი იცვლება, ან მუქია, ხან თითქმის შავი.

ზღვისპირა ზოლში მდებარეობს ძველი გაგრის სახელგან-
თქმული სანაოსნო პარკი და მისი გაგრძელება ახალი გაგრის
მიმართულებით — სანაპიროს ხეივანი, რომელზედაც ზე-
მოთ გვქონდა საუბარი, პარკი და ხეივანი, განსაკუთრებით
უკანასკნელი, მზის ჩასვლის საათებში მშრომელთა სასეირნო
საყვარელი აღგილია.

კურორტის საზაფხულო თეატრში გასტროლებზე ჩამოსუ-
ლი საესტრადო კოლექტივების კონცერტები იმართება. თეატ-
რი იმით არის ღირსშესანიშნავი აგრეთვე, რომ იგი დაკავშირე-
ბულია ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელთან. 1929 წელს აქ დიდ-
მა პოეტმა წაიკითხა საკუთარი ლექსები.

თეატრის გვერდით განლაგებულია ექვსი კეთილმოწყობი-
ლი ტენისის კორტი, სავარჯიშო კედელი, კალათბურთის,
ფრენბურთის და მაგიდის ტენისის მოედნები, ნავების სადგუ-
რი. სპორტულ ნაგებობათა მთელ ამ კომპლექსს იყენებენ რო-
გორც მასობრივი თამაშობებისათვის, ასევე ინდივიდუალური
და ჯგუფური მეცადინეობისათვის სამკურნალო ფიზკულტუ-
რაში. ნაჩიანი ნავებით ზღვაში გადიან სასეირნოდ.

კურორტის ცენტრში ძველ გაგრაში სანაპირო პარკის და
სანატორიუმ „უოეკვარას“ მეზობლად შემონახულია გაგრის
ციხე-სიმაგრის, ჩვენი წელთაღრიცხვით მე-4-5 საუკუნეე-
ბის ძეგლის ნაშთები. ციხე-სიმაგრის შუაგულში უძველესი
ტაძარია შემორჩენილი, რომელიც აუშენებიათ ჩვ. წელთაღ-
რიცხვით მე-5 — 6 სს. ამ ტაძრის რესტავრაციაზე ჯერ კი-
დევ 1902 წელს იზრუნეს. ამჟამად ციხე-სიმაგრის მთელ არ-
ჭირებულ კომპლექსს მზრუნველობით იცავს სახელმწი-

თო. ციხე-სიმაგრე 1971 წლიდან მუზეუმად იქცა, აქ მოაღწიუ-
ბული მასალები აშუქებს კურორტის ისტორიასა და საბჭოთა
სინამდვილეს.

ციხე-სიმაგრის გალავნის შიგნით დგას სანატორიუმ „უოე-
კვირას“ კორპუსები, რომლებიც უძველეს წარსულში სასტუ-
მრო იყო ჩამოსული არისტოკრატებისათვის. „უოეკვარას“ ახ-
ლანდელ მეორე კორპუსში საბჭოთა ხელისუფლების გამო-
ცხადების შემდეგ 1918 წელს დროებით მოთავსდა მუშათა
დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

გაგრის შენობები განსაკუთრებული და დიდებულია,
ზოგიერთი მათგანი რევოლუციამდეა აშენებული, „საუკუ-
ნის დასაწყისის“ ყველა არქიტექტურულ სტილს წარმოად-
გენს და ამიტომ ძალზე თავისებურია.

საინტერესოა გასეირნება მდინარეების უოეკვარას, გაგ-
რიფშის, ციხერვას ხეობებში. განსაკუთრებით თვალწარმტა-
ცია პირველი, იქ არის ბესტუფევ-მარლინსკის გოდოლი. წა-
რუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს არაბიკა (უოეკვარას გა-
ყოლებით ზევით) და მამზღიშხაზე გასეირნება, რომელიც გაგ-
რის თავზე სულ რაღაც 4-5 კილომეტრზე მდებარეობს პირდა-
პირი გზით (გზა — ძველი შარაგზა ძველი გაგრიდან 4 კმ იწყე-
ბა ახალი გაგრის გვერდის ავლით და სულ ზემოთ და ზემოთ
მთის მწვერვალებისაკენ მიემართება).

ძველი გაგრიდან 2-3 კმ მანძილზე, სოჭის მხარეს, შე-
იძლება იშვიათ სურათს წააწყდეთ — მიწისქვეშა მდინარის
უეცარი გამოსასვლელი ზემოთ ზღვაში მისი შესართავიდან
რამდენიმე მეტრის დაშორებით. ახალი გაგრიდან გასვლისთა-
ნავე სოხუმის მიმართულებით, თუ გზატკეცილიდან გადაუხ-
ვეთ, შეიძლება ნახოთ მცირე სტალაქტიტის მღვიმე, მის ახ-

ლოს არის „კლდის წყარო“, რომელიც აგრეთვე დიდი და ღრმა
 მღვიმიდან იღებს წყალს.

ბიჭვინთის კონცხი, რომელიც გაგრიდან 22 კმ მდებარე-
 ობს, ყურადღებას იპყრობს არა მარტო სახელგანთქმული ნაძ-
 ვის წარაფით, ლამაზი ლანდშაფტით, კურორტის კომპლექსის
 უნიკალური თანამედროვე არქიტექტურით, არამედ თავისი
 შორეული ისტორიული წარსულითაც. ჯერ კიდევ ბერძნები
 უწოდებდნენ მას „პიტიუნტს“, რაც სიტყვასიტყვით ითარგმ-
 ნება როგორც „ნაძვი“. ეს ქართულადაც ნაძვს ნიშნავს
 (ფიჭვი — ნაძვი). ბერძნულ საბუთებში ბიჭვინთა მოხსენე-
 ბულია, როგორც დიდი ქალაქი. ბიჭვინთას თავის მიწა-წყალ-
 ზე ახსოვს ბერძნები, რომაელები, ბიზანტიელები, თურქები.
 იგი პირველ ქრისტიანთა გადასახლების ადგილი ყოფილა.
 ბიჭვინთა საქართველოში ერთ-ერთი ადგილია, საიდანაც მთელ
 კავკასიაში გავრცელდა ქრისტიანობა. ბიჭვინთის საიდუმლოე-
 ბას თანდათან ნათელს ხდის უძველესი ქალაქის პიტიუსის
 ნანგრევების განათხრები. ეს გათხრები 1952 წელს დაიწყო
 და დღესაც გრძელდება. აღმოჩენილია უძველესი აკროპო-
 ლის საცხოვრებელი და საკულტო ნაგებობების, სხვადასხვა
 დროს აგებული ქრისტიანული ტაძრების, მე-4 ს. ანტიკური
 აბანოს, დიდი წყალსატევის ნანგრევები, ათასობით მონეტა,
 კერამიკა და სხვ.

ბიჭვინთის ღირსშესანიშნაობას და სიამაყეს წარმოადგენს
 უძველესი ბიჭვინთის ტაძარი, რომელიც აგებული ყოფილა
 მე-10 ს. მიწურულს და მე-11 ს. დასაწყისში. იგი ზღვიდან
 500 მეტრის მანძილზე მდებარეობს და ირგვლივ ქვის გალა-
 ვანი ერტყმის. ამ დიდებული ნაგებობის კედლების სისქე 1,5,
 სიმაღლე 25, სიგრძე 39, სიგანე 25 მეტრია. დროის, ომების,

ნანგრევების, ძარცვის, რევოლუციამდელი ბარბაროსასყული რესტავრაციის მიუხედავად, ტაძრის ძირითადი ხაზები, კონსტრუქციის ხასიათი შენარჩუნებულია, ზოგჯერ ახლაც ვაიგონებთ ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებულ ლეგენდას.

ტაძრისა და წყალსადენის მშენებლები (ორივე ერთდროულად შენდებოდა) დანაძლევდნენ, უან მაღე დაამთავრებდა საქმეს. წაგებული ტაძრის სახურავიდან უნდა გადმომხტარიყო. წყალსადენი მწყობრში ჩაღვა, ტაძარი კი მხოლოდ ყელამდე წვდებოდა. ტაძრის ხუროთმოძღვარი სახურავიდან გადმოეშვა და სასიკვდილოდ დაშავდა. ადგილი, საიდანაც იგი გადმოვარდა, თითქოს სახურავზე ჩატანექილა. ისტორიული საბუთი ამის შესახებ არ არსებობს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ტაძარი სახელმწიფო დაცვის ქვეშ იმყოფება. 1960 წლიდან შენობაში მოწყობილია გამოფენა, რომელიც ტურისტებს აცნობს ბიჭვინთის წარსულს, აწმყოს და მომავალს.

ძალზე საინტერესოა ექსკურსია რიწის ტბაზე, რომელიც გაგრილან 55 კმ-ზე და ბზიფის რკინიგზას საღგურილან 32 კმ-ზე მდებარეობს. გზა ჭირვეულად მიხევულ-მოხვეულია. ბზიფის, გეგის, იუფშარას თვალწარმტაც ხეობებში გზაზე (ბზიფის ხიდიდნ 14 კმ-ზე) პატარა ცისფერ ტბას შეხვდებით. ტბა ზღაპრულად ლამაზია. იგი შესანიშნავია იმით, რომ მასში წყალი ცივია ზაფხულის ცხელ დღეებშიც კი. მდინარე ვეგის ხეობაში მნახველებს აოცებთ არაჩვეულებრივი წყალვარდნილი, რომელიც დიდი სიმაღლიდან ეშვება გამჭვირვალე მარმაშის მსგავსად. თვითონ რიწა დამატებულად მოქმედებს ტურისტებზე, თავისი სილამაზით არაფრით არ ჩა-

მოუვარდება შვეიცარიის სახელგანთქმულ ტბებს. ადამიანი, რომელმაც თუნდაც ერთხელ ნახა ეს მოლივლივე, ცისფერი სარკის მოგრძო ოვალი, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ემახსოვრება იგი. ტბის სიგრძე 250 მეტრს აღწევს, სიგანე 270-დან 870 მეტრამდეა, სიღრმე 130 მეტრია, სანაპირო ზოლის სიგრძე 7 კმ, წყლის სარკის ფართობი 1,27 კვ.კმ.

გეოლოგიური კვლევის თანახმად, რიწა წარმოქმნა შორეულ წარსულში მდინარე ლაშიფსის ხეობის დაწევისას და მთების ჩამოქცევის შედეგად, მთებისა, რომლებიც გზას უღობავდა მდინარის დინებას. ხალხმა კი რიწის დაბადების საიდუმლოება გააპოეტურა. არსებობს ლეგენდის სხვადასხვა ვარიანტი. აი ზოგიერთი მათგანი.

ტბის წარმოქმნამდე უძველეს წარსულში ამ ადგილას ცხოვრობდა მიმნდობი, შრომისმოყვარე ტომი, რომლისთვისაც უცხო ცუ დავა და ჩხუბი. ჩასახლებულმა ეშმაკმა თვისტომებს შორის განხეთქილება დათესა. მათ ერთმანეთი შესძლდათ, უარყვეს სტუმართმოყვარეობის წმიდა წეს-ჩვეულებაც კი. წინასწარმეტყველი ადამიანის სახით ეწვია მათ, მაგრამ არავინ არ გაუღო კარი. მხოლოდ ერთმა საცოდავმა დედაბერმა, რომელსაც ვაჟიშვილის სიკვდილის შემდეგ სამი შვილიშვილი და რძალი დარჩა, მიიწვია წინასწარმეტყველი და უამბო სოფლის მცხოვრებთა საშინელ მორალურ დაცემაზე, მათ მიერ სიკეთის ფეხქვეშ გათელვის შემთხვევებიც მოუყვა. ღარიბ-ღატაკმა დედაბერმა სტუმრის გამასპინძლებაც ვერ შეძლო, ქვაბში კერიაზე მშიერი და მტირალი ბავშვების დასანახავად ქვები იხარშებოდა. წინასწარმეტყველმა გადაწყვიტა დაესაჯა მცხოვრებლები შეცოდებისათვის. როცა დასახლებას ტოვებდა, ქვები ანტრიებად აქ-

ცია. დედაბერი გააფრთხილა, რომ ამ ღამეს, რა წამს შდინარის ხმაურს გაიგონებდა, მაშინვე დასდგომოდა ბავშვებიანად ბილიკს უკან მიუხედავად, არ მიექცია ყურადღება ქარიშლის, ჭექა-ჭუხილის, ელვის, მიწისძვრისათვის. დედაბერი ასეც მოიქცა. როგორც კი ჩამოიტოვა ქარიშხალი, გრგვინვა და მიწისძვრა, შეშინდა და უკან მოიხედა. დასახლების ნაცვლად უზარმაზარი ტბა რომ დაინახა, შეძრწუნებულმა დაიყვირა: „რიწჰა, რიწჰა!“ ე. ი. საცოდავებო, უბედურებო! დროთა განმავლობაში „ჰავა“ გაქრა და დარჩა სახელწოდება „რიწა“. ასე შეიქმნა რიწა აღამიანთა ცოდვების დასჯის საპასუხოდ, რომ მათი სირცხვილი წარეხოცა.

ყური მიუგდეთ მეორე ლეგენდას. ცხოვრობდა მზეთუნახავი რიწა თავისი სამი მონადირე ძმით. ერთხელ ძმები შეუკვენდნენ ნაღირობაზე. მათ მოლოდინში ვარსკვლავებით მოჭედილი ცით მოხიბლული რიწა მღეროდა სიმღერებს. ტყის ყაჩალებმა, ძმებმა გეგამ და იუფშარმა, გაიგონეს რიწას ხმა და მისკენ გასწიეს. მხეცური ინსტიქტი დაეუფლა იუფშარს, რომელიც გაოგნებული უცქეროდა მზეთუნახავს. ვნებამორეული იუფშარა მაშინვე მიეჭრა ქალს და მკლავებში მოიმწყვდია. რიწა ყვიროდა და აქეთ-იქით აწყდებოდა, მაგრამ ბოროტმოქმედთან აბა რას გააწყობდა! ძალადობის მოწმემ მთის შევარდენმა ამბავი მოუტანა ძმებს. გაიქცნენ ისინი დის საშველად. უმცროსმა ძმამ ფშეგიშხამ მოუქნია თავისი გოლიათური მახვილი იუფშარს და ააცლინა. მშიშარა ავაზაკმა იუფშარმა გაქცევით უშველა თავს, მაგრამ რიწამ ვერ აიტანა დამცირება. გაღაეშვა უზარმაზარ ტბაში, რომელიც მის ფეხებთან გაჩნდა. უბედური ძმები დაედევნენ იუფშარს. უფროსმა ძმამ აგაფსთამ მძლავრი ხელებით ტბაში გადააგდო იგი,

ათუხთუხებულმა წყალმა ჩაძირული იუფშარა გადაისროლა უმცროსი ძმის ფშეგიშხას საგუბარ ფარს იქით. გაედევნა მდინარედ ქცეული იუფშარა. ძმა გეგისკენ, რომელიც აგრეთვე მდინარედ იქცა. რიწას შეძრწუნებული ძმები მთის მწვერვალებად გამოქანდაკდნენ, რომლებიც ღის სამარადის ძილს დარაჯობენ, ასე დგას იმ დღიდან რიწა გათელილი და შერცხვენილი სილამაზის ძეგლად ძმათა მწუხარებას შორის, რომელსაც მთის მწვერვალები განასახიერებენ.

ლეგენდაში თავისებურად გადახლართულია მითი და გეოგრაფია. მდინარე იუფშარა მდინარე გეგის შენაკადია. რიწას გარს არტყია სამხრეთ-დასავლეთით მთა ფშეგიშხა, ჩრდილოეთით — კლდეების მასივი, მისი მწვერვალებია აგაფსთა და აცეტუკი.

თუ რიწიდან 16 კმ გაივლით მდინარე ლაშიფეს ხეობაში, შეიძლება მდინარე ავალჰარას მიაღწიოთ, რომელიც ზღვის დონიდან 1650 — 1700 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, დაბურული ტყეები ალპურ საძოვრებში გადადის. იოლად შეიძლება ბილიკებით მარად თოვლიან ადგილებში ამოჰყოთ თავი. აქ უამრავი მშვენიერი სასეირნო ადგილებია.

პლატო დაცულია ჩრდილოეთის ქარებისაგან, მზით კარგადაა განათებული და, რაც მთავარია, აღმოჩენილ იქნა ნაირნაირი მინერალური წყლები. რიწისა და ავალჰარას მიწისგული, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი, პირდაპირ დატენილია ამ წყლებით. არაიშვიათად, ითვალისწინებენ რა ამ ორი რაიონის გეოგრაფიულ სიახლოვეს, აერთიანებენ მათ და უწოდებენ „რიწა-ავალჰარას“. აფხაზეთის კურორტების განვითარების პერსპექტივაში რიწა-ავალჰარას რაიონს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ამ უახლოესი მეზობლების გარდა, გაგრის სხვა უფრო შორეული მეზობლები მათზე ნაკლებ პოპულარული და სახელგანთქმული როდი არიან.

გაგრიდან შეიძლება სრულიად საკავშირო კურორტი სოჭი ექსკურსიაზე წასვლა. სოჭი უზარმაზარი ქალაქი-ბაღია. იქვე მის გვერდით მდებარეობს ცნობილი მაცესტის გოგირდ-წყალბადიანი წყაროები. გაგრიდან 75 კმ-ზე მდებარეობს ბალებით განთქმული გუდაუთა, სადაც ზაფხული უფრო გრილია.

გაგრიდან ახალ ათონში გამგზავრებაც დამსვენებელთა საყვარელი საექსკურსიო მარშრუტია. კურორტი საოცრად მომხიბლავია. გაშლილია ზღვის პირას ხელისგულის ტოლა ადგილზე, იქვე სადაც მთავრდება მთები.

ზღვიდან იგი ეფექტურად გამოიყურება. დატერასებული ხმელეთის პატარა მონაკვეთიდან აღმართულია მთები. ექსკურსანტები მოუთმენლად ელიან ახალი ათონის მონასტრის ნახვას. ასევე იზიდავთ ტერასა „არწივის ბუდე“, ცვერის მთა ჩვ. წელთაღრიცხვით XI საუკუნის ეკვტერით, მწვერვალზე გენუის გოდოლის ნანგრევები, უძველესი ქალაქი ნიკოფილის ციხე-სიმაგრის ნანგრევები და სხვ.

უკანასკნელ წლებში აღმოჩენილი ახალი ათონის ანაკოპიის მღვიმეში ახლა ინტენსიური სამუშაოები ტარდება. სათანადო რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის შემდეგ იგი გაიხსნა დამთვალიერებლებისათვის.

ექსკურსანტებს დიდხანს დარჩებათ მეხსიერებაში სოხუმი, აფხაზეთის ასსრ დედაქალაქი. ქალაქი-კურორტი ულამაზესია, გვამახსოვრდება ბალებით, პარკებით, პლაჟებით. ყველა ექსკურსანტს, რომელიც ქალაქს ეწვევა, თავის მოვალეო-

ბად მიაჩნია დაათვალიეროს დიდებული ბოტანიკური ბაღი, რომელიც 100 წლის წინათ დაარსდა. მაგრამ სოხუმში ჩამოსულთა შორის ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში ფართოდ ცნობილი ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტი მაიმუნების საშენით. სოხუმის კლიმატის პირობებში მაიმუნები მთელი წლის განმავლობაში ჰაერზე არიან ღია ვოლიერებში. ქალაქის თვალწარმტაც ადგილზეა მოთავსებული საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალი. სოხუმის მთა წარმოადგენს ლამაზად დაგეგმილ და კეთილმოწყობილ სუბტროპიკულ პარკს. მთიდან იშლება ქალაქისა და ზღვის შესანიშნავი ხედი. განუმეორებელია ეს სანახაობა ღამით, როცა ექსკურსანტების ფერხთით სინათლით გაჩირალდნებული დიდი ქალაქია, ჩირალდნების შუქი კი ზღვის მუქ ხავერდშია გადატეხილი. სამკურნალოდ ან დასავენებლად ჩამოსულთ ვურჩევთ თავისუფალ დღეს აუცილებლად იარონ ექსკურსიებზე.

**კურორტის სამკურნალო ფაზტორები. ორგანიზაზი
 გათი მომზება. სამკურნალო მათოდიკა**

კურორტი გაგრა ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედებას ახდენს სამკურნალო ფაზტორების კომპლექსით. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნოტიო სუბტროპიკული კლიმატი, ზღვაში ბანაობა, მზისა და ჰაერის აბაზანები. ამ

სამკურნალო ფაქტორების ზემოქმედებას აძლიერებს **დამა-**
ტებითი საერთო თერაპიული ლონისძიებანი — სანატორი-
ული რეჟიმი, ზღვის თბილი აბაზანები, მედიკამენტური მკურ-
ნალობა, ფიზიოთერაპია და სხვ.

გაგრის კლიმატი ორგანიზმზე ისევე მოქმედებს, როგორც
კავკასიის მთელი შავი ზღვის სანაპიროს კლიმატი, როგორც
ნოტიო სუბტროპიკების კლიმატი, მაგრამ ადგილობრივი მი-
კროკლიმატური თავისებურებებიც ახდენს გავლენას.

გაგრის ზღვის სანაპიროს კლიმატის თავისებურებანი და-
ხასიათებული იყო ზემოთ.

კურორტის ზღვის ჰავაში აღმოჩენილი იქნა იოდის ქლო-
რიანი მარილების, ოზონის მაღალი შემცველობა, ეს ნივ-
თიერება კეთილ ზემოქმედებას ახდენს ორგანიზმზე. ჰაერი
შეიცავს იოდს ორგანული და არაორგანული მარილების სა-
ხით. იოდის გარდა, ზღვის ჰაერში აღმოჩნდა ბრომის მარი-
ლები. ზღვის ჰაერი ძალზე სუფთაა, განსაკუთრებით სანაპი-
როს ზოლში. იგი შეიცავს ზღვის მარილების მტვერს. მტვრის
რაოდენობა და, მაშასალამე, მარილებისა განსაკუთრებით იზრ-
დება ზვირთცემისა და შტორმის დროს. ზღვის ახლოს სანა-
პიროს პარკის ხეივნებში ეს განსაკუთრებით იგრძნობა ზღვა-
ზე ქარიშხლის დროს, როცა ჰაერში მარილების შემადგენ-
ლობა 2 მგ/კუბ. მ-მდე აღწევს. როცა ზღვა წყნარია, იგი
0,02 მგ/კუბ. მ ქვეითდება. კურორტის ატმოსფეროში ყოველ-
თვის ხდება ელექტრონაწილებას რეგისტრაცია—დადებითი აე-
როიონების და მსუბუქი უარყოფითი აეროიონებისა. ორგანი-
ზმზე ხელსაყრელ სამკურნალო ზემოქმედებას ახდენს ატმოს-
ფეროში არსებული უარყოფითი აეროიონები. ქარები ზღვი-
დან, როგორც წესი, ზრდიან უარყოფით იონებს. მთის ფერ-

ღობებიდან წამონაბერი მშრალი თბილი ქარები ცვლიან ილუსტრაცია
ნების რეჟიმს, ამ დროს ჭარბობს დადებითი იონები. დადები-
თი იონების სიჭარბემ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს
ორგანიზმები. ზლვის ჰაერი მდიდარია ოზონით, რომელიც
უხვადაა დილის საათებში, მზიან დღეებში მეტია, ვიდრე
მოლრუბლულში, რადგან მისი შემცველობა განისაზღვრება
ატმოსფეროში ქიმიური პროცესების სიჩქარით, ტემპერატუ-
რით და ატმოსფეროს ელექტრული მდგომარეობით, სხივუ-
რი რაღიაცით.

ზლვის ჰაერი მდიდარია უანგბადით, იგი შეიცავს დაავა-
დების გამომწვევ ბაქტერიებს ძალზე უმნიშვნელო რაოდე-
ნობით.

შემაღვენლობით მდიდარი ზლვის ჰაერის შესუნთქვა ორ-
განიზმისათვის ძალზე სასარგებლოა; სამკურნალო გავლენას
ახდენს მასზე. ადამიანის ფილტვებში დღე-ლამის განმავლო-
ბაში 1 5000 კუბ. მეტრი ჰაერი გაივლის, ზლვისპირა ჰაერის მდი
დარი ფიზიკურ-ქიმიური შემაღვენლობა უკვე განსაზღვრავს
მკურნალობის მრავალრიცხოვან ჩვენებას კურორტ გაგრა-
ში: იგი განსაკუთრებით ნაჩვენებია ზემო სასუნთქი გზებისა
და ფილტვების ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდ. სა-
ერთოდ კურორტ გაგრის ყველა დამსვენებელს უნდა ვურ-
ჩიოთ ყოველდღე ზლვის ნაპირიდან არა უმეტეს 200 მეტ-
რის მოშორებით ყოფნა 2 საათის ხანგრძლივობით მაინც.

ამინდისა და ორგანიზმის მდგომარეობას შორის დამკი-
დებულების მიხედვით გაგრაში შეიძლება ამინდის პროგნო-
ზის ზუსტი დადგენა, მეცნიერებმა შეუპირისპირეს ათეროს-
კლეროზით, ჰიპერტონიული, რევმატიზმით და სხვა დაავადე-
ბის მქონე პირთა გუნება-განწყობა ამინდის თითოეულ მო-



მენტს და დააღვინეს მათ შორის ურთიერთდამოკიდებულება. აღმოჩნდა, რომ დაავალებულთა 30—35%, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში 50% მეტეოროგიური მდგომარეობის გაუარესებით. ადამიანთა ამ ჯგუფს აგრეთვე მეტეოპათებსაც უწოდებენ, იმიტომ, რომ ისინი მკვეთრად ამჟღავნებენ მეტეოროპულ (ამინდის) რეაქციებს (თავის ტკივილი, თავბრუ, გულისცემა, სისხლის წნევის აწევა ან დაწევა, ქოშინი, ძილის დარღვევა, ტკივილი გულში სტენოკარდიულ შეტევამდე და ა. შ.).

ასეთ მეტეოლაბილურ დაავალებულთათვის არახელსაყრელი რეაქციების თავიდან აცილების მიზნით საბჭოთა კლიმატოლოგებმა ი. ი. გრიგორიევმა, ნ. ვ. რომენკომ და ი. გ. პარამონოვმა შეიმუშავეს ამინდის კლასიფიკაცია ატმოსფერული პარამეტრების სამი წესის მიხედვით.

კლასიფიკაცია ამინდის ვარიანტებს ჰყოფს ოთხ ძირითად სამედიცინო ტიპად: I და II ტიპი — ხელსაყრელი ამინდი, III და IV ტიპი — არახელსაყრელი ამინდი.

დიდალ კლინიკურ მასალაზე ჩატარებულმა სტატისტიკურმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მკვეთრი დაზოგვითი რეუიმის დანიშვნამ არახელსაყრელი ამინდის პირობებში შეამცირა ან სავსებით მოსპო მეტეორეაქციები. ამიტომ გაგრაში, ისე როგორც შავი ზღვის ნებისმიერ კურორტზე, I ტიპი ფრიად ხელსაყრელი ამინდის რეუიმია, II ტიპის ხელსაყრელი ამინდის რეუიმი არ ითვალისწინებს სპეციალურ გამაფრთხილებელ (პროფილაქტიკურ) ღონისძიებებს. და პირიქით, III ტიპი — დაზოგვითი ამინდის რეუიმი და IV ტიპი — მკაცრი სამედიცინო კონტროლის ამინდის რეუიმი ყურად იღებს ამ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. ჯანმრთელებიც კი III და

IV ტიპის ამინდის დროს უნდა ნაკლებ დატვირთოთ კურორტული დატვირთვით, შევუზღუდოთ მზის აბაზანების მიღება, შევუმციროთ სეირნობა და ა. შ. ავალმყოფებს ამ პერიოდში უნიშნავენ წოლით და ნახევრადწოლით რეჟიმს, მკვეთრად უმცირებენ ფიზიკურ დატვირთვას, დროებით უხსნიან ან უმცირებენ კლიმატო-და ფიზიოთერაპიული პროცედურების დოზირებას, პროფილაქტიკისათვის უნიშნავენ მედიკამენტებს.

საკურორტო კლიმატოლოგიაში ფართო გავრცელება ჰქოვა ე. ე. ფეოდოროვისა და ლ. ა. ჩუბუკოვის ამინდის კლასიფიკაციამ (კომპლექსური კლასიფიკაცია), როგორც ყველაზე მარტივმა იმის გამო, რომ ეს კლასიფიკაცია აკმაყოფილებს ამინდის სამედიცინო შეფასების ყველა მოთხოვნას.

ამინდის ტიპი კომპლექსური კლასიფიკაციის მიხედვით იყოფა სამ ჯგუფად: პირველი ჯგუფი: — ამინდი, როცა ყინვები არ არის (I—VII და X—XI კლასები). მეორე ჯგუფი — ამინდი, როცა ჰაერის ტემპერატურა 0° -ს გადასცილდება (VIII — IX ჯგუფები). მესამე, ჯგუფი — ყინვიანი ამინდი (X—XI კლასები). ამრიგად, ამინდის ტიპი კომპლექსური კლასიფიკაციის მიხედვით 16 კლასისაგან შედგება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამასთან ერთად კურორტების დასახასიათებლად სამედიცინო კლიმატოლოგიის ასპექტში საჭართველოში იყენებენ ბ. ჰ. ალისოვასა და მ. ო. კორძახიას (გენეტიკური) ამინდის ტიპის კლასიფიკაციას, რომელიც ითვალისწინებს გენეტიკურ მომენტებს და სინოპტიკურ ვითარებას, რომლებიც გარკვეულ ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ორგანიზმე.



მოცემული კლასიფიკაციით ამინდის ტიპები შედგებია აგრეთვე 3 ჯგუფისაგან:

I ჯგუფი — ამინდის ტიპი, რომელიც ყალიბდება ადგილობრივი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების გავლენით თითქმის ჰაერის მასების მოდენის გარეშე გარედან (1—4 კლასები).

II ჯგუფის ამინდის ტიპისათვის (ჰაერის მასების აღვეკვია) დამახასიათებელია ძირითადად მეტეოროლოგიური ელემენტების კარგად გამოხატული რყევა ქარის ერთი და იმავე მიმართულების დროს (5—8 კლასები).

III ჯგუფი — ამინდის ფრონტალური ტიპი. მას ახასიათებს ჰაერის მასების ცვალებადობა და ამინდის პირობების ხშირი, მკვეთრი ცვლილება (9—12 კლასები). სულ გენეტიკური კლასიფიკაციის მიხედვით ამინდის ტიპები იყოფა 15 კლასად. გაგრაში, ისე როგორც შავი ზღვის ყველა კურორტზე, უხვადაა მზის სხივები. მზის სწორი გამოყენებისას იგი მძლავრი სამკურნალო ფაქტორია. გადაჭარბებული მზით მკურნალობას არცასურველი შედეგი მოსლივს. მზის სხივებით მკურნალობდნენ ჯერ კიდევ შორეულ წარსულში. მეცნიერების მაღალი დონე ჩვენს დროში, მეცნიერებისა, რომელმაც გაშიფრა მზის რაღიაციის მოქმედების მექანიზმი, უზრუნველყოფს მათ რაციონალურ და მეცნიერულ გამოყენებას.

მზის რაღიაციის ინტენსივობა დამოკიდებულია იმაზე, რა სიმაღლეზე დგას მზე. ყველაზე აქტიურია მზის რაღიაცია, როცა მზე ზენიტში დგას. ეს ხდება იმის გამო, რომ სხივები ეცემა შვეულად. ე. ი. დედამიწაზე ალწევენ ყველაზე მოკლე გზით. თუ მზე დაბლა დგას ჰორიზონტზე, როგორც ეს ხდება დილის და საღამოს საათებში, მაშინ მზის სხივები დედამიწამ-

დე გაივლის ყველაზე გრძელ გზას და მზის რაღიაციის ინტენსივობაც გაცილებით ნაკლები იქნება.

მზის რაღიაციის ინტენსივობა ბევრად დამოკიდებულია ჰაერის გამჭვირვალობაზე, რაღვან ატმოსფერო აბსოლუტურად გამჭვირვალე გარემო როდია! მზის სხივური ენერგია შთანთქმება ატმოსფეროს მიერ, ნაწილობრივ გაიფანტება. წყლის ორთქლი, კვამლი და განსაკუთრებით მტვრის ნაწილობი შთანთქავენ მზის სხივებს და ამით ამცირებენ მზის რაღიაციის ინტენსივობას. რაც უფრო გამჭვირვალეა ჰაერი, მით უფრო ეფექტურია მზის რაღიაცია. ამ მხრივ ზღვა იდეალური ფილტრია მზის რაღიაციისათვის. ზღვის ზედაპირსა და ზღვის ნაპირზე, სადაც სრულებით არ არის მტვერი. როგორც წესი, მზის რაღიაციის ინტენსივობა მაღალია.

მზის რაღიაციაში არჩევენ პირდაპირს და გაფანტულს. გაფანტული რაღიაცია ალინიშნება ულრუბლო და ღრუბლიანი ცის დროს, იგი განისაზღვრება ატმოსფეროს გაფანტვით (წყლის ორთქლი). ულრუბლო მზიან დღეს რაღიაცია ნაკლებია, იმიტომ რომ დედამიწამდე პირდაპირი რაღიაციის დიდი რაოდენობა აღწევს. სქელი ხშირი ნისლის დროს, პირიქით, ალინიშნება მხოლოდ გაფანტული რაღიაცია.

მზის სპექტრში რხევის სიხშირის მიხედვით ასხვავებენ სხივების საშტაცვის, რომლებიც ორგანიზმზე სხვადასხვა სამკურნალო ზემოქმედებას ახდენენ. ეს არის ულტრაიისფერი (180-დან 390 მილიმიკრონამდე), ხილული (390-დან 700 მილიმიკრონამდე) და ინფრაწითელი სხივები (700-დან რამდენიმე მილიმიკრონამდე). ულტრაიისფერი სხივები ყველაზე აქტიურია. ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილების მიერ ისინი

მნიშვნელოვანი რაოდენობით შთაინთქმება, ვიღრე ხელისური (ოპტიკური) და ინფრაწითელი (სითბური) სხივები. ატმოს-თეროში ყველაზე ძლიერად ულტრაიისფერი სხივები იფან-ტება. ისინივე ყველაზე მეტად შთაინთქმება დაბინძურებუ-ლი ატმოსფეროს მიერ. ზღვის ნაპირას სუფაა ჰაერში წყლის ორთქლის მნიშვნელოვანი რაოდენობის წყალობით გაფანტუ-ლი სხივები 14-დან 60%-მდე შეადგენს. ეს გაფანტული რა-დიაცია დიდი რაოდენობით შეიცავს ულტრაიისფერ სხივებს.

მზის ენერგია 9 საათამდე დიდი არ არის. ამ ნაწილის გრძელტალღიანი ულტრაიისფერი სხივები ეკიდება კანს. ნამზეურობას გაწითლება არ ახლავს. 9 საათის შემდეგ მზის რადიაცია მატულობს. ყველაზე აქტიური ხდება შუადღის სა-ათებში (11 საათიდან 13 საათამდე მზის სხივების შემადგენ-ლობა პრაქტიკულად ერთნაირია). შუადღის შემდეგ მზის ჩა-სვლამდე მზის ენერგიის შემადგენლობა და მისი ინტენსივობა თანდათან კლებულობს. შუადღის შემდეგ მზის სპექტრი მდი-დარია უმთავრესად ინფრაწითელი სხივებით, მნიშვნელოვა-ნია ალინიშნოს, რომ მხოლოდ გაფანტული რადიაციის ან პირდაპირი, მაგრამ ულტრაიისფერი სხივების მცირე დოზების ზემოქმედების შედეგად კანი განიცდის პიგმენტაციას გა-წითლების გარეშე (ულტრაიისფერი ერითემის სტადია). ამის გამო მთელი რიგი ავადმყოფებისათვის, განსაკუთრებით მათ-თვის, რომლებიც დაავადებული არიან გულ-სისხლძარღვთა სისტემით, მიზანშეწონილია გაფანტული რადიაციით დასხი-ვება. მზის რადიაცია გაგრაში არაერთგვაროვანია წელიწადის სხვადასხვა დროს ბიოლოგიური აქტიურობისა და შეჯამებუ-ლი გამოსხივების გამო. მაქსიმალური მზის რადიაცია ალინიშ-ნება ივნისში, მინიმალური — დეკემბერ-იანვარში. აქტიური

მოკლეტალლიანი ულტრაიისფერი სხივები მარტის თვეში მზის სპექტრში დღის 12-დან 13 საათამდეა შენიშნული, აპ-რილში, მაისში, ივნისში, ივლისში, აგვისტოში კი — დღის 10 და 15 საათებს შორის.

აპრილში, მაისში გაგრაში ჰაერი განსაკუთრებით გამჭირვალეა, გრილია, ღარიბია წყლის ორთქლით, ჯერ კიდევ ზამთრის მდგომარეობას ინარჩუნებს. ამიტომ ამ თვეებში ულტრაიისფერი რაღიაცია მაქსიმალურია, განსაკუთრებით მაისში.

ნოემბერში, დეკემბერში, იანვარში, თებერვალში გაგრის მზის სპექტრში ჭარბობს გრძელტალლიანი ულტრაიისფერი სხივები, რომლებიც მზის პიგმენტაციას ახდენენ ულტრაიისფერი სხივების ერითემის გარეშე. ამიტომ ცივი თვეების თბილ უქარო ამინდში შეიძლება მზის აბაზანების მიღება უშუალოდ ზღვის ნაპირს, ქარიან დღეებში — ქარისგან დაცულ შენობაში.

ზემოთ ითქვა, რომ გარემოსამყარო შთანთქავს და აირეკლავს მზის სხივებს. მაგალითად, ზღვის პლაუების მსხვილი კენჭები ირეკლავს დაცემული მზის სხივების 32%-ს. ზაფხულის თვეებში გაგრაში კენჭების 60° -მდე გახურებისას ეს არეკლილი მზის ენერგია ისედაც ზრდის დიდი სითბური ენერგიის ნაკადს, რომელიც არც გაჯანსაღების, არც სამკურნალო მიზნებისთვის არ არის საჭირო. ამიტომ აუცილებელია მზის აბაზანების მიღება შემაღლებულ ფიცრის საწოლზე.

მზის აბაზანების მიღების დროს უნდა გავითვალისწინოთ ზემოქმედი მზის რაღიაციის ყველა სამი ფაქტორი: პირდაპირი, გაფანტული და არეკლილი მზის სხივები. ახლა მზის აბაზანების დოზირება ხდება ბიოდოზებით, ზამთრის თვეებში

კალორიებით (სითბოს ერთეულებით). წინანდელ წუთობრივ დოზირებას აღარ მიმართავენ, რადგან სხივური ენერგიის ინტენსივობა დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში დღის საათებისა და თვეების მიხედვით განსხვავებულია, დოზირების სიზუსტეს უზრუნველყოფს ხელსაწყოები (პირანომეტრები, ულტრაიისფერი სხივების ავტომატური დოზიმეტრები) ან სპეციალური ცხრილები, რომელიც გაგრისათვის არის შედგენილი მრავალწლიანი დაკვირვებების შედეგად, საღაც მხედველობაშია მიღებული თვეები, მზის დგომის სიმაღლე, ულტრაიისფერი რადიაციის ინტენსივობა, დღის საათები და ა. შ.

გაგრის ზღვისპირა კლიმატის პირობებში დასუსტებულ ავადმყოფებს, რომლებმაც მძიმე დაავადება გადაიტანეს, უნიშნავენ ჰაერის აბაზანებს. მათ პრაქტიკაში მიმართავენ, როგორც წინასწარ პროცედურას მზის აბაზანების დანიშვნამდე ახალი კლიმატური პირობისადმი ორგანიზმის აღაპტაციის მიზნით ან როგორც დამოუკიდებელ პროცედურას.

ჰაერის აბაზანას იღებენ ჩრდილში, სპეციალურად მოწყობილ გადმოხურულში. ხშირად მზის აბაზანის დამთავრებისთავე იკეთებენ ჰაერის აბაზანებს, რაც არსებითად მზის პირდაპირი სხივების ზემოქმედების შემდეგ დასვენების პერიოდად ითვლება. ეს აბაზანები სითბომარეგულირებელ გავლენას ახდენს ორგანიზმზე, აწრთობს და აკაუებს მას. განსაკუთრებით კარგად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე ჰაერის აბაზანები ზღვის ბრიზების ატმოსფეროში. ჰაერის აბაზანების დროს ორგანიზმზე ზემოქმედებს გაფანტული მზის სხივები და სავსებით გამორიცხულია პირდაპირი მზის სხივები. ჰაერის აბაზანების მიღების საუკეთესო დროა დილის და საღამოს საათები, როცა ჰაერის ტემპერატურა არანაკლებ 20°C ,

პირველი აბაზანის ხანგრძლივობა 10—15 წლითია, შემდეგში ყოველდღიურად ვუმატებთ 10—15 წლის და ბოლოს მისი ხანგრძლივობა 1,5—2 საათამდე აგვიავს.

შავი ზღვის გაგრის ყურე ერთ-ერთი ულამაზესია მთელ სანაპიროზე. იგი ლრმადაა შეჭრილი ხმელეთზე. ზღვის ძლიერი ღელვა იშვიათია წელიწადის თბილ პერიოდში. ზღვაზე ქარიშხალი უმთავრესად წლის ცივ ამინდებში იცის. ზღვის ნაპირთან ფსკერი საკმაოდ დაწეულია, მაგრამ თანაბარია და ორმოები არ გვხვდება. საბანაო სეზონი გრძელდება მაისიდან ნოემბრამდე, ტემპერატურის 16° -დან 23° -მდე მცირეობის პირობებში. 16° ქვემოთ ტემპერატურის დროს ბანაობა რეკომენდებული არ არის.

წყლის ტემპერატურას გაგრის ნაპირზე ახასიათებს მუდმივობა. პლაუი უმთავრესად შედგება ხრეშისაგან, ზოგ ადგილებში მსხვილი ქვიშისაგან, პლაუის პირობები გაგრაში უკეთესია, ვიდრე ჩრდილოეთით განლაგებულ სხვა კურორტებზე.

ზღვაზე ბანაობა მძლავრი სამკურნალო ფაქტორია. ზღვის წყლის რეაქცია ტუტეა. ბანაობის დამთავრების შემდეგ ადამიანის კანი იფარება ნატრიუმის, კალიუმის, კალციუმის, მაგნიუმის, ქლორის, ბრომის, იოდის მარილების კრისტალური საფარით. კანში მარილების შეზელას მოსდევს ძალის მიხედვით ზომიერი, მაგრამ დროის მიხედვით ხანგრძლივი გალიზიანება, რომელიც გამოიხატება მცირე გაწითლებით და იწვევს ნერვული სისტემის რეფლექსურ აგზნებას და ნივთიერებათა ცვლას.

ზღვის დიდი ხვედრითი წონა და უზარმაზარი სივრცე უზრუნველყოფს ზღვის წყლის ტემპერატურის სტაბილობას. მისი მუდმივობა განისაზღვრება არა დღეებით, არამედ თვეებით

და წლის პერიოდებით. წყალსატევების, მდინარეებისა და ტბების ტემპერატურისაგან განსხვავებით, რომელიც გამოხატული საღლელამისო მერყეობით გამოირჩევა, ზღვა თანდათანობით თბება წელიწადის თბილ პერიოდში და ასევე ნელა გასცემს სითბოს ზამთარში. ზღვის წყლის ტემპერატურის მაქსიმუმი გაგრის ყურეში აგვისტოზე მოდის, საშუალო წლიური ტემპერატურა დაახლოებით 25°C .

კურორტი გაგრის სამკურნალო ეფექტი, რომელიც გარემოს თავისებურებებით გამოიხატება, რთულ გავლენას ახდენს ორგანიზმები. მოქმედებები ისინი მრავალნაირად მოკიდებული ფაზების სახით: რთულ-რეფლექსური, ნერვულ-ქიმიური და შედეგების ფაზებით. რთული რეფლექსური ფაზა განსაზღვრავს კურორტულ მკურნალობასა და დასვენებასთან დაკავშირებულ ზემოქმედებას, თანდაყოლილ და შეძენილ ზეგავლენას და ჰემორალურ გავლენას (სისხლით). ნერვულ-ქიმიური ფაზა დაკავშირებულია ზოგიერთ ნივთიერების ორგანიზმი შეჭრასთან და მათ ზემოქმედებასთან (მაგალითად, ზღვის მარილების თვითნებური შეზელვა კანში და მით გამოწვეული გაღიზიანება).

ყოველი გაღიზიანება დიდხანს ტოვებს კვალს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე აგზნების სახით, რომელიც რჩება გარკვეული დროის განმავლობაში გაღიზიანების მოქმედების შეწყვეტის შემდეგაც.

მეორე გაღიზიანება იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის განმეორებით აგზნებას და იგი უკვე პირველი აგზნების კვალს დააჩნდება. თავის მხრივ მესამე აგზნება მესამე გაღიზიანებისაგან გამოწვეული პირველი ორი აგზნების კვალს დაემჩნევა, შეჯამდება მათთან ერთად. აი ეს არის მესამე, კურორტუ-

ლი ფაქტორების მოქმედების შემდეგი ფაზა, დაკავშირებული მერძნობიარე ნერვების გაღიზიანებასთან.

რაციონალური კურორტული მკურნალობისათვის საჭიროა ინდივიდუალურად შევაჩიოთ გამლიზიანებელი (მკურნალობის ფაქტორები). მკურნალობა (გამლიზიანებლები) უნდა იცვლებოდეს, არ უნდა რჩებოდეს ტრაფარეტული. მათი შეცვლა უნდა ხდებოდეს ინდივიდუალურად, ავადმყოფის ყოველდღიური მდგომარეობის მიხედვით: ან ინტენსიური მკურნალობა უნდა ენიშნებოდეს (გამლიზიანებლების გაძლიერება), ან შესამსუბუქებელი (გამლიზანებლების შესუტება). უეჭველად მნიშვნელოვანია ავადმყოფის ორგანიზმის ინდივიდუალური რეაქციულობის განსაზღვრა მკურნალობის ამა თუ იმ სახის მიმართ (გამლიზიანებელი). ორგანიზმის საწყისი მდგომარეობა (მკურნალობამდე), როგორც წესი განსაზღვრავს კურორტული ფაქტორების (გამლიზიანებლური) მოქმედებაზე რეაქციებს.

მაგალითად, ჰიპერტონიული დაავადების მქონე ავადმყოფები, რომელთაც ძლიერი ნერვული სისტემა აქვთ, კარგ რეაქციას იძლევიან ზღვის აბაზანებზე. ასეთივე ავადმყოფები დასუსტებული ნერვული სისტემით ცუდად იტანენ ზღვის აბაზანებს. ამ უკანასკნელთ აღნიშნებათ ნერვული სისტემის კიდევ უფრო მეტი დასუსტება. კურორტულ მკურნალობაზე ორგანიზმის რეაქცია დამოკიდებულია ორგანიზმის დაავადების სიღრმეზე: ჯანსაღი ორგანიზმი ოდნავ რეაგირებს, დალლილი ან დაავადებული ორგანიზმი უპასუხებს გამოხატული რეაქციით. გამლიზიანებლების ზრდას გარკვეული ფიზიოლოგიური საზღვრები აქვს. იგი შეიძლება დაყვანილ იქნას ფიზიოლოგიურ ოპტიმუმამდე, რომელიც განისაზღვრება ორგანიზმის

ყველაზე უფრო ხელსაყრელი საპასუხო რეაქციით. იმისა-
 თვის, რომ ამ ფიზიოლოგიური ოპტიმუმის გულმოდგინე დო-
 ზირება მოვახდინოთ, უნდა დავაწესოთ ძალზე ფრთხილი სა-
 ექიმო კონტროლი და თვითკონტროლი. ყოველთვის უნდა
 ვერიდოთ გადაჭარბებას, კურორტული ფაქტორებით გატა-
 ცებას, რათა არ დავარღვიოთ ფიზიოლოგიური პროცესების
 აღაპტაცია და გარდაქმნები, უნდა გვახსოვდეს რომ სუსტ გა-
 ღიზიანებასაც კი, რომელსაც პერიოდულად ვიმეორებთ, შე-
 იძლება ნერვული სისტემის ზოგიერთი უბნის ზედმეტი
 გალიზიანება მოჰყვეს, გააძლიეროს დაავალება, ახალი დაავა-
 ლებაც კი გამოიწვიოს. ეს უნდა გვახსოვდეს გაგრაში და-
 სვენების ან მკურნალობის დროს და ამის მიხედვით მკურნა-
 ლობას შევუნაცვლოთ დასვენების დღეები. მაგალითად, ზღვა-
 ში ბანაობისა და მზის აბაზანების მიღებიდან რამდენიმე დღის
 შემდეგ საჭიროა ერთდღიანი შესვენება, სრული დასვენება.
 ამას ვურჩევთ განსაკუთრებით ხანშესულებს, ზოგჯერ კი
 ახალგაზრდებსაც, რომლებიც კარგად გამოწრთობილები არ
 არიან. მაშინ რაღა ითქმის ავადმყოფებზე?! ასეთი დასვენება
 მათთვის აუცილებელია.

გაგრის ზღვის კლიმატი ყოველმხრივ გავლენას ახდენს
 ორგანიზმე. კურორტის, მისი შემოგარენის სილამაზე, ჯა-
 ღოსნური სანაპირო პარკი, ფირუზისფერი ცა და ზღვა — ყო-
 ველივე ეს დამამშვიდებლად მოქმედებს აღაშიანის ფსიქიკაზე.
 ცით დაღვრილი და ზღვიდან არეკლილი კაშკაშა ნათელი სხი-
 ვები სტამულს აძლევს ნივთიერებათა ცვლას, სუნთქვას, სის-
 ხლის მიმოქცევას. მზის სპექტრის ულტრაიისფერ დასხივებას
 ცვლილება შეაქვს ტვინის ქერქის პროცესებში, აძლიერებს
 აგზნებას. ზღვის ჰავით კლიმატომკურნალობა, წყლის ორთქ-

ლით და მარილების იონებით მკურნალობა სუსტ გამლიზიანებელ მოქმედებას ახდენს სასუნთქ გზებზე. სუფთა უანგბადით და ოზონით გამდიღრებული ზღვის ჰაერი შეავსებს ორგანიზმი უანგბადის უკმარისობას.

უანგბადის უკმარისობის ლიკვიდაცია ნივთიერებათა ცვლის ნორმალიზაციას ახდენს ქსოვილებში. ბრიზების განუწყვეტლივ ქროლა გამუდმებით ავარჯიშებს თერმომარეგულირებელ აპარატს, აწრთობს მას, იზრდება აზოტოვანი და მინერალური ცვლა, უმჯობესდება მუსკულატურის ფუნქციური მდგომარეობა. ლია ჰაერზე ყოფნას თან ახლავს თბოგაცემის გაძლიერება, ორგანიზმის წროთობა. ასეთი გაკაუება უკეთესია მსუბუქ ტანსაცმელში გარეთ სეირნობის დროს ან განსაკუთრებით, როცა ტიტველი ვიღებთ ჰაერის აბაზანებს. ყოველდღიური წროთობის სისტემატური ზემოქმედება ზრდის ორგანიზმის წინააღმდეგობის გაწევის უნარიანობას. გაგრაში, ისე როგორც შავი ზღვის ყველა კურორტზე, კლიმატომკურნალობა მოქმედებს ორგანიზმზე, აუმჯობესებს რა ნერვული სისტემის საშუალებით ორგანოებისა და ქსოვილების მარეგულირებელ და ტროფიკულ (კვების) ფუნქციებს, ამასთან ახდენს ცვლის პროცესების ნორმალიზაციას. ამინდის ხასიათი და მისი პროგნოზირება საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ კლიმატომკურნალობის ვარიაციები, თავიდან ავიცილოთ გართულებანი.

კლიმატური მკურნალობების ძირითადი მეთოდია ის, რომ ადამიანი ხანგრძლივ უნდა იმყოფებოდეს სუფთა ჰაერზე და დამატებით მიიღოს სპეციალური კლიმატოსამკურნალო პროცედურები. ასე რომ, ორგანიზმი მუდამ განიცდის სხვადასხვა მეტეოროლოგიური ზეგავლენას. კლიმატომკურნალობის რეჟიმს საფუძვლად უდევს დაზოგვისა და ვარჯიშის ელემენტების:

სწორი შეხამება, თანდათან ვზრდით გამლიზიანებელს მინიმა-
 ლურიდან, რომელიც არ აღემატება ავადმყოფი ორგანიზმის
 რეაქციის შესაძლებლობებს, ოპტიმალურამდე, დასუსტებუ-
 ლი ფიზიოლოგიური ფუნქციების ყრველდღიური სისტემატუ-
 რი წთობის გზით. არჩევენ: I რეჟიმს — სუსტი ზემოქმედე-
 ბის, II — ზომიერად ინტენსიური ზემოქმედების, III —
 ინტენსიური ზემოქმედების. საწყისი მდგომარეობის ორგა-
 ნიზმის რეაქციულობის, დაზიანების, სიმძიმისა და სილრმის
 შიხედვით თითოეულ ავადმყოფს ეჭირი რეჟიმს ინდივიდუა-
 ლურად უნიშნავს.

გაგრაში პრაქტიკაში ფართოდაა დანერგილი აეროთერა-
 პია. ვერანდაზე მკურნალობა ტარდება წელიწადის ცივ და
 თბილ დროს. მას უნიშნავენ დასუსტებულ და მძიმე ავადმყო-
 ფებს, რომლებიც მიჩვეული არ არიან ცივ გამლიზიანებლებს,
 და რომელთაც სჭირდებათ ნახევრად წოლითი რეჟიმი. ძალზე
 გნიშვნელოვანია ავადმყოფი ერიდოს გაცივებას, გადახურე-
 ბას და მცირე ოფლიანობასაც კი (ოფლიანმა ავადმყოფმა შე-
 იძლება ძილის დროს გადაიხადოს), თბილ უქარო ამინდში ეს
 პროცედურა უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ქარიან და წვიმიან
 ამინდში. ვერანდაზე მკურნალობა თავდაპირველად 30 წუთი
 გრძელდება, შემდეგ თანდათან აჰყავთ 3 და მეტ საათამდე,
 ზოგჯერ მთელი დღე, ზოგჯერ კი მთელი ღამეც დასაშვებია.
 გართულების თავიდან ასაცილებლად ავადმყოფი უნდა შესა-
 ბამისად „მოვამარაგოთ“. ვერანდაზე მკურნალობა შეიძლება
 მოვაწყოთ დღისით ან საღილის შემდეგ დასვენების, ანდა ღა-
 მის ძილის სახით, სარგებლობენ სქემით, რომელიც ყოველ ინ-
 დივიდუალურ შემთხვევაში ზუსტდება, მას აკონტროლებენ
 ავადმყოფის სითბოს გაცემის მიხედვით. ვერანდაზე მკურნა-

ლობის ანალოგიურია კარგად განიავებულ ოთახში ყოფნა, სადაც ინტენსიური ვენტილაცია უზრუნველყოფილია, მუდამ ღიაა კარ-თანხრები. ლოჭიაში, სპეციალურ პავილიონში, მზი-საგან, ქარისაგან დაცულ აივანზე ყოფნა, პარკებისა და ბალების ხეების ჩრდილში ტახტზე, ჰამაკში, შეზლოგინზე ჯდომა ან წოლა. ვინც ნაკლებ ილლება და მსუბუქი ავადმყოფია, მათ ჩაუტარდებათ აეროთერაპიის უფრო აქტიური ფორმები — ღიღხანს ყოფნა ჰაერზე დოზირებული ნელი გადაადგილებით. აქ შედის სეირნობა, ჭადრაკი, კითხვა, ნაკლებმოძრავი თამა-შობანი, კინოსეანსები და ყოველივე ტარდებოდეს ღია ჰაერზე. აეროთერაპიის ეფექტურობა იზრდება, თუ მას შევუ-თავსებთ ჰიგიენურ, სამკურნალო გიმნასტიკას, სპორტულ თა-მაშობებს ღია ჰაერზე. კლიმატომკურნალობის კომპლექსში მატრენირებულ მრავედებად ჩაითვლება თანდათან მსუბუქ ტანსაცმელზე გადასვლა. აეროთერაპიის საუკეთესო მეთო-დია დოზირებული ძილი ზღვის ნაპირზე. აღამიანი მაშინვე მხნედ იგრძნობს თავს, დაღლილობა უქრება, თავის ტკივი-ლები აღარ აწუხებს, მაღა იღვიძებს, აეროთერაპიის ჩვენებე-ბი ძალიან ფართოა. წლის თბილ პერიოდში წინააღმდეგჩვენე-ბები არ არსებობს. სამედიცინო სიფხიზლეა საჭირო ამინდის შეცვლის დროს. განსაკუთრებული სიფხიზლე უნდა გამოვი-ჩინოთ სახსრების დაავალების მკურნალობის დროს, რათა ზედმეტმა გაცივებამ არ გამოიწვიოს პროცესის გამწვავება. აეროთერაპია განსაკუთრებით ნაჩვენებია იმ პირებისათვის, ვისაც ხშირად ემართება გაციებითი დაავალებანი და ვინც გონებრივად გადაღლილია (გონებრივი შრომის მუშაკები, რომლებსაც სულ ჯდომა უხდებათ).

გაგრის მზე მძლავრი სამკურნალო ფაქტორია. იგი მრა-



ვალმერივ მოქმედებს ორგანიზმები. მზის სხივი სწყვეტს ულავა
ტრონებს კანის ზედა ფენებს და მობილიზაციას უკეთებს ბიო-
ლოგიურ რეაქციებს, ზრდის ქსოვილების ცხოველმყოფელო-
ბას, როცა მას იყენებენ ფიზიოლოგიური დოზებით. აძლიე-
რებს უჯრედების ზრდას, კვებას, გამრავლებას. ჭარბად დო-
ზირებული მზის სხივი კლავს უჯრედს. ზომიერი დოზით ზე-
მოქმედებისას იგი აღიზიანებს კანის მგრძნობიარე ნერვულ
დაბოლოებებს, აგზნებით სიგნალს აწვდის ცენტრალურ
ნერვულ სისტემას, ააქტივებს ფსიქიკას. ავალმყოფი იბ-
რუნებს მხნეობას და ენერგიული ხდება. მზის სხივური ენერ-
გია ორგანიზმში სითბურ ენერგიად იქცევა. სითბო ცვლის გა-
რემოს ტემპერატურულ პირობებს, ააქტივებს ბიოლოგიურ
პროცესებს, საერთო და ქსოვილოვან ცვლას, ზრდის ქსოვი-
ლების გარსების შეღწევადობას. მზის სხივების ზომიერი და-
ზიანება კანში წარმოქმნის მაღალაქტიურ ბიოლოგიურ სტი-
მულატორებს (ჰისტამინს და მის მსგავსთ). ისინი გამლიზია-
ნებელ მოქმედებას ახდენენ ნერვულ სისტემაზე, სისხლის სა-
შუალებით მთელ ორგანიზმს მოივლიან და იწვევენ აღგი-
ლობრივ (კანის გაწითლება) და საერთო (სისხლის წნევის და-
წევა, ტკივილის შეგრძნების დაქვეითება) რეაქციებს. იგივე
ჰისტამინი დიდი დოზებით კაპილარების შხამია. მზის ზედ-
მეტი დოზირებისას მას ფრიად არასასურველი შედეგები მოს-
დევს, მომწამვლელად მოქმედებს. მზის სხივები იწვევს არ-
ტერიული სისხლის მოდენას სხეულის პერიფერიისაკენ პერი-
ფერიული სისხლძარღვების მნიშვნელოვანი გაფართოებისა
და სისხლით გადავსების ხარჯზე. ყოველივე ეს მთლიანობაში
ააღვილებს გულის მუშაობას, მზის სხივი აძლიერებს უანგ-
ვით პროცესებს ორგანიზმში, აჩქარებს ასიმილაციის (ათვი-

სების) პროცესებს, დასუსტებული პირები საგრძნობლად იმა-
ტებენ წონაში, არეგულირებს ფოსფატებისა და კალციუმის
რაოდენობრივ თანაფარდობას, სისხლში ჰემოგლობინის, სის-
ხლის წითელი და თეთრი ბურთულების რაოდენობა მატუ-
ლობს. სუნთქვა ხდება ლრმა, უმჯობესდება ფილტვების ვენ-
ტილაცია, იზრდება გაზთა ცვლა, ქსოვილების უჭრედების
მიერ უანგბალის შთანთქმა. მზე ხელს უწყობს საჭირო ვიტამი-
ნების ათვისებას.

მზის სხივი აძლიერებს ოფლის გამოყოფას, რომელიც ორ-
განიზმიდან გამოაძევებს ნივთიერებათა ცვლის, დაშლის სა-
ბოლოო პროდუქტებს. ორთქლდება რა კანის ზედაპირიდან,
ოფლს თან მოაქვს ზედმეტი სითბო და აგრილებს თანაც. კანს,
რომელიც მზის სხივის ზემოქმედებას განიცდის, უფრო გას-
ქელებული რქოვანა ფენა აქვს და პიგმენტირებული უფრო
ელასტიკურიც ხდება, რითაც დაავადების გამომწვევი მიკრო-
ბების, განაკაწრებისა და ჭრილობების მიმართ მდგრადი
ხდება.

დასხივების მაჩვენებელია ნამზეურობა, კანში საღებავი
პიგმენტაციის — მელანინის დაგროვება — ეს არის საპასუხო
რეაქცია მზის აბაზანების ინტენსივობაზე. რა თქმა უნდა, მზის
სხივის მთელი ზემოქმედება არ შეიძლება მარტო ნამზეურო-
ბამდე დავიყვანოთ. იგი, უეჭველია, უფრო ლრმა და მრავალ-
მხრივია (ამაზე ზევით იყო ნათქვამი). აქ ზემოქმედების ფაქ-
ტორების მრავალფეროვნებასთან გვაქვს საჭმე: სითბური და
ფოტოქიმიური, პირდაპირი, გაფანტული და არეკვლითი მოქ-
მედების ინფრაწითელი და ულტრაიისტერი სხივები, წარმო-
დგენილია ატმოსფეროს მეტეორფაქტორების რთული კომპ-
ლექსი.



მაგრამ თანაბარზომიერი სწორი და არა უზომო ნამზაფუ-
რობა, კანის ყვითელი ფერის თანდათანობით ყავისფერში გა-
დასვლა ინდივიდუალური ორგანიზმისათვის მზის აბაზანის
აღეკვატობის (შესაბამისობის) მაჩვენებელია. არასდროს არ
უნდა დავაჩქაროთ ნამზეურობა, გვახსოვდეს, რომ იგი დამო-
კიდებულია კანის ტიპზე, ასაკზე, ჯანმრთელობის მდგომა-
რეობაზე, წელიწადის დროზე, პროცედურის დოზირებაზე,
მზის სხივების სიმძლავრეზე. იგი შეიძლება დაგვეტყოს მზის
სისტემატური გამოსხივებიდან სამი-ოთხი კვირის შემდეგ,
ე. ი. კურორტული მკურნალობის ბოლოს, ჩვენ ამას ვერ შევ-
ნიშნავთ გაგრაში, მაგრამ აშკარად დაგვეტყობა ნამზეურობა
თბილისში, მოსკოვში. ეს ნამზეურობის გვიახო გამოვლინებაა.
ძლიერ სწრაფ ნამზეურობას, როცა „იხრუკებიან მზეზე“,
არასასურველი შორეული და უახლოესი შედეგები მოს-
დევს ორგანოებისა და სისტემებისათვის. აღარ ვლაპარა-
კობთ თვითონ კანზე მისი უარყოფითი გავლენის შესახებ, იგი
სწრაფად აბერებს.

მზის სხივები ნამზეურობას იწვევს ორი ფაზის საშუალე-
ბით — სითბური და ქიმიური ერითემით. სითბური ერით-
ემა დაკავშირებულია სპექტრის ინფრაწითელი (სითბური)
ნაწილის ზემოქმედებასთან. იგი ჩნდება დასხივებასთან ერ-
თად, დაკავშირებულია კანში სისხლის მიღენასა და მის გაწით-
ლებასთან, ქრება სეანსის დამთავრების 35—49 წუთის შემდეგ.
მის პარალელურად თავს იჩენს ქიმიური ერითემა. იგი მოსდევს
სპექტრის მოკლე ულტრაიისფერი ნაწილის ზემოქმედებას.
თასდათან მატულობს და მოქმედების მაქსიმუმს აღწევს 24
საათის შემდეგ. დავუშვათ, დილის 9 — 10 საათს შორის
მოგეკიდათ მზე, ღამით ზურგი შეგიწითლდათ. სწორედ ეს

არის ქიმიური ერითემის გამოვლინება. ფოტოჭიმიური ერითემის განსაკუთრებით სჭირდება ორგანიზმის, სწორედ იგი უწყობს ხელს D ვიტამინის წარმოქმნას, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის ცხოველმყოფელობის პროცესში.

სითბური ერითემა სრულიადაც არ გვეხმარება D ვიტამინის წარმოქმნაში. იგი შეიძლება წარმოიქმნას არა მარტო მზის დასხივებით, მას ადგილობრივად იწვევს სათბურის ხშირი დაღება სხეულის ერთსა და იმავე ადგილას. ასეთი გაწილება არ არის ფიზიოლოგიური. ამიტომ ხანგრძლივი მზის აბაზანებით გატაცება არ არის მიზანშეწონილი. კარგი სამკურნალო-პროფილაქტიკური ეფექტისათვის სავსებით საკმარისია ზომიერი ნამზეურება. ამგვარად, ნამზეურობის ძალიან მუქი ფერი სწორი და ეფექტური მკურნალობის მაჩვენებელი როდის. მზის აბაზანების არაერთგზის მიღებისას შეიძლება სავსებით ეფექტური ნამზეურობის მიღწევა ორგანიზმის უკიდურესად დაძაბვის გარეშე.

უკვე დროა უარვყოთ დამკვიდრებული შეხედულება, რომ ძალიან პიგმენტირებული (მუქი კანი) კანის მქონე ადამიანებს შეუძლიათ მიიღონ მზის აბაზანები განუსაზღვრელად. მათ მაინც დამწრობა არ გაუჩნდებათ. ეს ნაწილობრივ მართალია იმ მხრივ, რომ ეს პირები ნაკლებად დაიწვებიან მზეზე, ვიდრე ისინი, ვისაც თეთრი კანი აქვს, მაგრამ შავგვრემანებიც არცთუ ისე იშვიათად იღებენ ძლიერ მზის დამწვრობას. საქმე ისაა, რომ პიგმენტირებული მუქი კანი ნაკლებ აირეკლავს და შეაკავებს არა მარტო ულტრაიისფერ, არამედ ინფრაწითელ და ხილულ სხივებსაც. ასეთი სითბური შეჯამების დროს ორგანიზმი იტვირთება სითბოთი, ირღვევა თბოგაცემა, ორგა-



ნოებისა და სისტემათა ურთიერთმოქმედების დახვეწილი კორელირებული ფუნქცია, ხშირად თავს იჩენს დამწვრობაც მზის აბაზანების მიღების დროს საჭიროა თვალყურის დევნება. პირის კანი განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებს მზის სხივების ინტენსიურობაზე. იგი ხდება უხეში, სწრაფად ბერდება. ამის დამაღასტურებელია მეზღვაურების, მემონტაჟების, სოფლის მეურნეობის მუშავთა სახის კანი, რომლებიც მზის სხივების მუდმივ ზემოქმედებას განიცდიან. იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ კანის სილამაზე, სინორჩე, სიმკვრივე, ელასტიკურობა, თავი უნდა ავარიდოთ კანის გაუხეშებას, როგორც ქალებმა, ისე მამაკაცებმა საჭიროა სახე მოარიდონ გავარვარებულ მზის სხივებს. ყოველთვის გვახსოვდეს გაგრის მზის ორმაგი ხასიათი, რომელიც ჭკვიანებისათვის კეთილია და დოყლაპიებისა და უვიცებისათვის კი ავი და ბოროტი.

მზის აბაზანები შეიძლება იყოს საერთო, როცა დაასხივებენ მთელ შეულს, და ადგილობრივი (ლოკალური), როცა დაასხივებენ სხეულის რომელიმე ნაწილს. ამას გარდა, მზის სხივების მკაცრად ინდივიდუალურ დოზირებას ახდენენ. დოზირებას წუთობრივ მეთოდს ახლა აღარ იყენებენ, იგი არასრულყოფილად არის მიჩნეული. გაგრის საუწყებო სამედიცინო პლაჟებზე ამ მეთოდით აღარ სარგებლობენ. მაგრამ დამოუკიდებელმა, „ველურმა“ დამსვენებლებმა, ტურისტებმა, რომლებიც ღია პლაჟე დადიან, ე. ი. ჯანმრთელობა პირებმა, რომელიც სამედიცინო კონტროლის მომსახურებით არ სარგებლობენ, უნდა იცოდნენ ეს მეთოდი თუნდაც საორიენტაციოდ. საერთო მზის აბაზანის ხანგრძლივობა თავდაპირველად 5—10 წუთს უდრის, შემდეგ ყოველდღიურად ვზრდით თანაბარ

ზომიერად, ისე რომ დაწესებული მაქსიმუმი არ უნდა აღვაძე-
ტებოდეს 60 წუთს (უხეშად რომ ვთქვათ, 60 კალორი-
ას).

გავრის პლაუებზე უფრო ხშირად იყენებენ დოზირების
კალორიულ მეთოდს და ნაკლებად მიმართავენ დოზირებას
ბიოდოზებით, თუმცა ორივე მეთოდი პრაქტიკულად მისაღე-
ბია. კალორიები განისაზღვრება აკტინომეტრების საშუალე-
ბით ან მათ ვარაუდობენ მრავალწლიანი ცხრილების მიხედ-
ვით, რომლებიც შედგენილია თვეების მიხედვით. თვეები და-
ყოფილია 3 დეკადად. კალორიული მეთოდი მხედველობაში
იღებს სხეულს 1 კვ. სმ-ზე დაცემული მზის ენერგიის რაოდე-
ნობას და შეუპირისპირებს მას პროცედურის ხანგრძლივო-
ბას წუთებით. გათვალისწინებულია მზის ენერგიის სხვადა-
სხვა ინტენსივობაც სხვადასხვა საათებში, დღეებში. ბიოლო-
გიური დოზირების მეთოდის დადგენა ხერხდება კანის მცირე
უბნების მზის სხივების მზარდი დოზებით დასხივების გზით.
უფრადლება ექცევა დროს, რომელიც სჭირდება მინიმალური
ერითემის მიღებას (კანის გაწითლებას). ამ მეთოდით, არსე-
ბითად, იმდენად კი ვერ დაადგენენ მზის დასხივების ინტენ-
სივობას, იგი უფრო საშუალებას იძლევა დავახასიათოთ კანის
რეაქცია გამოსხივებაზე მოცემულ დროს. ითვალისწინებენ რა
ულტრაიისფერი დასხივების მნიშვნელობას, მის ბიოლოგიურ
აქტივობას, ამჟამად ახდენენ ულტრაიისფერი სხივების რადია-
ციის ძალის დოზირებას (კონსტრუირებულია ავტომატური დო-
ზიმეტრი), საშუალო ბიოდიზის $1/30$ შეესაბამება ულტრაიის-
ფერის 1 ერთეულს. თავის მხრივ საშუალო ბიოდოზა შეესა-
ბამება 30 კალორიას. დოზირების ბიოლოგიური მეთოდი
მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი საშუალებას იძლევა მოვახ-



დინოთ მზის დიფერენციალური სხვადასხვა პირებისათვის და მუქი სახის კანის მქონე პირებისათვის, რომლებსაც სხვადასხვანაირად ეკიდებათ მზე. ერთსა და იმავე დოზაზე სხეულის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვანაირ რეაქციას იძლევა. უფრო მგრძნობიარეა კანი ტანზე, ნაკლებ — კიდურებზე. მაქსიმალური მზის აბაზანა უდრის 60 კალორიას. ამ დოზის გადაჭარბებას ხშირად თან სდევს უარყოფითი შედეგები.

მზის აბაზანების თვითნებურ დანიშვნას ეჭიმის რჩევა-დარიგების გარეშე შეიძლება მოჰყვეს უაღრესად მძიმე გარ-თულებანი, მოსალოდნელია მძიმე ავადმყოფების სიკვდილის შემთხვევებიც კი. მზის აბაზანების გადაჭარბებული დოზირება აუარესებს გუნება-განწყობას, იწვევს თავის ტკივილს, სი-სუსტეს, აპათიას, ან გამღიზიანებლობას, მოუსვენარ და მშფოთვარე ძილს, აჩქარებულ გულისცემას, ქოშინს, პირლე-ბინებას, მაღის დაკარგვას. თუ ყოველივე ამას თან ახლავს მზით დამწვრობა, იწყება ციებ-ცხელება. ჯანმრთელ აღამიანს სამი-ოთხი დღით წოლითი რეჟიმი სჭირდება, ავადმყოფს უმ-წავდება დაავადება, იგი უფრო მძიმე ფორმას იღებს, ვიდრე კურორტზე ჩამოსვლამდე ჰქონდა (უხშირდებათ სტენოკარ-დიის შეტევები, მაღლა იწევს წნევა და ა. შ.).

მზის ზედმეტი დასხივების უკიდურესი გართულებაა სით-ბური და მზის დაკვრა, რაც შეიძლება სიკვდილით დამთავრ-დეს ტვინის მძიმე მოვლენების გამო. მზის დაკვრის საფრთხე უფრო დიდია უქარო ცხელ ამინდში თერმორეგულაციის მკვეთრ დარღვევასთან დაკავშირებით, უმთავრესად თბოგაცე-მის შეფერხების გამო. ჯანმრთელები და მით უმეტეს ავად-მყოფები ძალზე ფრთხილად უნდა შეეჩიონ მზის სხივებს,

თანდათანობით გააღიღონ მზით დატვირთვა, დაიყვანონ იგი იპტიმალურ დოზამდე და შეჩერდნენ.

თვისებრივად და რაოდენობრივად მზის გამლიზიანებელი მოქმედების ნიველირება შეიძლება მზის აბაზანების მიღების პირობების შეცვლით (დღის დრო), რაღიაციის ამა თუ იმ ტიპის მიღებით (პირდაპირი, გაფანტული, არეკლილი), პლა-უის სხვადასხვა ზონის გამოყენებით (ბალახის, წყალზედა და კენჭებზედა).

თუ აეროთერაპია (ვერანდაზე, ვოლიერში და ა. შ.) შე-დარებით ფართოდაა ნაჩვენები მთელი რიგი დაავადებების დროს (გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური დაავადება, ჰიპერტონიული დაავადება, ნერვული სისტემის ფუნქციუ-რი დაავადება — ასთენიური მდგომარეობა და ნევროპათიუ-რი რეაქციები), მზით მკურნალობა, რა თქმა უნდა შეზღუდუ-ლია.

თუ ამ პროცედურას გულით დაავადებულს ვუნიშნავთ, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. უფრო მეტიც, იგი კატეგორიულად წინააღმდეგნაჩვენებია გამოხატული ათეო-სკლეროზით დაავადებულთათვის, თავის ტვინის, ვენური, თირკმლების სისხლისმიმოქცევის მოშლის დროს, გულის უკმარისობის დროს, გულის არითმიებისას. ხშირად მზით ზედ-მეტი გატაცება ცუდ სამსახურს უწევს ადამიანებს, სრულიად უეცრად გამოავლინებს ამა თუ იმ დაავადებას ან მისი გამომ-წვევი მიზეზი ხდება. მაგალითად, მკვლევარების ერთი ჯგუფი თვლის, რომ ინტენსიური მზის რაღიაცია გენეტიკურად (მემ-კვიდრეობითი) წინასწარ განწყობილ პირებში გამოავლენს დაფარულ ლეიკოზს (სისხლის განუკურნებელი დაავადება) ან იწვევს მას. მზე იწვევს ლატენტურ (არააქტიურად მიმ-

დინარე, წყნარ ან ფარულ) რევმატულ პროცესს. აქედან გამომდინარე, გაგრაში ჩამოსვლამდე ეჩვენეთ ექიმს, მოისმინეთ მისი რჩევა-დარიგება, ჩაიტარეთ საჭირო ლაბორატორიული გამოკვლევების მთელი კომპლექსი.

მზის აბაზანების მიღების დროს აგრეთვე უნდა ვიხელმძღვანელოთ ესთეტური მოსაზრებითაც. უსიამოვნო სანახავია, როცა გაგრის დამსვენებლებრ ან აქ სამკურნალოდ ჩამოსულები თანაბარი ლამაზი ნამზეურობის ნაცვლად ერთმანეთს დამწვარ კანს. აყურებინებენ. ეს ძირითადად იმათი ხვედრია, ვინც ცდილობს მზისაგან მიიღოს რაც შეიძლება ყველაფერი.

მზით მკურნალობის მოყვარულთათვის არსებობს ეფექტურობის კრიტერიუმი, რომელიც ნამზეურობაზე უფრო მნიშვნელოვანი და საჭიროა. ეს არის ის, რომ მზის აბაზანების მიღების შემდეგ ხშირად ცოტა ხნით თავს იჩენს სისუსტე და დალლილობა, მაგრამ შემდგომში, თუ აბაზანა სწორად არის დოზირებული, მას შეცვლის მხენეობა, სიხალისე, გუნებ-განწყობის გაუმჯობესება. თუ აბაზანა ზედმეტად დოზირებულია, მაშინ სისუსტე და უხალისობა უფრო ძლიერდება, თან ემატება ახალი არასასიამოვნო შეგრძნებები და ჩივილები. აბაზანების შედეგების შეჯამების დროს მათ ეფექტიანობას და აღასტურებს გუნება-განწყობის საბოლოო გაუმჯობესება, ტკივილის გაქრობა ან პირიქით მათი უარყოფითი გავლენა — განწყობილების გაუარესება, რომელსაც თან ახლავს პროგრესიული სისუსტე, აპათია, გამლიზიანებლობის მომატება. ამ უკანასკნელი ნიშნების გაჩენისთანავე დაუყოვნებლივ უნდა მიმართონ ექიმს. მზის აბაზანას ნიშნავს ექიმი. იგი შეარჩევს მზის აბაზანის გარკვეულ სახეს (პირდაპირი ან გაფან-

ტული რაღიაცია), დაუნიშნავს აბაზანის მიღების დროს, განსაზღვრავს დოზას კალორიებით ან ბიოლოგიური ერთეულებით. იგი თანაბარზომიერად ზრდის ამ დოზას ოპტიმალურ მაქსიმუმამდე, ჩვეულებრივ 1 — 1,5 ბიოდოზამდე, რაც შესაბამება ულტრაიისფერი სხივების 30 — 45 ერთეულს, რომლის გადაჭარბება დაუშვებელია იმ პირებისათვის, რომელთაც კანზე მზე არ მოჰკიდებიათ, პირველი სეანსი 1/4 ბიოდოზისაგან შედგება. რაღიაციულად საგრძნობი ტემპერატურის ყველაზე ხელსაყრელი ინტერვალი 19,50-სა და 24,5-ს შორის მერყეობს. ზემოქმედების რეჟიმის შესაბამისად (კლიმატომკურნალობა) ხდება აბაზანების დოზირების ორიენტაცია.

სუსტი ზემოქმედების I რეჟიმის დროს იყენებენ კურსს, რომელიც გაფანტული რაღიაციის 12 აბაზანისაგან შედგება, იწყებენ 1/4 ბიოდოზით პირველი 3 დღის განმავლობაში, შემდეგ უმატებენ 1/4 ბიოდოზას, ოპტიმალური მაქსიმუმია I ბიოდოზა. ზომიერ-ინტენსიური ზემოქმედების II რეჟიმის დროს იყენებენ პირდაპირი რაღიაციის 16 აბაზანისაგან შემდგარ კურსს, იწყებენ 1/4 ბიოდოზით პირველი ორი დღის განმავლობაში, შემდგომ უმატებენ 1/4 ბიოდოზას ყოველ მეორე დღეს, როცა ოპტიმალური მაქსიმუმი 2 ბიოდოზას მიაღწევს, შეწყვეტენ პროცედურას. ინტენსიური ზემოქმედების მე-3 რეჟიმის დროს მიმართავენ პირდაპირი რაღიაციის კურსს, რომელშიც 18 აბაზანა შედის. პირველ 2 დღეს ბიოდოზა 1/4-ია, ყოველდღე უმატებენ 1/4 ბიოდოზას და აჰყავთ იგი ოპტიმალურ მაქსიმუმამდე — 3 ბიოდოზამდე.

ეს სქემა მხოლოდ მიახლოებითია. ექიმები მის საკმაოდ ფართო ვარიაციებს იყენებენ ავალმყოფის ინდივიდუალობის

გათვალისწინებით, რაღაც მკურნალობენ არა უბრალო და-
 ვადებას, არამედ ამა თუ იმ ავალმყოფის დაავადების ვარი-
 ანტს. გაგრის პლაზებზე არსებობს რაღიომაუწყებლობა, სიგ-
 ნალიზაცია ზარებით, გაკრულია ცხრილები, რომლებიც იუწ-
 ყება დოზირების დონეს მიმდინარე დღის ყოველ საათში,
 რაღიო ან ზარი აცნობებს აბაზანების მიმღებთ ყოველი $1/4$
 ბიოდოზის ან 10 კალორიის შესახებ. პარალელურად იუწყე-
 ბიან ზღვის წყლის, ატმოსფეროს ტემპერატურას.

ყოველმა დამსვენებელმა უნდა იცოდეს მზის აბაზანების
 სახეები, პირდაპირი მზის სინათლის აბაზანები (არ არსებობს
 მზისგან არავითარი თავდაცვა) წარმოადგენს ინტენსიური ზე-
 მოქმედების აბაზანებს. ისინი მოქმედებენ სამივე ფაქტორით,
 პირდაპირი მზის სხივებით, ცის თალის გამოსხივებით, დედა-
 მიწიდან ანარეკლით. ეს აბაზანები უფრო გამაჯანსაღებელია
 და ნაკლებადსამკურნალო. პირდაპირი მზის სინათლის აბაზა-
 ნებს შორის ასხვავებენ საეტაპო და ინტერმიტენტურს (შე-
 ნაცვლებითს). პირველის დროს ორგანიზმი მკვეთრად იტვირ-
 თება მზით იმ ანგარიშით, რომ შესვეხების პერიოდში ორგა-
 ნიზმა შეძლოს მოლონიერება. საეტაპო მზის აბაზანები, რო-
 გორც საერთო, თითქმის არ იხმარება. მას უფრო იყენებენ
 პრაქტიკაში. აღვილობრივად (ლოკალურად) გარკვეულ ად-
 გილას, მაგალითად, წელზე ქრონიკული რაღიკულიტის დროს.
 მეორე, შენაცვლებითი აბაზანების დროს დასხივება დიდხანს
 გრძელდება, აჭიანურებენ იმისათვის, რომ თავიდან ავიცი-
 ლოთ ზედმეტი გახურება (შენაცვლება 15 — 30-წუთიანი
 შესვენება ჩრდილში). ასეთი ხანგრძლივი, მაგრამ ნაკლებინ-
 ტენსიური დასხივება სჭირდებათ კანის დაავადებების განა-
 ვადმყოფებს.

გაფანტული მზის სინათლის აბაზანები გამორიცხავს პირ-დაპირ რაღიაციას დაცვის საშუალებით (აშოლტილი კვიპა-როსები ბუნებრივი დაცვაა, ზენტები, ეკრანები — ხელოვნუ-რი დაცვა). ისინი გავლენას ახდენენ ორი ფაქტორით — გა-ფანტული (ცის თაღი) და არეკლილი რაღიაციით, რის ხარჯზე ულტრაიისფერი რაღიაციის საკმარისი დონის დროს ქრება სპექტრის ხილული და ინფრაწითელი ნაწილების ზედმეტი დატვირთვის სითბური ეფექტი. თავისი ხასიათის მახედვით ისინი ნაკლებად ინტენსიური, სუსტი, დამზოგველი არიან, არ იწვევენ გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემების გადა-ტვირთვას, ეს გამაჯანსაღებელი კი არა, უფრო სამკურნალო აბაზანებია. მათ უნიშნავენ გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემების დაავადების დროს.

არეკლილი მზის სინათლის აბაზანები გამორიცხავენ პირ-დაპირ და გაფანტულ რაღიაციას. ისინი მოქმედებენ მხოლოდ ერთი ფაქტორით — დედამიწის ზედაპირიდან და გარშემო მყოფი საგნებიდან არეკლილი რაღიაციით. ეს უფრო ჰა- აბაზანებია.

გაგრის პლაზმე სითბური ეფექტის შესამცირებლად და ზედმეტი გადახურების თავიდან ასაცილებლად ფართოდ იყე-ნებენ უჯრულა ტენტებს. ისინი ძალიან კარგად იცავენ კანს ზედმეტი გახურებისაგან. ასეთი ტენტებით განსაკუთრებით უნდა ისარგებლონ ავალმყოფებმა და დასუსტებულმა პირებ-მა. კლიმატომკურნალობა და მზით მკურნალობა პლაზმე კარ-გია შევუთავსოთ მოძრაობით აქტივობას. მაგალითად, ფიცარ-ნაგებსა და სკამსაწოლებზე პასიურ და ინერტიულ ყოფნას („პორიზონტალური მზის აბაზანები“) სჭობს „ვერტიკალური შის აბაზანების“ მიღება, როცა დასხივება ხდება მოძრაობა-

ში (ნიჩოსნობა, გიმნასტიკა, სპორტული თამაშოებულება ა. შ.). რა თქმა უნდა, მზით მკურნალობის ასეთი ვარიანტი ღასაშვებია როგორც მატრენირებელი ჯანმრთელებისთვის და როგორც სამკურნალო იმ ავადმყოფებისათვის, რომელთაც აღენიშნებათ ორგანოებისა და სისტემების ფუნქციების უმნიშვნელო დარღვევა. ეს მეთოდი სავსებით წინააღმდეგნა-ჩვენებია მძიმე ავადმყოფებისთვის, დაუძლეურებულებისა-თვის და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების მქონე-თათვის.

მზის აბაზანები გაგრაში ჩვეულებრივ თბილ დღეებში გრძელდება 7-დან 14 საათამდე და 16-დან 18 საათამდე. შუალის საათები რეკომენდებული არ არის. ამ საათებში აბაზანებს ჯანმრთელები უფრო იტანენ, ზაფხულის ცხელ დღეებში მზის აბაზანების მიღების დრო უნდა შეიზღუდოს 7-დან 11-მდე და 16-დან 18 საათამდე. ეს მოთხოვნა პირველ რიგში ეხება ავადმყოფებს, მათ შორის გულ-სისხლძარღვთა და ნერვული დაავადებების მქონეთ, ხანშესულებს და შემდეგ უბრალოდ დამსვენებლებს, რომლებიც იკაუებენ ორგანიზმს.

მზის აბაზანების მიღების დროს უნდა ვითიქროთ პლაჟის საფენზე. უმჯობესია ბალახის და წყალჭვეშა სოლარიუმი, იმიტომ რომ რაღიაციის ნაკლები რაოდენობა აირუკლება და გულ-სისხლძარღვთა სისტემა არ იტვირთება, გარდა ამისა, გრილდება წყალი. გაცილებით უხეშად მოქმედებს კენჭოვანი სოლარიუმი. ხანდახან კენჭები 60° -მდე ცხელდება, გადასცემს ამ სითბოს ისედაც დასუსტებულ ორგანიზმს, ზედმეტად ტვირთავს გულ-სისხლძარღვთა სისტემას. ერთადერთი ხსნა ამ შემთხვევაში ეს არის, რომ 50 სმ ავშორდეთ კენჭებს, იმისათვის, რომ გავანელოთ ამ არეკლილი მოქმედების სითბო,

კენჭების სოლარიუმებისათვის ფიცარნაგებს მაღალ ფეხებზე აკეთებენ (კენჭების ზედაპირიდან არანაკლებ 45 სმ). ვინც მზის აბაზანებს იღებს, უნდა ისარგებლონ მხოლოდ ასეთი ფიცარნაგებით. ადგილობრივ, ლოკალურ მზის აბაზანებს ფართოდ იყენებენ გაგრაში ნევრალგიების, მონოართრიტების (ერთი სახსრის ანთება), გინეკოლოგიური დავადებების დროს. ამ შემთხვევაში აქტიურდება შეწოვის პროცესები, ძლიერდება ქსოვილების კვება ადგილობრივი მოქმედების პრიმატის და საერთო მოქმედების მინიმალური გამოხატულების დროს. ზოგჯერ ადგილობრივ აბაზანებს იყენებენ სემენტულ-რეფლექსური მოქმედების პრინციპის მიხედვით, რომელიც ეყრდნობა იმას, რომ ზურგის ტვინის თითოეული სეგმენტი დაკავშირებულია კანის გარკვეულ უბანთან. მოქმედების ეს მექანიზმი საფუძვლად უდევს მენჯის ორგანოების და ქვემო კიდურების დავადებების (წელის დასხივება) მკურნალობას, გულ-სისხლძარღვთა და ცენტრალური ნერვული სისტემის გაუმჯობესებას (რეფლექსური მოქმედება) მხოლოდ „საყელოს“ ზონის, — მხრის სარტყელის, კისრის დასხივების საშუალებით.

ადგილობრივი მზით მკურნალობის სახესხვაობაა მზის კონცენტრირებული სხივების გამოყენება სარკე-რეფლექტორის დახმარებით. სარკის ერთი ტეპი ძირითადად არეკლავს სპექტრის ულტრაიისფერ სხივებს და ახდენს მათ კონცენტრაციას. ამით მკურნალობენ ქრონიკული ტონზილიტით, ტროფიკული წყლულებით, საშვილოსნოს ყელის ეროზიით (წყლულით) დაავადებულებს. სარკის მეორე ტიპი, პირიქით, თითქმის სავსებით შთანთქავს ულტრაიისფერ სხივებს, მაგრამ, არეკლავს სითბურს (სპექტრის წითელ ხილულ ნაწილს) და

ახდენს მათ კონცენტრაციას. ამით კი მკურნალობენ კანის დაავადებებს, პოლიართრიტებს (სახსრების მრავლობითი ან-თება) და სხვ. მზით მკურნალობის ამ ვარიანტს სულ უფრო და უფრო მეტი მომხრეები ჰყავს როგორც ავაღმყოფებს, ისე ექიმებს შორის, კურორტი გაგრა მთელი წლის განმავლობაში მოქმედებს. ისეთი მძლავრი სამკურნალო ფაქტორი, როგორც არის მზით მკურნალობა, ცივ და ზამთრის პერიოდშიც ძალაში რჩება. ზამთრობით მზით მკურნალობის საღლელამისო დიაპაზონი რამდენადმე გადმოიწევს შუადღის საათებისკენ — 10—11-დან 14—15 საათამდე. უქარო წყნარ ამინდში 10° -ზე ზევით ტემპერატურის პირობებში შეიძლება მივიღოთ ღია მზის აბაზანები (შენობის გარეთ, მაგალითად, ვერანდაზე). დაბალი ტემპერატურის და ქარის ღროს, როცა მისი სიმძლავ-რე აღწევს 1 მეტრს სეკუნდში, მზის აბაზანებს ატარებენ და-ხურულ, გამთბარ აეროსოლარიუმში და ინდივიდუალურ კა-ბინებში, რომლებიც აღჭურვილია პლექსიგლასის სათანადო დამცველი საშუალებებით ან აცეტილენ-ცელულოზის ფი-რით, რომლებიც თავის მხრივ ულტრაიისფერ სხივებს არ შთანთქავენ. ზამთრის რაღიაცია არ იწვევს კანის გაწით-ლებას.

ზამთრის მზით მკურნალობის ბიოლოგიურ კრიტერიუმს წარმოადგენს მხოლოდ პიგმენტური რეაქცია — ნამზეურობა. საპასუხო ზამთრის რეაქციას 2-ჯერ მეტი ღრო სჭირდება ზაფხულთან შედარებით. ზამთრის მზის ღოზირება ხდება კა-ლორეებით. მას იყენებენ უმთავრესად როგორც მატრენირე-ბელს და გაკაუების მიზნით უნიშნავენ ავაღმყოფებს. დამო-უკიდებლად თითქმის არ იყენებენ. ამ პროცედურის ნებარ-თვას იძლევა მხოლოდ ექიმი და იგივე აკონტროლებს.

ზუსტად რომ ვთქვათ, მზის აბაზანები მარტო მზის აბაზანები როდია. იგი უფრო მზე-ჰაერის აბაზანებია, რადგან ჰაერის, ყოველ შემთხვევაში მისი მოძრაობის გამორიცხვა ჩვენ არ შეგვიძლია. ამიტომ ყოველი ჰაერის აბაზანა მზისაც არის, რადგან ძნელია მთლიანად გამოვრიცხოთ გაფანტული და არეკლილი რადიაცია. ხოლო არეკლილი მზის სინათლის აბაზანები უკიდურესად დამზოგავი, ფაქტიურად ჰაერის აბაზანაა. მაგრამ ამ ორ ცნებას ნუ დავუპირისპირებთ ერთმანეთს, რადგან ისინი ერთიანი კომპლექსური მკურნალობის შემადგენელი ნაწილები არიან. ჰაერის აბაზანის მოქმედება არ გულისხმობს მინიმუმამდე დაყვანილ მზის რაღიაციას, იგი როგორც იმ მეტეოროლემენტებს, რომლებიც ახასიათებს გაშიშვლებულ სხეულზე მოქმედი გარემომცველი ჰაერის მოძრაობას (ქარი), ტენიანობას, ტემპერატურას, გამაგრილებელ გავლენას. ჰაერის აბაზანების (დოზირების) გათვალისწინებისათვის შედგენილია საგრძნობი ტემპერატურის სკალა. მისი მიზანია: თბოშეგრძნება წყლის ორთქლით მთლიანად გაულენთილ უმოძრაო ჰაერში ერთდროულად მოქმედი ჰაერის ტემპერატურის, ტენიანობის, მოძრაობის რომელიმე კომბინაციის თბოშეგრძნების ადეკვატურად (თანაბრად). ჰაერის აბაზანას, გარდა ამისა, განსაზღვრავს ჰაერის იონიზაცია, ქიმიური სისუფთავე, რაღიაჭტიურობა, გაფანტული რაღიაცია და ა. შ. ჰაერის აბაზანის დანიშვნისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ნერვული სისტემის მდგომარეობა, ორგანიზმის წრობა გარემოს თერმული გამლიზიანებლებისადმი, დაავადებისა და მის განვითარების ფაზებთან დაკავშირებული თავისებურებები, სწორად დოზირებული ჰაერის აბაზანის შემდეგ ადამიანი თავს მხნედ, ხალისიანად გრძნობს. პირველი

აბაზანების მერე ავადმყოფებს არაიშვიათად აღენიშნებული
შემცივნება, გაფიტრება, კანის მოლურჯო ელფერი („ბატის
კანი“), უარესდება გუნება-განწყობილება, ჩვეულებრივ ეს
ნიშნები მკვეთრად არ არის გამოხატული. აბაზანები მაინც
უნდა განვაგრძოთ, რადგან ეს დაკავშირებულია კანის მცირე
ადაპტაციასთან (შეგუებასთან) თერმოგამლიზიანებლების მი-
მართ. მხოლოდ იგი უნდა ჩატარდეს უფრო მაღალი საგრძნო-
ბი ტემპერატურის პირობებში და უფრო მოკლე ხნით. თანდა-
თანობით თერმოსარეგულაციო აპარატი იწრთობა და ხელახ-
ლა შეიძლება მთლიან ღოზირებაზე გადასვლა. ჰაერის აბაზა-
ნებს ფართო ჩვენებები აქვს. მიუხედავად ამისა, ძალზე დიდი
სამედიცინო სიფრთხილეა საჭირო, როცა პროცედურას ვუ-
ნიშნავთ არატრენირებული ორგანიზმის მქონე პირებს ან მათ,
ვინც მგრძნობიარეა ამინდის შეცვლისადმი (რევმატული და-
ავადებანი, ნევრიტები), ავადმყოფებს, რომლებსაც ერთდრო-
ულად სითბურ მკურნალობას ვუტარებთ. ჰაერის აბაზანებს
სრულებით არ ვუნიშნავთ დასუსტებულ, დაუძლეურებულ
ავადმყოფებს. აბსოლუტურად წინააღმდეგნაჩვენებია ჰაერის
აბაზანების დანიშვნისათვის სხეულის მომატებული ტემპერა-
ტურა. ჰაერის აბაზანებს უნიშნავენ ყოველდღე 1 (9-დან 12
საათამდე) 2-ჯერ (17-დან 18 საათამდე), ეს საათები შეიძ-
ლება შეიცვალოს. შესაძლებელია დანიშნულების დროის
ფართო ვარიაცია ამინდის ყოველდღიური თავისებურებების
გათვალისწინებით. ცხელ დღეებში აბაზანები უმჯობესია და-
ინიშნოს უფრო აღრე საათებში, სანამ ჰაერი ჯერ კიდევ გრი-
ლია. გრილ ამინდში, პირიქით, ჰაერის აბაზანები უკეთესია
დაინიშნოს გვიან, შუადღესთან მიახლოებულ დროს (13—14
საათი), როცა ჰაერი კარგად გათბება. ცხელ დღეებში ჰაერის

აბაზანების დანიშვნის დროს უნდა მოვძებნოთ ადგილი, სა-
დაც კარგად იგრძნობა ჰაერის მოძრაობა.

გავრაში ჰაერის აბაზანები სისტემატურად ტარდება სპე-
ციალური პლაჟის აერარიებში, სანატორიუმებში — დახუ-
რულ აივნებზე, ვერანდებზე, სანატორიუმის ბაღებსა და პარ-
კებში — ხეების ჩრდილებში, ტენტების ქვეშ, გადახურულში,
ე. ი. შზისა და ქარისაგან დაცულ ადგილებში. ცხელ დღე-
ებში განსაკუთრებით რეკომენდებულია ჰაერის აბაზანების
მიღება წყლისზედა აეროსოლარიუმებში, სადაც მუდამ შეიმ-
ჩნევა ზღვის წყლის გამაგრილებელი ზემოქმედება. თუ მკურ-
ნალობა დაიწყო გრილ ამინდში, როცა სითბო ყოველდღი-
ურად მატულობს, ჰაერის აბაზანის ხანგრძლივობა უნდა გავ-
ზარდოთ შესაბამისად. ჰაერის აბაზანები შეიძლება მივიღოთ
როგორც დამოუკიდებელი პროცედურა, აგრეთვე როგორც
შესავალი კურსი მზით მკურნალობის დაწყების წინ.

ჰაერის აბაზანებს იღებენ მშვიდ, წოლით მდგომარეობაში,
ფიცარნაგებზე, სკამსაწოლზე, მჯდომარე — შეზღლონგებზე,
სავარძლებში. ქარიან ამინდში ან დაბალი ტემპერატურის
დროს მათ უნიშნავენ მოძრაობაში — სიარულის, გიმნასტიკის,
მოძრავი თამაშობების პროცესში. დასუსტებული ავალმყოფე-
ბისათვის, არატრენირებული პირებისთვის მიზანშეწონილი არ
არის ღია ჰაერზე მკურნალობის დაწყება ერთბაშად. მათთვის
უმჯობესია გაიარონ ოთახის აღაპტაციის (შეგუების) კურსი
4—5 დღის განმავლობაში. ასეთი წრთობის შემდეგ აღაპტა-
ცია უნდა განვაგრძოთ ვერანდაზე ან აივანზე, თავდაპირვე-
ლად მსუბუქ ტანსაცმელში, შემდეგ უკვე ზეწრის ქვეშ.
მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ჰაერზე მკურნალობა. ასეთი
ნარნარი გადასვლა შენობიდან ღია ჰაერზე ფიზიოლო-

გიურად გამართლებულია. მსუბუქი ავაღმყოფების შედარებით ტრენირებული პირებისათვის შესავალი კურსი ხანმოკლეა. ჰაერის აბაზანას ღია ჰაერზე უფრო ჯანსაღი პირები იწყებენ გრილი ტემპერატურიდან. უნდა გავითვალისწინოთ ყოველი პირის ინდივიდუალობა. ორგანიზმის თანდათანობით ტრენირებისა და გაკაუებისათვის ჰაერის აბაზანა შეიძლება გავაძლიეროთ ორი გზით: დროის თანდათანობით გახსენების გადატანით ან მისი გადატანით უფრო დაბალი ტემპერატურის ზონაში (უფრო ადრე, მაშასადამე, უფრო გრილ საათებში).

თბილი ან ინდეფერენტული ჰაერის აბაზანები უნდა დავიწყოთ 10—15 წუთიდან და თანდათან გავზარდოთ მისი ხანვრძლივობა, ვაკონტროლოთ ავაღმყოფის თბოშეგრძნება, ავიყვანოთ იგი 30—60 წუთამდე (ღაზიანების ხარისხისა და შეურნალობის მიზნის მიხედვით), 2 საათამდე (შედარებით ტრენირებულ პირებში 3 საათამდე და მეტადაც) ჯანიან, ნაწრობ პირებში.

გრილი აბაზანებით მკურნალობას იწყებენ 3—5 წუთიდან და ნელ-ნელა მისი ხანგრძლივობა აჭყავთ 20—25 წუთამდე—სიმშვიდის მდგომარეობაში, 30—35 წუთამდე — მოძრაობაში, 40—60 წუთამდე სპორტული თამაშობების დროს. მოყვანილი ციფრები მხოლოდ საორიენტაციოა, ხდება მათი დაუსრულებელი ვარიაცია ავაღმყოფის მდგომარეობის, ორგანიზმის წრობის დონის მიხედვით. რეკომენდებული არ არის მკურნალობის დაწყება დაბალი ტემპერატურის ჰაერის აბაზანებით, ამის უფლება ეძლევათ მხოლოდ კარგად გამოწრობილ პირებს, რომელთაც აქვთ კარგი ადაპტაცია და, რაც მთავარია, მიჩვეული არიან ცივ აბაზანებს. ჰაერით მკურ-

ნალობას საჭიროა თან დაერთოს ღრმა სუნთქვა, რომელსაც
 ორგანიზებისთვის დიდი სარგებლობა მოაქვს. ამ დროს გულის
 მუშაობა შემსუბუქებულია, უმჯობესდება გულის კუნთის
 კვება, მშვიდლება ნერვული სისტემა, ნორმალური ხდება კუჭ-
 ნაწლავის ტრაქტის მუშაობა. მშვიდ მდგომარეობასა და მო-
 ძრაობაში მისი გამოყენების დროს უნდა დავიცვათ გარკვე-
 ული წესები: უნდა დავიწყოთ ჭამიღან არანაკლებ 1 საათის
 შემდეგ (უკეთესია უფრო გვიან ან უზმოზე), ვისუნთქოთ
 ღრმად და რიტმულად, სეირნობის დროს სწორად შევუნაცვ-
 ლოთ მოძრაობა. ღრმა სუნთქვას ვიწყებთ ხანმიკლე კურ-
 სით (არა უმეტეს 3 წუთი) და თანდათან ვახნგრძლივებთ
 (მაქსიმუმი 12—15 წუთი). ფილტვების ასეთ ვარჯიშს ჩავა-
 ტარებთ სამჯერ: საუზმის წინ, საღილისა და ძილის წინ. ღრმა
 სუნთქვამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს დაღ-
 ლა. როგორც კი დაიწყებს ღრმა სუნთქვას, თითოეული მიხვ-
 დება თავის შესაძლებლობას. ვარჯიშის კვალდაკვალ იგი
 სრულყოფილი ხდება და სეანსების ხანგრძლივობასაც
 ვზრდით. ახალბედებს, ავაღმყოფებს, ფიზიკურად ნაკლებ
 განვითარებულ პირებს თავდაპირველად შეიძლება დაეწყოს
 თავბრუ, ყურებში შუილი, გაჩნდეს „ქინქლები“ თვალების
 წინ. ამ მოვლენების ლიკვიდაციისათვის უნდა დაუყოვნებლივ
 შევამციროთ ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის სილრმე, მთავარია ვის-
 წავლოთ სუნთქვა. ყველაზე მეტად ამაში დაგვეხმარება ექიმი.
 სწორი სუნთქვა ნიშნავს ნელ სუნთქვას უფრო აქტიური და
 გაძლიერებული ამოსუნთქვით და ნაკლებ აქტიური, უფრო
 პასიური შესუნთქვით. რაც შეიძლება ძლიერად უნდა გამოვ-
 დევნოთ ფილტვებიდან მთელი ჰაერი (მაგრამ არა ხველის
 მსგავსი ბიძვით), შემდეგ კი ჩავისუნთქოთ. ელასტიკური



გულმკერდი ფართოვდება სუნთქვის ძალდატანების შემთხვევაში. ფილტვებში ჩაღის ბევრი ჰაერი. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აქტიურად ბევრი ჰაერის შესუნთქვა და უფრო ცუდია ამის შემდეგ პაუზა. ფილტვებში ჰაერის ასეთი პერიოდული შეფერხება იწვევს მათ ზედმეტ გაჭიმვას და საშიში დაავალების — ფილტვების ემფიზემის განვითარების საფრთხე ჩნდება.

გაგრა ზღვისპირა კურორტია და, ბუნებრივია, ზღვაში ბანაობა გამაჯანსალებელი და სამკურნალო ღონისძიებათა კომპლექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია. აქვე უნდა ითქვას, რომ ზღვაში ბანაობა იზოლირებული ღონისძიება არ არის. ორგანიზმზე ზღვის წყლის ზემოქმედების მრავალმხრივ რთულ კომპლექსში ნაკლები როლი როდი ენიჭება ჰაერის მოძრაობას (ქარს), მის ტემპერატურას და ტენიანობას, მზის რაღიაციის ინტენსივობას და ა. შ.

ადამიანის ორგანიზმზე ზღვის ტალღის ზემოქმედება ვლინდება ნივთიერებათა ცვლის ზრდით, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გამაგრებით, თერმოსარეგულაციის ცენტრების წრთობით. ბანაობის შემდეგ ძლიერდება თბოწარმოქმნა. თბოპროცესების ასეთი გაძლიერება შესანიშნავად ავარჯიშებს ორგანიზმს და ამზადებს მას უფრო მეტად გაგრილებისათვის. წყლის წინააღმდეგობა ხელს უწყობს ამოსუნთქვას (იგი უფრო მსუბუქი ხდება) და რამდენადმე აფერხებს შესუნთქვას, რაც იწვევს სასუნთქი აპარატის ტრენირებას. ზღვაში ბანაობის გავლენით იზრდება ნერვული სისტემის ტონუსი. გულ-სისხლარღვთა სისტემა თანდათან მზარდი დატვირთვისას თავისი მოქმედების ნორმალიზაციას ახდენს. დიდდება სისხლის წუთობრივი მოცულობა

გულის მიერ 1 წუთში გაღმოსროლილი სისხლის რაოდენობა, პულსი რამდენადმე ჩქარი ხდება. მაღლა იწვევს არტერიული და ვენური წნევა. მაგალითად, 22°C ტემპერატურის დროს წყალში 2 წუთის განმავლობაში მშვიდად ყოფნა სუსტად აღავრის გულ-სისხლძარღვთა სისტემას, პულსი მატულობს 5—10 დარტყმამდე წუთში, ხშირდება სუნთქვა, რამდენადმე მაღალია სისხლის წნევაც. რამდენიმე წუთში ყველა მონაცემი საწყის ნორმას უბრუნდება. შემდგომი ბანაობისას გული უფრო ნაკლებ აღიგზნება და, რაც მთავარია, ნორმისადმი დაბრუნება უფრო სწრაფად ხდება. ზღვაში სისტემატური ბანაობა ავარჯიშებს და აწრთობს გულ-სისხლძარღვთა სისტემას. კიდევ უფრო მეტად იტვირთება გულ-სისხლძარღვთა სისტემა ცურვისა და ზღვაში დიდხანს ყოფნის დროს. ჯანმრთელების ძალიან დიდ და ავადმყოფების არააღეკვატურ დატვირთვას შეიძლება მოჰყვეს გულ-სისხლძარღვთა მკვეთრი აგზნება და სისხლის წნევის მნიშვნელოვანი აწევა, ქოშინი, გულში სიმძიმის გრძნობა, გახშირებული გულისცემა, ტკივილი გულში. ზღვაში ბანაობის შეღეგად იზრდება კუნთების ტონუსი, ძლიერდება ბალასტური ცხიმების წვა (ჩქარდება უანგვითი პროცესები). ყველაზე პრაქტიკული ზღვაში ბანაობა მაშინ კი არა, როცა პასიურად ვართ შიგ, არამედ მაშინ, როცა ზღვაში ვმოძრაობთ ან ფიზიკურად ვვარჯიშობთ.

ჰიდრავლიკური წნევა ამსუბუქებს ფიზიკურ დატვირთვას. წყალში სხეულის წონასწორობის დაცვაში მონაწილეობს ყველა ჯგუფის კუნთები. ნელი ცურვის დროს ცალკეული ჯგუფის კუნთები ზეღმეტად არ იძაბება. დატვირთვა მთელ კუნთურ სისტემაზე თანაბრად ნაწილდება, მომუშავე კუნთების

მუშაობა და დასვენება რიტმულად ენაცვლება ერთშანულად: გამომუშავდება სწორი სუნთქვა, ცურვის დროს ჰორიზონტალურ მდებარეობაში მყოფ სხეულს უფრო აღვილად შეუძლია წინააღმდეგობის გადალახვა და ზედაპირზე სრიალი.

არსებობს ცურვის სხვადასხვა სტილი — კროლი, ბრასი, ბატერფლაი, გვერდზე ცურვა. მათ შორის ფაზიკურად შრომატევადია კროლი და ბატერფლაი, რაღაც ამ დროს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დატვირთვა უფრო გამოხატულია. ცურვის ყველაზე მსუბუქი წესია გვერდზე ცურვა, რაღაც ამ დროს დატვირთვის ყველაზე ნაკლები რეჟიმია, მას ურჩევენ გულ-სისხლძარღვთა დაავადების მქონე ავაღმყოფებს. ავაღმყოფ გულზე თავისი ზემოქმედებით ამ სტილს უახლოვდება ბრასი: ზურგზე ცურვა ათავისუფლებს გულმკერდის აქტიურ ნაწილს წყლის კომპრესისაგან და შესაძლებლობას იძლევა თავისუფლად გაიშალოს სუნთქვა, ხოლო ვინც ცუდად სუნთქავს, ან არ იცის სწორად სუნთქვა, მას შეუძლია შეუნაცვლოს იგი მოძრაობის მომენტებს. ზურგზე ცურვის მცირე დატვირთვა განსაკუთრებით ნაჩვენებია გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაზიანების დროს. მხედველობაში ვიღებთ რა ორგანიზმის სხვადასხვა ინდივიდუალურ თავისებურებას, საერთო ტრენირების ხარისხს, ნერვული სისტემის მდგომარეობას, ორგანიზმის პერსონალურ რეაქციებს ბანაობაზე, დაავადების თავისებურებას, დაზიანების ხარისხს და სილრმეს, მიზანშეწონილი არ არის ზღვაში საბანაოდ თვითნებურად ჩასვლა. მკაცრად დავიცვათ ექიმის რჩევა-დარიგება და მის მუდმივ კონტროლქვეშ ვიმყოფებოდეთ.

მოცურავეებს, მაგალითად, ძალიან დიდი ხნით შეუძლიათ წყალში ყოფნა ისე, რომ ამას არასასიამოვნო გართულება არ

მოჰყვება. ნაკლებად ტრენირებულ და დასუსტებულ პირებს მცირე ხნით ბანაობის შემდეგაც კი კანკალს აწყებინებს, მათი სხეული ზედმეტად ცივდება. ბანაობას ცოდნა უნდა. ამისათვის წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ ორგანიზმის საპასუხო რეაქცია ზღვის აბაზანაზე. რეაქცია მიმდინარეობს 3 ფაზად ბანაობის ხანგრძლივობის, ზღვის წყლის ტემპერატურის, ატმოსფეროს მიხედვით.

პირველი ფაზა ხანმოკლე და ცივია, წყალში შესვლისთანავე იწყება. შეიგრძნობა სიცივე, კანი ფიტრდება, ადამიანი კანკალებს (პირველადი შემცივნება). ეს ფაზა დაკავშირებულია კანის სისხლძარღვთა შევიწროებასთან და სისხლის უკუდენასთან.

მეორე ფაზა ხანგრძლივია და თბილი და პირველ ფაზას მოსდევს მაშინვე.

ვლინდება სითბოს შეგრძნებით, ადამიანი წყალში სულ უფრო და უფრო თბება. ეს ფაზა უკვე უკავშირდება ადრესპაზმებით შევიწროებული კანის სისხლძარღვების გაფართოებას, მასში სისხლის მოდენას. ამას ადასტურებს კანის ინტენსიური გაწითლება. ამით ბანაობა უნდა დამთავრდეს, იმიტომ, რომ ძირითადი მიზანი მიღწეულია — ადამიანი გათბაწყალში, ახლა უნდა გამოვიდეს იქიდან, შეიმშრალოს, გამოცვალოს ტანსაცმელი.

თუ ბანაობას გავახანგრძლივებთ, იწყება ორგანიზმის ხელმეორედ გაცივება, უფრო სწორად გადამეტცივება, იმიტომ რომ ცივდება არა მარტო სხეულის ზედაპირული, არამედ უფრო ღრმა ფენები. სპაზმი ავიწროებს ზერელე და ღრმა სისხლძარღვებს. იმისდა მიხედვით, როგორაა ზედმეტად გაცივებული, თავდაპირველად მოვარდისფრო-წითელი ფერის კანი

ღია ვარდისფერი ხდება, შემდეგ მოვარდისფერ-მოლუსტური, შემდეგ ტიპიური სილურჯე გადაჰკრავს. ადამიანი აუტანელ სიცივეს, ძლიერ შემცივნებას გრძნობს (მეორადი შემცივნება), ბანაობა უნდა დაუყოვნებლივ შევწყვიტოთ, რადგან ამას შეიძლება მოჰყვეს მესამე ფაზა, რომელიც დაკავშირებულია ძკვეთრად გაძლიერებულ თბოგაცემასთან. ტკივილი, გამლიზიანებლობა, ძლიერი გადაღლა, ღამით უძილობა, ეს ფაზა სხვა-დასხვა სიმპტომით უკვე წყალშივე იჩენს თავს. შეიძლება ნა-პირზეც დაიწყოს და მოსალოდნელია ბანაობიდან რამდენიმე საათის შემდეგ. უზომო ბანაობა შეიძლება დაავადების მიზეზი გახდეს.

ზღვაში ბანაობა შეიძლება $+20+22^{\circ}$ ტემპერატურის დროს. სწორედ ასეთია გაგრაში ზღვის წყლის ტემპერატურა მაისის ბოლოს, ივნისის პირველ დეკადაში — მასობრივი სა-ბანაო სეზონი შეიძლება დაგვიანდეს ზაფხულის გაჭიანურე-ბულ სიგრილეებისა და წვიმიანი ზაფხულის გამო. უკვე მაის-ში, როცა ზღვის ტემპერატურა არანაკლებ 19° -ია, ბანაობის უფლება ეძლევათ, ნაგალითად, კარგად გაწროვნილ პირებს ან ვისაც დაბალი ტემპერატურის პირობებში ბანაობის ხანგრძლივი სტაუი აქვთ. არატრენირებულებს ან ახალბედებს არ ვურჩევთ ბანაობას $+22^{\circ}$ ქვემოთ ტემპერატურის დროს. ზღვის წყლის, ჰაერის ყველაზე მაღალი ტემპერატურა გაგრა-ში აღინიშნება ივნისში, აგვისტოში, ამ თვეებში, განსაკუთ-რებით ცხელ დღეებში ბანაობა კარგია დილის საათებში (8-დან 10 საათამდე) ან საღამოს (15-დან 18 საათამდე). ამ საათებში არ არსებობს მკვეთრი სხვაობა ზღვისა და ჰაერის ტემპერატურებს შორის. უფრო გრილ ივნისში სასურველია ბანაობა 10-დან 13 საათამდე და 15-დან 16 საათამდე. სექ-

ჭემბერი გაგრაში „ხავერდოვანი“ სეზონია და ძალიან კარგია ბანაობისათვის. ჩვეულებრივ ბანაობენ იმავე საათებში, როგორც ივნისში. სექტემბერში ზაფხულის სიცხე დაიწევს, კლებულობს ჰაერის ტემპერატურაც. ზღვა გრილდება (სექტემბრის საშუალო წლიური ტემპერატურა 23°), მაგრამ ისე სწრაფად არ კარგავს ტემპერატურას, როგორც ხმელეთი და ჰაერი. იგი უფრო გრილია, ვიდრე ივნისში, ამიტომ მკვეთრი სხვაობა ტემპერატურებს შორის არ იგრძნობა. ბანაობა ნებართულია, თუ ღელვა 2 ბალს არ აღემატება. ზღვაში ბანაობის დროს გარემოს კრიტერიუმია საგრძნობი ტემპერატურა და ზღვის წყლის ტემპერატურა.

ზღვაში ბანაობას წინ უნდა უსწრებდეს შესავალი საწრთვნელი კურსი (განსაკუთრებით დასუსტებულებისათვის): ჰაერის აბაზანები ნაპირზე, გიმნასტიკა ნაპირზე, წყლის შეჩვევა — თავდაპირველად კანის დაზელვა ზღვის წყლით ან ცივი წყლით, ზღვის ან გრილი წყლის ხანმოკლე აბაზანები და შემდეგ პირველი შესვლა წყალში. ყოველი შემდგომი ბანაობის დროს, როგორც წესი, უნდა უსწრებდეს არანაკლებ 15-წუთიანი ჰაერის აბაზანა ჩრდილში. ბანაობის შემდეგ წყლიდან ამოსვლისას უნდა შევიმშრალოთ, გამოვიცვალოთ და ხელახლა გავიმეოროთ ჰაერის აბაზანა ჩრდილში 15 წუთის განმავლობაში მაინც.

თუ ზღვის აბაზანები შედის სხვა პროცედურებთან კომპლექსში, მაშინ მზის აბაზანა, ფიზიკური ვარჯიში, ნიჩბის მოსმა უნდა ბანაობამდე. ბანაობის შემდეგ საჭიროა ჩრდილში დასვენება (ჰაერის აბაზანა). დილის და სალამოს ბანაობა განსაკუთრებით ნაჩვენებია იმ ავადმყოფებისათვის, რომლებსაც

აღენიშნებათ ნერვული სისტემის სისხლძარღვოვანი ტონუსუს დარღვევა, ან მათთვის, ვინც ცუდად იტანს სიცხეს. ბანაობა, ისე როგორც ყოველი კლიმატოსამკურნალო პროცედურა, დოზირებულია. დოზირებას ყველაზე უკეთ ნიშნავს ეჭიმი. ბანაობის ხანგრძლივობა და ინტენსიურობა განისაზღვრება არა მარტო მეტეორონაცემებით, არამედ სისხლისმიმოქცევის ფუნქციის მდგომარეობით და ტრენირების ხარისხით. იყენებენ ზღვაში ბანაობის სამ რეჟიმს.

სუსტი ზემოქმედების რეჟიმი: წყლის ტემპერატურა არა-ნაკლებ $+20 + 22^{\circ}$, ბანაობის ხანგრძლივობა არაუმეტეს 5 წუთი, აქედან ნელი ცურვა (4 სეკუნდში ერთხელ ნიჩბის ერთი მოსმა) არაუმეტეს 3 წუთით ბრასის სტილით ზურგზე ან მკერდით.

ზომიერ-ინტენსიური ზემოქმედების რეჟიმის დროს წყლის ტემპერატურა არანაკლებ $20 - 18^{\circ}$, ბანაობის ხანგრძლივობა 2 წუთიდან 15 წუთამდე, ცურვა 1-აშუალო ტემპით (2—3 სეკუნდში ერთხელ ნიჩბის ერთი მოსმა). ინტენსიური ზემოქმედების რეჟიმი: წყლის ტემპერატურა $16^{\circ} - \text{ზე } 16^{\circ}$ ზევით არ არის, ბანაობის ხანგრძლივობა 2-დან 4 სეკუნდამდე. ენერგიული ცურვა, სტილი სურვილის მიხედვით. გვახსოვდეს, რომ ერთ-ჯერადი ბანაობა არასდროს არ უნდა აჭარბებდეს 15 წუთს წროვნის მიუხედავად.

ზღვაში ბანაობის რეჟიმის სქემატური გაღმოცემა უკვე განსაზღვრავს ინდივიდუალურ ჩვენებებს. მაგალითად, სუსტი ზემოქმედების რეჟიმი კარგია გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებულთათვის. ზომიერ-ინტენსიური ზემოქმედების რეჟიმი ნაჩვენებია დასუსტებული ავაღმყოფებისათვის ან ნორმალური გულ-სისხლძარღვთა სისტემის მქონეთათვის.

მკვლევარებმა გვიჩვენეს, 10-წლიანი ბანაობა იწვევს მკვეთლ რეაქციას გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ ზოგიერთ ჯანმრთელ პირებშიც კი. მით უმეტეს იგი არ არის ნაჩვენები გულით დაავადებულთათვის. მაშასადამე, მეორე რეუიმი სავ-სებით წინააღმდეგნაჩვენებია ვენური და თავის ტვინის გამო-ხატული ათეროსკლეროზით დაავადებულებისათვის, რომლებ-საც სისხლძარღვთა ტონუსის მნიშვნელოვანი დარღვევა აღ-ნიშნებათ.

ინტენსიური ზემოქმედების რეუიმი ენიშნება მხოლოდ ტრენირებულ, აბსოლუტურად ჯანმრთელ აღამიანებს, მაგრამ იგი ენიშნებათ არჩევით, ინდივიდუალურად. მოსალოდნელი გულ-სისხლძარღვთა კატასტროფის თავიდან ასაცილებლად თვითონ არ უნდა ვინიშნავდეთ რეუიმს. აქ გადამწყვეტი სიტყ-ვა ეკუთვნის ეჭიმს.

დამატებითი საერთოთარაპიული ლონისპირები, როგორც კურორტზე იყენებან

კურორტული მკურნალობა შედეგიანია რეუიმის პირობებში. რეუიმი არსებითად არის ცხოვრების წესი, ავადმყოფის ცხოვრების ყველა მხარის მომცველი წესებისა და ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ხორციელდება არა მხოლოდ სანატორიუმის, არამედ საერთო საკურორტო მასშტაბით. იგი შედგება ინდივიდუალური, სანატორიული და საერთო საკუ-რორტო რეუიმისაგან. რეუიმის დაყვანა მხოლოდ სანატორიუმში ცხოვრების საერთო განაწესამდე ძირშივე მცდარია. მან უნდა შეათავსოს მოძრაობისა და სიმშვიდის, დაზოგვისა და წრთვნის ელემენტები. სანატორიული რეუიმი უზრუნველ-

ყოფს მკაცრ, რიტმულ მოქმედებასა და დასვენების პროცესების შენაცვლებას დროში. ორგანიზმის ფიზოლოგიური რიტმი უნარჩუნებს მას სიცოცხლისუნარიანობას ნორმალურ დონეზე, ძილისა და სიფხიზლის პერიოდულ ცვლას, აქტიურობას და შედარებით სიმშვიდეს განაგებს თავის ტვინის ქერქი.

სანატორიული რეჟიმის მკაცრი დაცვა უზრუნველყოფს ქერქის რეგოლუტორების რიტმულ მოქმედებას. ვინც სანატორიულ რეჟიმს იცავს, ეჭვგარეშეა, მოგებულია, მათი სიფხიზლე, ძილი, მოძრაობა, დასვენება სწორად წარიმართება.

თითოეული ავალმყოფისა და დამსვენებლის ინდივიდუალური რეჟიმი ეს არის სამკურნალო პროცედურების მიღების განრიგი, მოძრაობის, სიმშვიდის, ძილის, კვების, დასვენების, კულტურულ გართობათა ცვლა. ყოველ სამკურნალო პროცედურას ნიშნავს მხოლოდ ექიმი. იგი განსაზღვრავს დოზირებას, პროცედურების რაოდენობას, მათ თანმიმდევრობას. პროცედურის წინ და მერე ავალმყოფი უსათუოდ ისვენებს.

პროცედურის დროს გუნება-განწყობის გაუარესების შემთხვევაში ავალმყოფმა დაუყოვნებლივ უნდა მოახსენოს ექიმს და მედიცინის დას და ელოდოს მათ შემდგომ მითითებებს.

გაგრაში მკურნალობის საუკეთესო ეფექტი და წრთობა შეინიშნება კლიმატომკურნალობის მოძრაობით აქტიურობასთან (დოზირებული სეირნობა, ნავის ნიჩბების მოსმა, სამკურნალო და გასამაგრებელი გიმნასტიკა, ექსკურსიები, სპორტული თამაშებები, სხვადასხვა მეცადინეობა ღია ჰაერზე) შეთავსებისას. მოძრაობის რეჟიმის დოზირებას აწარმოებს ექიმი. მოძრაობა დასახული მიზნის მიხედვით პირობითად სამრეჟიმად იყოფა: 1. დაზოგვის რეჟიმი (მცირე დატვირთვით,

მასში ჭარბობს დაზოგვის ელემენტები, 2. დამზოგად-
 საწვრთნელი (საშუალო დატვირთვის). თანაბრადაა წარმოლ-
 გენილი დაზოგვისა და წვრთვნის ელემენტები. ეს მიღწევა
 ფიზიკური დატვირთვის ზრდით (გიმნასტიკა, სპორტი, თაჭა-
 შობანი), კლიმატოსამკურნალო ფაქტორების გახანგრძლ-
 ვებით.

3. მატრენირებული რეჟიმი (დიდი ფიზიკური დატვირ-
 თვით). მასში ჭარბადაა წვრთნის ელემენტები. მას აღწევენ
 ხარისხის გამლიზიანებლით, მოძრაობისა და კლიმატის სა-
 შუალებით. მესამე რეჟიმის მიხედვით, ინტენსიურ წვრთნას
 მოსდევს ორგანიზმის გაკაუება და გარემოს მიმართ მისი გამ-
 ძლეობის ამაღლება. რეჟიმის ეს დაყოფა პირობითია, იმიტომ
 რომ ყოველი რეჟიმი, ზუსტად რომ ვთქვათ, შეიცავს დაზოგ-
 ვისა და წვრთნის ელემენტებს. მოძრაობის რეჟიმი უცვლელი,
 დოგმატური როდია მთელი მკურნალობის მანძილზე. იგი
 შეიძლება შეიცვალოს ავადმყოფის გუნებ-განწყობის მი-
 ხედვით. მოძრაობის სათანადო რეჟიმის დანიშვნის დროს
 ეჭიმი ხელმძღვანელობს დაავადების ხასიათის, დაზიანების
 სიღრმის, ავადმყოფის ასაკის, მისი მდგომარეობის მიხედვით
 მკურნალობის დაწყების მომენტში, გარემოს მეტეორდგომა-
 რეობით. ავადმყოფზე დინამიკურად დაკვირვებისას მას
 შეაქვს გარკვეული კორექტივები, აზუსტებს. რეჟიმის დე-
 ტალებს და ტიპურიდან მკვეთრად ინდივიდუალურად გადა-
 აქციებს. მაგალითად, დაზოგვის რეჟიმს ინდივიდუალური და-
 ტვირთვის ხარისხის გათვალისწინებით უნიშნავენ გულ-სისხლ-
 ძარღვთა სისტემის დაავადების მქონე ავადმყოფებს; როდესაც
 აღინიშნება გულ-სისხლძარღვთა ნევროზი რიტმის დარღვევით,
 გულ-სისხლძარღვთა ათეროსკლეროზი სტენოკარდიის მსჯ-

ბუქი ფორმით, I და II სტადიის ჰიპერტონიული დავადების, ჰიპერტონიული დაავადების, გულწასულობის მდგომარეობისადმი შიდრეკილების და გამოხატული სისუსტით სისხლის წნევის ძალზე დაბალი მაჩვენებლების გაშო, გულის მანკები გამწვავების ფაზის გარეშე, კომპენსირებული ან I ხარისხის სისხლის მიმოქცევის უკმარისობით და ა. შ., ნერვული სისტემის (როცა ნევროზული ოეაქციები გამოხატულია ძლიერად), სუნთქვის ორგანოების (ქრონიკული ბრონქიტი, ფილტვების ემფიზემა, პნევმოსკლეროზი, თუ ისინი გართულებულია) არა უმეტეს I ხარისხის ფილტვ-გულის უკმარისობით. ზოგიერთ მძიმე აფალმყოფს დაზოგვის რეჟიმი ენიშნება მინიმალურად. მეორე, დამზოგველ-მატრენირებელი რეჟიმი შეიძლება დაენიშნოს ჭომიერად გამოხატული გულ-სისხლძარღვთა ნევროზის დროს გულის მოქმედების რიტმის დარღვევის გარეშე, გულის არტერიის, ვენური ათეროსკლეროზის დასაწყის სტადიაში. (სტენოკარდიის გარეშე), კარდიოსკლეროზის დროს რიტმის დაურღვევლად, I სტადიის სისხლის მიმოქცევის უკმარისობის, I სტადიის ჰიპერტონიული დაავადების დროს, ჰიპოტონიული დაავადებებისას გამოხატული სისუსტის, გულის კომპენსირებული მანკების დროს გამწვავების გარეშე, ზომიერად გამოხატული ნევროზული ოეაქციების დროს, სასუნთქი გზების დაავადებისას, ფილტვის და გულის უკმარისობის დროს გართულებების გარეშე და ა. შ.

- როგორც წესი, მეორე რეჟიმი უფრო ნაჩვენებია იმ ავადმყოფებისათვის, რომლებსაც არა აქვთ გულის და სუნთქვის უკმარისობა, მაგრამ ზოგჯერ წესიდან გამონაკლის უშვებენ. ექიმმა შეიძლება 35 წლის ახალგაზრდა კაცს, რომელმაც ერთი წლის შინათ მიოკარდიტი გადაიტანა (გულის კუნთის ანთება)

და დარჩა სუსტად გამოხატული კარდიოსკლეროზი არამარცვეთ-
 რად გამოხატული სისხლის მიმოქცევის უკმარისობით, დამ-
 ზოგავ-საწვრთნელი რეუიმი დაუნიშნოს და, პირიქით, იგივე
 ექიმმა 65 წლის მამაკაცს, დაავადებულს I სტადიის ჰიპერ-
 ტონიით, რომელსაც გულ-სისხლძარღვთა სისტემის კარგი
 მდგომარეობა აღენიშნება, დაუნიშნოს მხოლოდ დაზოგვის
 რეუიმი, რადგან მხედველობაში მიიღებს ასაქს. თავისთავად
 იგულისხმება, რომ მატრენირებელი რეუიმი დაენიშნებათ
 მტკიცედ კომპენსირებულ ავადმყოფებს, რომლებსაც მიღრუ-
 კილება არა აქვთ გაციებითი დაავადებებისადმი, ვისაც არა
 აქვს დარღვეული სისხლის მიმოქცევა, ჯანმრთელ პირებს. მა-
 გალითად, ექიმი მართებულად მოიქცევა, თუ მსუქან ახალ-
 გაზრდებს („გასუქება“) დაუნიშნავს ამ რეუიმს, თუ ამ პირს
 არ აღენიშნება გულის ფუნქციის დარღვევა. გაგრაში სამკურ-
 ნალოდ ჩამოსულ ავადმყოფებს, რომლებიც მოძრაობის გან-
 საზღვრულ რეუიმს ემორჩილებიან, ყოველთვის უნდა ახსოვ-
 დეთ ადგილის რელიეფი. გაგრა ვიწრო სანაპირო ზოლია შე-
 მოჯარული მთებით. კურორტის დიდი ნაწილიც ხომ ამ მთების
 კალთებზე, აღმართებზეა გადაშლილი. არცერთ ავადმყოფს
 ექიმთან წინასწარი შეთანხმების გარეშე არ ვურჩევთ საჭუ-
 თარი ინიციატივით მთაზე ასვლას. ეს ზედმეტი დაძაბვაა, ძალა-
 ბის დიდი ხარჯვაა. მას მოულოდნელი შედეგები შეიძლება მო-
 ჰყვეს, გულ-სისხლძარღვების კატასტროფულ კი, საჭმის ვითა-
 რება უფრო უბრალოდ გამოიყურება სოჭაში, გუდაუთაში,
 სადაც უფრო ბარის რელიეფია.

მოძრაობასთან დაკავშირებული პროცედურაა სამკურნა-
 ლო ტანვარჯიში, იგი ხელს უწყობს ორგანიზმის საერთო გა-
 კუებას და ამიტომ მარტო ფიზიკურ ვარჯიშს როდი მოიცავს.

აქ შედის სანატორიუმის, მზის, ჰაერის, წყლით მკურნალობის რეჟიმი. ყველა ფიზკულტურული ღონისძიება — ინდივიდუალური და საერთო ტარდება ექიმის დანიშნულებით და გის კონტროლს ეჭვამდებარება.

ძალიან ეფექტურია დილის ტანვარჯიში. იგი მრავალმხრივ გავლენას ახდენს ორგანიზმები თავისი გამლიბიანების მოქმედებით, ამაღლებს კუნთების ტონუსს, ხელს უწყობს მოქნილობას, მოძრაობაში მოჰყავს კუნთები, აცხოველებს ყველა ორგანოსა და სისტემის მოქმედებას, ხალისს უბრუნებს აღაშიანს, უუმჯობესებს გუნებ-განწყობას, ჩვეულებრივ ეს ჯგუფური ტანვარჯიშია. გაგრის სანატორიუმებში იგი ფართოდ გამოიყენება, მაგრამ ვინც დაზოგვის რეჟიმზეა, ისინი არ დაიშვებიან ვარჯიშზე. სამკურნალო ტანვარჯიში დილის ჰიგიენური ტანვარჯიშისაგან განსხვავებით უფრო ინდივიდუალურია. მისი ღონისძიება ძალიან მკაცრად ხდება. უნიშნავენ ცალკეულ პირებს ან მცირე ჯგუფს, რომლებსაც გულმოლგინედ შეარჩევენ თითქმის ერთიდაიგივე დაავადების მქონ, ავადმყოფებისგან ორგანოების, სისტემების, ფუნქციებისა და სილრმის იდენტურის მიხედვით, ასაკისა და სქესის გათვალისწინებით.

სამკურნალო ტანვარჯიში აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ააქტივებს ნერვული, სისხლძარღვების, სასუნთქი, კუნთური და გამომყოფი სისტემების ცხოველმოქმედებას და დაზოგვით (მინიმალური დატვირთვით) აწრობს ორგანიზმს, აღადგენს გულის, ფილტვების, ნერვების ფუნქციებს, ჯანმრთელობას და შრომის უნარს უბრუნებს აღამიანს. მას უნიშნავენ დაზოგვის რეჟიმზე მყოფ პირებს. განსაკუთრებული სამედიცინო სიფსიზლე, გულდასმით ინდივიდუალური,

ღაკვირვებაა საჭირო, როცა მას ვუნიშნავთ გულ-სისხლძარღვა-
თა და სუნთქვის სისტემის დეკომპენსირებული დაავადების
მქონე პირებს.

გაგრის სანატორიუმებში ჩატარებულ სამკურნალო ღონის-
ძიებათა კომპლექსში ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება დოზი-
რებულ სიარულს, რომელსაც ტერენკური ჰქვია (ეს სახელწო-
დება უფრო მაშინ გამოიყენება, როცა ვეხებით აღმართზე
ასვლას მოძრაობისა და დასვენების გარკვეული რიტმით).

დოზირებული სეირნობა ეწყობა წინასწარ ცნობილი
მარშრუტებით და ტრასებით გარკვეულ მანძილზე. ტერენკუ-
რისათვის სანატორიუმები იყენებენ თავიანთ ადგილობრივ
პილიკებს, საერთო საკურორტო გზებით კი ყველა სანატორი-
უმი სარგებლობს. დოზირებულ სეირნობას ტერენკურს ფარ-
თოდ მიმართავენ. იგი განსაკუთრებით ნაჩვენებია გულ-სისხლ-
ძარღვთა დაავადების მქონე ავადმყოფებისათვის, თუ დაავა-
დება გართულებულია გულ-სისხლძარღვთა უკმარისობით,
ფილტვების დაავდებებით, გულის უკმარისობით. ტერენკური
ნაჩვენებია აგრეთვე ავადმყოფებისთვის, რომლებიც იტანჯე-
ბიან ზედმეტი სიმსუქნით, რომელიც გართულებას იძლევა
გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ, საყრდენ-სამოძრაო აპა-
რატის დაავადების მქონე ავადმყოფებისათვის.

ტერენკურის ჩატარების პირობები:

1. ზუსტად განსაზღვრული მიმართულება, გავლის დრო,
მოძრაობის რიტმი, მისი მონაცვლეობა დასვენებით (უნიშნავს
მხოლოდ ექიმი).

2. ავადმყოფის სათანადო „გამოწყობა“ — თავისუფალი
მსუბუქი ტანსაცმელი, რომელიც არ ზღუდავს მოძრაობას,
წელიწადის სეზონისა და დღის საათების მიხედვით. ნახმარი

ფეხსაცმელი, სჭელლანჩიანი, უქუსლო. მზიან ამინდში ფარფლებიანი ქუდი.

3. დროის სწორად შერჩევა — წელიწადის თბილ დროს დღის ყველაზე გრილი საათები, უმჯობესია დღისით და სალამო ხანს, როცა მზე ისე აღარ აცხუნებს. ცივ პერიოდში, პირი კით, დღის თბილ საათებში (დრო შეარჩევა ექიმთან ერთად).

ტერენკურის ჩატარების წესები:

1. მშიერ კუჭზე არავითარ შემთხვევაში (საჭმლის მიღებიდან არა უადრეს 2 საათის შემდეგ) არ შეიძლება.

2. მოძრაობის დროს კატეგორიულად ერიდეთ თამბაქოს წევას.

3. მოძრაობისას ერიდეთ ლაპარაკს, რომელიც ხელს უშლის სწორ მოძრაობას.

4. საექიმო დოზირების, რჩევა-დარიგების, მითითებების მკაცრად შესრულება.

სიარული უნდა იყოს თავისუფალი, როცა შენარჩუნებულია ბუნებრივი ტანდეგობა და იგი შეხამებულია რიტმულ, სწორად სუნთქვასთან. ამ დროს კარგია მივმართოთ ღრმა სუნთქვას. ზევით და ქვემოთ მოძრაობის დროს კორპუსი შესაბამისად უნდა წავხაროთ წინ ან გადავიხაროთ უკან. ეკონომიურად გავდგათ ნაბიჯები. ასვლა-ჩამოსვლისას პატარა ნაბიჯების კომპენსირება მოვახდინოთ დიდი ნაბიჯებით, როცა დაბლობზე მოვხვდებით. მოძრაობა შევცვალოთ დასვენებით. მოკლე შესვენებისას ფეხზე უნდა ვიდგეთ (პირველ ხანებში შეიძლება დაჯდომაც).

ხანგრძლივი შესვენებისას აუცილებელია დაჯდომა, დასვენებისას მთელი კორპუსით ვეურდნობით სკამის ზურგს. წყურვილის შემთხვევაში შეძლებისდაგვარად თავი შევიკა-

ვოთ წყლის სმისგან. მხოლოდ გამოვივლოთ პირში წყალი და ულუპებით დავლიოთ არაუმეტეს ჭიქის მეოთხედი წყალი. განუსაზღვრელად სმა იწვევს გულ-სისხლძარღვთა სისტემის გადატვირთვას. პროცედურის დამთავრებისთანავე არანაკლებ 1 საათი შესვენება.

ტერენკურის ეფექტურობის შეფასება.

1. კონტროლი სამედიცინო მაჩვენებლების მიხედვით.

პროცედურის დასასრულს ავადმყოფის მდგომარეობაზე კონტროლი — რას გრძნობ, მხნედ ყოფნას თუ ოდნავ დაღლას. გვახსოვდეს, რომ ტერენკური სამკურნალო დატვირთვაა და არა ძალისმიერი სპორტული კროსი, ფინიშთან დაღლილები, დაქანცულები არ უნდა მივიღეთ. ასეთ ტერენკურს მხოლოდ ზიანი მოაქვს.

გაგრა, მისი მიღამოები შესანიშნავია ფეხით, ავტობუსით, კატარლებით, გლისებით სეირნობისა და ექსკურსიებისათვის. სეირნობა და ექსკურსიები შეიძლება ჩატარდეს მასობრივი ან ინდივიდუალური სახით. ხანგრძლივი მასობრივი სეირნობა შეიძლება შევუთავსოთ მოძრავ თამაშობებს (განსაკუთრებით ნაჩვენებია ფიზიკურად ძლიერი და მოუთმენელი ექსკურსანტებისათვის, მაშინ სხვები, ნაკლებამტანები ისვენებენ).

ექსკურსიის ჩატარებისას მხედველობაში იღებენ ამინდს, ავადმყოფების ინდივიდუალობას. ზოგი ცუდად იტანს ავტოტრანსპორტს, სხვები — ზღვით მგზავრობას წყნარ ამინდშიც კი, ასეთებს აერთიანებენ ერთ ჯგუფში და მათთვის მართავენ ფეხით ექსკურსიებს. ავადმყოფისათვის ექსკურსიის შერჩევა, მისი ხანგრძლივობა, მარშრუტის ხასი-

ათი დამოკიდებულია დაავალების ხასიათზე, ჯანმრთელობის მიზანის ფიზიკურ გამძლეობასა და წრობის ხარისხზე.

დოზირებული სეირნობისა და ექსკურსიებისათვის მთელი სანატორიუმის ავალმყოფებს ფიზიკური აქტივობის მიხედვით დაყოფენ 3 ჯგუფად. ფიზიკური აქტივობის პირველ ჯგუფში შეღიან ის ავალმყოფები, რომლებიც დაზოგვის რეჟიმს იცავენ. ისინი მონაწილეობენ მხოლოდ მოკლე მანძილით გასერნებაში (მაგალითად, გაგრის სანაპირო პარკის ტერიტორიაზე).

ფიზიკური აქტივობის მეორე ჯგუფში ერთიანდებიან დამზოგავ-მატრენირებელ რეჟიმზე მყოფი ავალმყოფები, მათ შეუძლიათ აიტანონ 3-საათიანი ექსკურსიები (მაგალითად, გაგრა-ბიჭვინთა-გაგრა, დასვენება ბიჭვინთაში).

ფიზიკური აქტივობის მესამე ჯგუფი მოიცავს იმ პირებს, რომლებიც მატრენირებელ რეჟიმს იცავენ. ისინი იტანენ შედარებით დიდ ფიზიკურ დატვირთვას და ამიტომ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ყველა ექსკურსიაში (სანიმუშო სხვა-დასხვა ვარიანტი). გაგრის ქედის ფერდობებზე უკით ასვლა, ავტოექსკურსია: გაგრა — სოხუმი — გაგრა, გაგრა — რიჭა — გაგრა და მრავალი სხვა).

ექსკურსიები და მით უმეტეს ხანგრძლივი და მანქანით დამღლელი მგზავრობა უმჯობესია სანატორიუმში ყოფნის მეორე ნახევარში, როცა ორგანიზმი საკმაოდ შეეგუება აღგილობრივ კლიმატს.

სამკურნალო ნიჩბოსნობა შესანიშნავ სამკურნალო-მატრენირებელ ეფექტს იძლევა, მისი მოქმედება მრავალმხრივია. ნიჩბოსნის თანაბარი ფიზიკურა დაძაბვა ზედა და ქვედა კიდურების სახსრების, ხერხემლის გაძლიერებული მოძრაობა,

კუნთების რიტმული ვარჯიში უზრუნველყოფს შესანიშნავი ფიზიკურ განვითარებას. კუნთების მუშაობა აჩქარებს სისხლის. წარმოქმნას, ზრდის სისხლის მიმოქცევის მოცულობას, ჰუმენობესებს გულის კუნთის სისხლით მომარაგებას, ფილტვების ვენტილაციას, ააქტივებს გაზთა ცვლას (უანგბალი უფრო დიდი რაოდენობით შთაინთქმება). ორგანიზმში მკვეთრად იზრდება უანგვითი პროცესების დონე და წარმოებს ნივთიერებათა ცვლის ნორმალურაცია. აქედან გასაგებია, რატომ უნიშნავენ სამკურნალო ნიჩბოსნობას გულ-სისხლძარღვთა დავადებების, ნივთიერებათა ცვლის მოშლის დროს (განსაკუთრებით სიმსუქნისას), საყრდენ-სამოძრაო აპარატის დაავადების დროს.

მისი დოზირება ხდება იგივე პრინციპებით, როგორც სხვა სამკურნალო პროცედურებისა: განსაზღვრავენ საწყისს (ჩვეულებრივ 200 მეტრი) და ზედმეტ, მაქსიმალურ (არაუმეტეს 1000 მეტრი) დატვირთვას ავადმყოფის მდგომარეობის გათვალისწინებით, დაადგენენ სუნთქვასთან შეთანხმებულ ტემპს (20—25 ნიჩბის მოსმა წუთში).

სამკურნალო ნიჩბოსნობას უხამებენ სხვა პროცედურებს. იგი ტარდება დილას (8—11 საათი) და სალამოს (17—20 საათამდე), როცა პირდაპირი მზის რადიაცია კლებულობს. ნიჩბის მოსმა უკეთესია, როცა ქარი ოდნავ ქრის, რაღვან ამ დროს ძლიერდება ენერგიულად მომუშავე ორგანიზმის თბოგაცემა. წყნარ ამინდში ზღვაში გასვლა აკრძალულია ფიზიკურად დატვირთული ორგანიზმის მოსალოდნელი გადახურების გამო. ზღვის 3 ბალიანზე მეტი ღელვის დროს ზღვაში გასვლა აკრძალულია. ზღვაში ნიჩბის მოსმის დროს დისტანცია ნიშანდებულია ნაპირის გასწვრივ სათანა-

დო ნიშნებით. სამკურნალო ნიჩოსნობა შეიძლება ზამთარობითაც.

სამკურნალო კვება შედის რეჟიმის კომპლექსში. მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. გაგრის სანატორიუმებში კვების ძირითადი რეჟიმი ოთხერადია. ავალმყოფთა ცალკეული ჯგუფისათვის დაწესებულია ხუთხერადი რეჟიმი. საჭმლის დროულ მიღებას მკაცრად აღევნებენ თვალყურს. კვებითი ღირებულება და საჭმლის მოცულობა (ღიეტა) განისაზღვრება მეცნიერულად დასაბუთებული ფიზიოლოგიური პრინციპების მიხედვით. ეს პრინციპები თავის მხრივ განსაზღვრავს ენერგეტიკულ ღირებულებას (კალორიულობას, ქიმიურ შემადგენლობას), ფიზიკურ თვისებებს (წონა, კონსისტენცია, ტემპერატურა). ღიეტა ითვალისწინებს ნაირფერ სრულფასოვან რაციონს და არაერთფეროვან და ცალმხრივ კვებას. ღიეტა ყოველთვის შეესაბამება დაავადებას და შესაძლებელია მისი ვარიაციები დაავადების მიმდინარეობის მიხედვით. ღიეტის ფარგლებში მუდამ უნდა იცვლებოდეს. პროდუქტები და კერძები. ორგანიზმის შედარებითი შიმშილის თავიდან ასაცილებლად გავრის მთელ რიგ სანატორიუმებში პრაქტიკაში დანერგილია კერძების წინასწარი შეკვეთა ნაჩვენები ღიეტის ფარგლებში. ღიეტის უმრავლესობა დაკავშირებულია სანელებლის, არომატული ნივთიერების, მარილის შეზღუდვასთან. არავითარ შემთხვევაში რეკომენდებული არ არის თითონ ავალმყოფმა შეავსოს ეს „უკმარისობა“. მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ სამკურნალო პროცედურები შეიძლება ჩავიტაროთ საჭმლის მიღებიდან არაუადრეს 1 საათისა, უკეთესია, თუ 2—3 საათის შემდეგ შევასრულებთ მათ (ეს განსაკუთრე-

პირ საღილზე ითქმის, როცა ორგანიზმი ყველაზე მეტად იტვირთება საჭმლით).

მზის აბაზანები და ზღვაში ბანაობა, როგორც ყველაზე ტეტად ინტენსიური პრცედურები, უნდა ჩავატაროთ საუზმის ჟემდევ. სამკურნალო კვება აიგება დინამიკური პრინციპების მიხედვით. დიეტას (ჩვეულებრივ ინომრება) უნიშნავს ექიმი, ზოგიერთ ავადმყოფს, რომლისთვისაც საჭიროა უანგვითი პროცესების გაძლიერება, ჩვეულებრივი დიეტური კვების დღეებს შევუცვლით განტვირთვის დღეებით. ეს დღეები კვირაში 10 დღეში ერთხელ-ორჯერ ჩვეულებრივ ენიშნებათ მსუქან ავადმყოფებს, რომელთაც აწუხებთ ზედმეტი წონა.

ამ დღეებს არქმევენ მისაღები პროდუქტების შესაბამის სახელებს; „ვაშლის“, „კომპოტის“ დღე და ა. შ. არაიშვიათად დიეტაში შეგვაჭვს კორექტივი პროდუქტებით, რომელთაც გარკვეული სამკურნალო თავისებურება აქვთ. მაგალითად, ათეროსკლეროზით დაავადებულს, რომელსაც სისხლში ჭრლესტერინის მაღალი შემცველობა აღენიშნება, უნიშნავენ ჰაჭოს. ამ პროდუქტს ლიტოტროპული ვინედება ახასიათებს. თუ ავადმყოფს სისხლნაკლებობის ნიშნები შეემჩნევა, უნიშნავენ სათანადოდ დამუშავებულ ღვიძლს ერითროპოზის (სისხლსავსე წითელი ბურთულების წარმოქმნა) ფაქტორების სტიმულაციის მიზნით. იმ პირებში, ვისაც ყაბზობა აწუხებს, ეს პროდუქტი ზოგჯერ ფალარათს იწვევს. ასევე მოქმედებს კეფირი, თუ მას ძილის წინ მივიღებთ. ვაშლი (მისი უჯრედისი) შველის ატონიური ყაბზობის დროს. დიეტური რეჟიმის დაცვა ყოველი ავადმყოფის მოვალეობაა და უეჭველად წაგებულია ის ავადმყოფი, რომელიც გამოტოვებს საღილს, პროცედურას.

სასადილოში, რესტორანში ჭამა მათთვის მარტო ეფექტური როდია, არამედ საზიანოცაა. თვითონ გაგრასა და მის მიღამოებში ბევრი ბალია. ზაფხულსა და ზემოდგომაზე ბალები ხილით დატვირთულია. ხილი ხელს არ უშლის. დიეტის, თუ ზომიერებას დავიცავთ. ვიდრე ხილს დავიმატებდეთ, სწორი იქნება, თუ ეჭიმს ვთხოვთ რჩევა-დარიგებას. იგი გვირჩევს რა ხილი მივიღოთ, რა რაოდენობით, რა დროს, და, პრიქით, რომელიმე ხილს შეგვიზღუდავს.

მართლაც, მაგალითად, სიმსუქნის დროს ტკბილი ყურძნით გამოძლომა უაზრობაა. კვებითი მკურნალობის დროს არ უნდა ვესწრაფოთ წონაში მოიმატონ იმ ავადმყოფებმა, ვისაც ნორმალური წონა აქვს მოცემული ასაკისა და სიმაღლის მიხედვით. ჩასუქებული ავადმყოფებისათვის ზედმეტი ჭამა საზიანოც კია. იგი აჩქარებს აღდგენით პროცესებს უანგვითი პროცესების მინიმუმის დროს, იწვევს წონაში შემდგომ მატებას, ამცირებს შრომისუნარიანობას, თან სდევს მოდუნება, მსუქნების კვებით მკურნალობის მიზანი კი ორგანიზმის განტვირთვაა. თავისთავად ცხადია, ავადმყოფებმა, რომელთაც არსებულ ნორმაზე ნაკლები წონა აქვთ, უნდა მოიმატონ წონაში.

ამრიგად, როცა ვეცნობით გაგრაში კურორტულ მკურნალობას, საჭიროა გვახსოვდეს, რომ ყველაზე მეტად ეფექტურია სუსტი კურორტული გამლიზიანებლები (ეს დაამტკიცა ექსპერიმენტულმა დაკვირვებამაც), რომელთაც უნარი შესწევთ შეაჯამონ და თავისი სამკურნალო მოქმედება მოახდინონ არა ერთბაშად, არამედ გარკვეული დროის გავლის შემდეგ. ამასთან ეს დებულება დოგმა არ არის. დაავადების პროცესის ნელი მიმდინარეობისას იგი შეიძლება

„ავამოძრაოთ“ და ნორმას დავუბრუნოთ მხოლოდ ძლიერი გამლიზიანებლების საშუალებით. კურორტზე მკურნალობა შეიძლება ჩავატაროთ ან დაზოგვის პრინციპით, ან წვრთნის პრინციპით. ეს ორი პრინციპი ერთმანეთს კი არ გამორიცხავს, არამედ ავსებს, თუ მათ გამოვიყენებთ გარკვეული სწორი თანმიმდევრობით. კურორტული მკურნალობის თავისებურებას წარმოადგენს მისაღები სამკურნალო მეთოდებისა და საშუალებების მრავალფეროვნება (ერთდროულად თუ თანმიმდევრობით), რომელთა მიზანია მივაღწიოთ სრულ გაჯანსაღებას ან დარღვეული პროცესების კომპენსაციას ხანგრძლივად (რემისია). ამ მეთოდს ეწოდება კომპლექსური მკურნალობა. გაგრაში, ისე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა სხვა კურორტზე, იყენებენ მხოლოდ კომპლექსურ მკურნალობას.

გაგრა კლიმატურ-გალეოლოგიური კურორტი

გაგრის სამკურნალო ფაქტორების შესახებ ნათქვამი არ იქნება სრული, თუ, თუნდაც გაკვრით, არ მოვიხსენიებთ ბალნეომკურნალობას, რომელიც კურორტზე ტარდება. აფხაზეთში უხვადაა მინერალური წყლები. მინერალური წყალი არის გაგრაშიც. ეს არის აზოტ-თერმული, სულფატ-კალციუმმაგნიუმის წყალი მინერალიზაციით $1,8 \text{ г/л}$, 44° საერთო გოგირდწყალბადის შემცველობით $0,0260 \text{ г/л}$. ამ წყლის ბაზაზე შეიქმნა ბალნეოსამკურნალო. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ინტენსიურად სწავლობენ ამ წყლის სამკურნალო თვისებებს. უკვე ძირითადად განსაზღვრულია მისი გამოყე-

ჩების ჩვენებები. არჩევითად ჩამოვთვლით ზოგიერთ კანს.

1. ყველა ფორმის მარბლიტირებელი ენდარტერიტი (არტერიის გამავლობის პროგრესიული დარღვეული) პირველ 3 სტადიაში. მეოთხე სტადიის დროს მკურნალობა წინააღმდეგნა-ჩვენებია.

2. თრომბოფლებიტი, მწვავე მოვლენების ლიკვიდაციიდან ორი-სამი თვის შემდეგ.

3. მოძრაობის ორგანოების დაავადებანი.

4. რევმატული პოლიართრიტი (სახსრების რევმატული ანთება), მორეციდივე.

ა) ქრონიკული არასპეციფიკური ინფექციური პოლიართრიტი (სახსრების ანთება, რომელიც თანდათან იწვევს მათი შინაგანი სტრუქტურის რღვევას).


ბ) ძვლებისა და სახსრების ტრავმული დაზიანება (ამ ჭგუფში, გარდა სხვებისა, შედის ლულოვანი ძვლების ოსტეომიელიტი, კანისა და კუნთების ქრონიკული შეხორცებული ინფილტრატი, ძვლების მოტეხილობა, როცა კარგად არის განვითარებული ძვლის კორძი).

4) ნერვული სისტემის დაავადებანი.

ა) პოლირაღიკულონევრიტების პერიფერიულ-ქრონიკული ფორმები, რაღიკულიტი მწვავე, ქვემწვავე და ქრონიკულ სტადიებში, არასრული რემისიის მიყუჩების ფაზაში და გამწვავების სტადიაში სუსტად გამოხატული მოძრაობითი მოშლილობით, ტკივილის სინდრომის ძლიერად გამოხატული შემთხვევები, ვეგეტატიურ სისხლძარღვთა ცვლილებების შემთხვევები (ქვედა კილურების სისხლძარღვთა სპაზმი), შემთხვევები, რომელთაც თან ერთგის მცირე მენჭის ორგანოების




სანატორიუმი „თბილისი“




სანატორიუმი „გრუჟკა“




ჩელუსკინელების სახელობის სანატორიუმი



დასასვენებელი სახლი „ჩაიკა“




სასტუმრო „გაგრიფში“



დასასვენებელი სახლი „სკალა“




კომკავშირის ბარეკი



ზღვისპირა პარკის ერთ-ერთი კუთხე



ସାମନ୍ଦିନୀର ପଲାୟି



რიწის ტბა

დაავადებები ქალებში (ერთდროულად უნიშნავენ მორწ-
ყვას).

ბ) ცენტრალური (თავისა და ზურგის ტვინის) არაქნოიდი-
ტი (თავის ტვინის რბილი გარსის ანთება) გადატანილი ინ-
ფრარქტების ინტოქსიკაციის, ტრავმული დაზიანების შემდეგ.

გ) ნევრასთენია, უპირატესად ჰიპერასთენიური ფორ-
მების.

5. გინეკოლოგიური დაავადებანი.

6. კანის დაავადებანი: ტრავმის შემდგომი ან პროფესი-
ული ეგზემა, რაღიუმის და რენტგენოლოგიური დერმატიტე-
ბი, ქრონიკული ჭინჭრის გამონაყრება, ზომიერად გამოხატუ-
ლი სკლეროდერმია. ზემოხსენებულ დაავადებათა სამკურნა-
ლოდ გაგრის მინერალურ წყალს იყენებენ საერთო ადგილობ-
რივი აბაზანების სახით და მოსარწყავად.

მრავალი წლის მეცნიერული გამოკვლევების საფუძველზე
დადგინდა, რომ ყველაზე მეტად პერსპექტიულია აფხაზეთში
საერთოდ და. მაშასადამე, გაგრაშიც იმ ავადმყოფთა კლიმა-
ტომკურნალობა, რომლებთაც აქვთ გულ-სისხლძარღვთა, სუნ-
თქვისა და ნერვული სისტემის დაავადება. ამას აღასტურებს
გაგრის სანატორიუმების ექიმების პრაქტიკული საქმიანობაც.

ზემოჩამოთვლილი პროფილის ავადმყოფთა მკურნალო-
ბის მაღალი ეფექტურობა, უახლოესი და შორეული შედეგე-
ბი უფრო რენტაბელურს ხდის კლიმატომკურნალობას და შე-
საბამისად ორიენტაციას და პროფილს აძლევს კურორტ გაგ-
რას. სანატორიულ-კურორტული კლიმატომკურნალობის ეს
სამი მიმართულება მთავარი და ყველაზე მეტად პერსპექტი-
ულია გაგრაში. უპირველეს ყოვლისა მათ უნდა მივაჭიოთ
ყურადღება, ისინი უნდა განვავითაროთ. ამ სიტუაციაში კუ-

რორტის საწოლების მოქმედი და გასაფართოებელი ფონდების პირობებში ზემოჩამოთვლილი ზოგიერთი დაავადების მკურნალობის ხარჯზე ჩვენებათა გაფართოება მიზანშეწონილი არ არის.

გაგრის მინერალური წყლით ბალნეომკურნალობა მხოლოდ დამხმარე საშუალებაა. კლიმატო-მკურნალობის მსხვერპლად მოტანა ბალნეომკურნალობის გულისათვის, ამ უკანასკნელის მთავარ მიმართულებად გამოცხადება გაუმართლებელი „ფუფუნებაა“ გაგრის პირობებში. ადგილობრივ პირებში იგი მხოლოდ გვეხმარება მეორეხარისხოვან დაავადებათა მკურნალობაში, რომელიც მთავარს ახლავს. მაგალითად, I სტადიის ჰიპერტონიული დაავადების მქონე ავადმყოფმა კლიმატოპროცედურებთან ერთდროულად შეუძლია მიიღოს ბალნეოპროცედურა თანმხლები ქრონიკული რაღიკულიტის გამო ან ნევროზით დაავადებულს, რომელიც იღებს თაღასოთერაპიას (ზღვაში ბანაობა), ამავე დროს შეუძლია გაგრის მინერალური წყლით მორწყვით უმკურნალოს თანხმლებ გინეკოლოგიურ დაავადებებს.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს მინერალური წყლების სიმდიდრე და მრავალფეროვნება, რომელიც კთავმოყრილია რიტა-ავადჰარის რაიონში, რომელიც გაგრასთან ახლო მდებარეობს. მაგალითად, რიტის რაიონში მოქმედებს ორი წყარო, რომლის წყალი ნარზანის ანალოგიურია. იგი რაღიაქტიურია და შეიცავს დარიშხანის მარილებს. მხოლოდ ავადჰარაზე აღმოჩენილია 30-ზე მეტი მინერალური წყარო. აქ არის ბორჯომის (№ 1 წყარო), საირმის (ბურლილი № 1), ნაბეღლავის, უწერის და საფრანგეთის ვიშის ტიპის წყლები და სხვ. მრავალნაირი მინერალური წყლების სპექ-

ტრის ასეთი სიჭრელე უზრუნველყოფს თანმხლები დაავადებების მკურნალობას. ავადაპარაზე ფუნქციონირებს პანსიონატი.

კურორტის განვითარების პერსპექტივები

შესანიშნავმა კლიმატმა, ზღვამ, მდიდარმა სუბტროპიკულმა მცენარეულობამ, მინერალურმა წყლებმა, ისტორიულმა ძეგლებმა, განუმეორებელმა სანახებმა დამსახურებულად სახელი გაუთქვეს ულამაზეს ზღვისპირა კლიმატურ კურორტს და საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ტურისტულ ცენტრს. ამჟამად კურორტზე ფუნქციონირებს 30-ზე მეტი სანატორიუმი, პანსიონატი, დასასვენებელი სახლი, სასტუმრო „გაგრიფში“, საკურორტო პოლიკლინიკა, წყალსაბკურნალო, სამედიცინო პლაჟი, საზაფხულო და ზამთრის კინოთეატრები, საზაფხულო თეატრი, საკურორტო ბიბლიოთეკა. უკანასკნელ წლებში გაგრაში აშენდა ახალი კომფორტაბელური ჯანმრთელობის კერები: დასასვენებელი სახლები „სკალა“, „გაგრა“, სანატორიუმები „კოლხიდა“, „კავკასიონი“. განვითარების პერსპექტიული გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია პანსიონატის მშენებლობა 500 საწოლზე, 600-ადგილიანი სასტუმრო-პანსიონატი, დახურული საცურაო აუზი, საერთო საკურორტო პოლიკლინიკა, რომელიც დღეში 500 კაცს გაატარებს, დიდი წყალსამკურნალო, რომელიც ადგილობრივ მინერალური წყაროებით მომარაგდება, 3200-ადგილიანი საზოგადოებრივი კვების დაწესებულებანი, მდინარე „უოეკვრას“ ხეობის კეთილმოწყობა, საღაც შეიქმნება დიდი სავაჭრო ცენტრი მაცივარ-დანადგარებით.

ჯერ კიდევ 1956 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება გაგრის ქედის მაღალმთიანი მასივის „გაგრა — ალპიური“ ათვისების შესახებ. ამ მიმართულებით სრული დატვირთვით მიმდინარეობს სამუშაოები. უახლოეს წლებში დამთავრდება გზატკეცილის მშენებლობა მამზღვინხას მთამდე. მაგრამ მთავარია, საბაგირო გზის მშენებლობა, რომელიც 20 წლით აიყვანს დამსვენებლებს 1600 მეტრ სიმაღლეზე. ზღვის დონიდან. ტურისტებს და დამსვენებლებს, რომლებიც საბაგირო გზით ავლენ, საშუალება ექნებათ თვალი გაადევნონ ვერტიკალური ზონების ცვლას. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ უახლოეს დროში გაგრის კურორტი გაიშლება მთებში და სანაპიროდან ალპიურ მდელოებამდე ააღწევს. მარტო ამის წარმოდგენამ შეიძლება აღტაცებაში მოიყვანოს აღამიანი. წარმოიდგინეთ, დღისით ზაფხულის პაპანაქებაში ზღვაში იბანავებთ, მთვარიან გრილ სალამოებს კი მთებში გატარებთ და ამას დასჭირდება მხოლოდ 20 წლით.

შირაკსი

შესავალი	3
კურორტ გაგრის ისტორია	6
კურორტისა და მისი შემოგარენის ფლორა და ფაუნა	22
კურორტისა და მისი მიდამოების საექსკურსიო აღგილები	28
კურორტის სამკურნალო ფაქტორები. ორგანიზმზე მათი მოქმედება. სამკურნალო მეთოდიკა	37
დამატებითი საერთოთერაპიული ღონისძიებანი, რომელთაც კურორტი იყენებენ	81
გაგრა კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი	95
კურორტის განვითარების პერსპექტივები	99

რედაქტორი ი. ხუნდაძე
მმატვარი ნ. ლაფაჩი

მხატვრული რედაქტორი კ. ტუხაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ჭავთარაძე
კორექტორი ე. უვანია
გამომზები დ. იამანიძე

გადაეცა წარმოებას 10/VI-76 წ. წელმოწერილია დასაბეჭდად 20/VIII 76 წ.
საბეჭდი ქალ. № 1. ზომა $70 \times 108\frac{1}{32}$.
პირობ.-ნაბ. თაბახი 4,55. + 0,35 ჩაკვრით, საალ.-საგამომც. თაბახი 3,98.
ტირაჟი 10,000. შეკვ. № 462.
ფასი 20 კაბ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამსახურმის
სტამბა № 4. თბილისი 380060, მედქალაქის II კორპ.
Тбилисская типография № 4. Госкомиздата Совета Министров
Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок, II корп.

Зелимхан Иосифович Данелия

Курорт Гагра

(Научно-популярная брошюра)

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1976

JSI/10

ବ୍ୟାକ୍‌ରମାନନ୍ଦଙ୍କୁ ଉତ୍ସବାଳୀ ପ୍ରକଳ୍ପିତକୁ



K 45.684/2